საერთო გაზეთი

№3 (356) • 3 თებერვალი, 2016 წ.• გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.

აჭარა შეიძლება რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების მიზეზი გახდეს



რუსეთი საქართველოში თურქებს ითვლის?

ლაშა გვასალია:

„პროვოკატორ, ვიგინდარა სანდრო ჭაჭიას ვინ მისცა უფლება მთელ სამეგრელოს ცილი დასწამოს და ქართულ სახელმწიფოს დაუპირისპიროს?!“

„წყვდიადის ანგელოზები“ და „ანგელოზების“ დედა, სახელად ლაურა

გუდუნას სინდრომი

„დათა თუთაშხიამ გასასვლელი კარი გამოაღო, ზღურბლზე შედგა, ბიჭს გამოხედა და თქვა:

– ფული არ გამოართვა. გაგაწვალებს და წაგახდენს ის ფული...“

„ატინაკი“ – მსოფლიო ბრენდი, საქართველოშია!

Atinak

ნუგზარ ოლიშვილი:

ჩოჩელმა და მერაბიშვილმა ლტოლვილებისთვის წართმეული კომპენსაციებით ვილები შეიძინეს

ბერიმორ, რა ხმაურია ქუჩაში?

გუდუნას სინდრომი

„გავარდა, ჩახმახი კვლავ დასაცემად აიყალყა. დათა თუთაშხია, თითქოს თავში მარგილი დასცესო, – შუბლით ფილას ეძგერა და ხელისგულებით იატაკზე დანდობილი წამით გაქვავდა. ბიჭმა ისევ დაუმიზნა, მაგრამ სროლა აღარ დასცალდა: თუთაშხიამ რაღაცნაირად ისკუპა და ჯერ ზეზე ამართულიც არ იყო, რომ გუდუ პერტიას იარაღი ხელთ ჰქონდა.

ისინი სამიოდ ნაბიჯზე პირისპირ იდგნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ. დათა თუთაშხიას სახე უკიდურეს განცვიფრებასა და ყრუ, სასიკვდილო ტკივილს გადაებრიცა. გუდუ პერტია მხოლოდ გაფაციცებული იყო. მთელი არსებით სიცოცხლის შენარჩუნების გზას, გამოსავალს ეძებდა. იგი არავითარ დაბნევას, შიშს და, მით უმეტეს, პატიების მუდარას არ ამჟღავნებდა.

– რა ქენი, ბიჭო, ეს! – დაიკვნესა თუთაშხიამ, შუბლი მოისრისა და სინანულით გაიმეორა:

– რა ქენი, გუდუნა ეს!

კეფიდან კისერში ჩაჟონილი სისხლის სიგრილე აბრაგს ხელი ჭრილობაზე მოასმევინა. ტკივილმა უმატა. თუთაშხიამ წართმეული რევოლვერი ქამარში გაირჭო, აცახცახებული ხელებით დოლბანდი დაკეცა, ჭრილობაზე მოიხვია. სისუსტე მოერია, სკამზე დაეშვა. თავჩაქინდრული იჯდა, იატაკს დასცქეროდა. ბიჭმა ბუხრის სიახლოვეს მიყუდებულ თოფ–იარაღს სჭიდა თვალი; ეერ მისწვდებოდა, შუაზე პატრონი იჯდა.

– არ შეიძლება ჩემი სიკვდილი აქ, – ჩაილაპარაკა დათა თუთაშხიამ.

ბიჭი ვერაფერს მიხვდა.

აბრაგმა თავს ძალა დაატანა, წამოიწია, ადგა. ტკივილმა დააკვნესა, ორთავე ხელი საფეთქლებმი ატაცებინა. ასე იდგა, სანამ ტკივილმა უკლო და თავბრუს ხვევა მოეშვა. მერე ბუხართან მივიდა, თოფ-იარაღი აისხა და ისევ გაინაბა.

– რამ მოაფიქრებინა ეს!.. მაჯობა მაინც, – ჩაილაპარაკა მან მცირედი დუმილის მემდეგ და დასძინა: – გუდუნა, დედაშენს არ უთხრა, რომ ვიყავი და მესროლე. ცოდვაა.

ბიჭი ჩუმად იყო.

დათა თუთამხიამ გასასვლელი კარი გამოაღო, ზღურბლზე შედგა ბიჭს გამოხედა და თქვა:

– ფული არ გამოართვა. გაგაწვალებს და წაგახდენს ის ფული... – სიტყვა პირზე შეაშრა,

იფიქრა და დასძინა. – მე ვიზამ მაგას! გვამს რომ ვერ იპოვნიან, ისე ვიზამ ფულს აღარ მოგცემენ მაშინ!“

ფრაგმენტი რომანიდან
„დათა თუთაშხია“

სანდრო ჭაჭია

გასულ კვირას ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულმა სანდრო ჭაჭიას ინტერვიუმ არა მარტო დათა თუთაშხიას უბედურ დღეზე გაჩენილი გუდუნა გამახსენა, არამედ გასული საუკუნის 30-იან წლებში ფრიად პოპულარული ერთი ლექსის სტრიქონებიც მომაგონა: „დედას მოვკლავ და დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ ითხოვს ამას“.

ამ მკრეხელობის ავტორი ალი ფეოდოსიშვილი ბოლშევიკური იდეოლოგიით იყო მოწამლული, მაგრამ ვინ მოუწამლა გონება ახალგაზრდა კაცს, სანდრო ჭაჭიას, რომ არც მამას ინდობს და არც დედას, ანუ მშობლიურ სამეგრელოს?

ფეოდოსიშვილისა და გუდუნას გარდა სანდრო ჭაჭიას ინტერვიუმ საქართველოს უახლესი ისტორიის ის ტრაგიკული პერიოდიც გამახსენა, როცა ქართველების ერთმა ნაწილმა ქართველების წინააღმდეგ აიღეს იარაღი და ხუთგზის გადაუარეს და გადმოუარეს სამეგრელოს, რომელიც კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას და საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას იცავდა.

შემაძრწუნებელი და საგანგაშო ის არის, რომ სანდრო ჭაჭიას ინტერვიუ ერთი-ერთში იმეორებს იმ პუბლიკაციების პათოსს, რომლებიც წინ უძღოდა ამ სამარცხვინო ლაშქრობებს სამეგრელოს წინააღმდეგ.

ხანდახან ვფიქრობ, ერთხელაც, გაბრაზებულ გულზე, ვიღაცას აზრად რომ მოუვიდეს ამ პუბლიკაციების შეკრება და საზოგადოებისთვის მთლიანი სახით წარდგენა, რას იზამენ მაშინ პუბლიკაციების ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი ავტორები, დღემდე დიდ მამულიშვილობასა და ერისკაცობაზე რომ დებენ თავს?

ისეთი სიძულვილი, აგრესია, სისასტიკე და დაუნდობლობა იღვრება ამ პუბლიკაციებიდან, მათმა ხელახლა გადაკითხვამ შეიძლება შოკში ჩააგდოს მთელი საქართველო.

გამაოგნებელი ის არის, რომ ეს ყველაფერი, ეს ზღვარგადასული სიბინძურე, ეს ღია და აშკარა მტრობა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ქართული სახელმწიფოებრიობის ერთგულების, დიდი პატრიოტობისა და მამულიშვილობის ნიღბით რომ კეთდებოდა.

სანდრო ჭაჭიას ინტერვიუშიც, როგორც იმ 25 წლის წინანდელ პუბლიკაციებში, საუბარია მეგრულ სეპარატიზმზე, რაღაც სეპარატისტულ ჯგუფებზე, რომლებსაც რეგიონში ქართული ენის მეგრული ენით ჩანაცვლება უნდათ, საუბარია იმაზეც, რომ სამეგრელოში ათასობით ადამიანი მზად არის, იარაღით ხელში გამოვიდეს ქუჩაში და მოითხოვოს იგივე, რაც აფხაზებმა 1989 წელს მოითხოვეს.

გესმით, რა ამბები ხდება თურმე სამეგრელოში, თუმცა არც დანარჩენმა საქართველომ, არც სამეგრელოს მოსახლეობამ, არც იმ ადამიანებმა, ვისაც ყოველდღიური კონტაქტები აქვთ სამეგრელოსთან, ამის შესახებ არაფერი ვიცოდით, სამაგიეროდ, ეს ყველაფერი „დაწვრილებით იცის“ სანდრო ჭაჭიამ, რომელიც, რამდენადაც ვიცი, ბოლო პერიოდში კი არა, საერთოდ არასოდეს არის ნამყოფი სამეგრელოში.

აბა, საიდან ეს „უტყუარი“ ინფორმაციები, ბატონო სანდრო?

ხილვა გქონდათ? სიზმარში ნახეთ?

მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ის, რასაც სანდრო ჭაჭია ამ ინტერვიუში ლაპარაკობს, სულაც არ არის მხოლოდ მისი დამოუკიდებელი ნააზრევი და ჭაჭიას ამ „ღრმა ანალიზის“ მიღმა სწორედ ის ძალები დგანან, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ზუსტად ასეთი პროვოკაციებით ცდილობდნენ, სამეგრელო საქართველოსთვის დაეპირისპირებინათ.

ეს ერთი ხელწერაა, ერთი სკოლაა, თუმცა, არ არის გამორიცხული, სანდრო ჭაჭიას არც კი ესმოდეს ხეირიანად, რა სახიფათო თამაშში ჩაითრიეს იგი და რისთვის იყენებენ მას ქვეყნის დაქცევასა და განადგურებაში დაოსტატებული არამზადები.

ამ ინტერვიუს კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვიღაც უჩინარი სუფლიორი კარნახობს სანდრო ჭაჭიას ტექსტს, რომელშიც, თუ კარგად დააკვირდებით, ფაქტობრივად, ზედმიწევნით ზუსტად არის გადმოცემული ის გეგმა, რომელიც შეიძლება მართლაც არის დამუშავებული რომელიმე უცხოური სპეცსამსახურის საიდუმლო ლაბორატორიაში და თუ საჭირო გახდება, ამ გეგმას რეალობად აქცევენ.

შეიძლება ვცდები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პატივცემული სანდრო თვითონ არის რომელიღაც პრორუსული დაჯგუფების შტატიანი მუშაკი და ზუსტად იმ ანტიქართულ ძალას ემსახურება, რომელსაც ასეთი თავგამოდებით „ებრძვის“.

სანდრო ჭაჭია: დაბეჭდეს „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად, ოჯახებში უფასოდ არიგებენ, ბევრ ქვეყანაში ხალხი ქართულს იმიტომ სწავლობს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხოს ქართულად და ესენი მეგრულად თარგმნიან და ბავშვებს ურიგებენ. ამაზე დიდი სეპარატიზმი რაღა უნდა იყოს?!

საქართველოს უახლესი ისტორია, სამწუხაროდ, სავსეა მაგალითებით, როცა ადამიანები, რომლებიც ვითომ რუსეთს ებრძოდნენ, ბოლოს რუსეთის მიერ დავერბოვკებული პერსონები აღმოჩენილან.

ის კი არადა, ახლაც, უცებ, სიტუაცია რომ შეიცვალოს, ბევრი ვინმე, დღეს რომ თავ-

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

გამოდებული პროდასავლელები გვგონია, დარიალის ხეობიდან ან ენგურის ხიდიდან, თეთრ ცხენებზე ამხედრებულნი შემოუძღვებიან მომხვდურებს და, რატომღაც მტკიცედ მჯერა, რომ მათ შორის აუცილებლად იქნება სანდრო ჭაჭიაც...

რა მაძლევს ამის თქმის უფლებას, უპრიანი იქნება ამაზე იმ ქართულმა სპეცსამსახურებმა იფიქრონ, რომლებსაც სწორედ ამ თემებზე ფიქრში უხდის ხელფასს ქართული სახელმწიფო.

სანდრო ჭაჭია: სამეგრელოში ათასობით ადამიანი ჰყავთ სიაში. ისინი მზად არიან, იარაღით ხელში გამოვიდნენ ქუჩაში. ეს არის გამოკვეთილი პოზიცია.

...მრავალი მიმართულებით გაშლილი ამ ინტერვიუს მთავარი სამიზნე მაინც ბიძინა ივანიშვილია.

სწორედ მისი სახელის დისკრედიტაციას ემსახურება ეს ავანტურისტული და პროვოკაციული ინტერვიუ, სხვა დანარჩენი კი მეორეხარისხოვანი პასაჟებია.

სანდრო ჭაჭიას მიერ სამეგრელოში მოსალოდნელი დესტაბილიზაციის ფარულ ორგანიზატორად და წამქეზებლად ბიძინა ივანიშვილი იგულისხმება. რომელიც, ჭაჭიას აზრით, პუტინის ყურმოჭრილი მონაა და რომელიც, თურმე, „ყველაფერს გააკეთებს, რომ პუტინის დახმარებით ძალაუფლება შეინარჩუნოს, მათ შორის, თუნდაც სამოქალაქო დაპირისპირების გზით“.

ხედავთ, რაში ყოფილა საქმე? ხვდებით, რატომ იარაღდება თურმე ათასობით მეგრელი, რომლებიც „დასტვენის შემთხვევაში“ (ს. ჭაჭიას სიტყვებია — ვ. ხ.) მზად არიან, ქუჩაში გამოვიდნენ და პუტინის და ივანიშვილის წინააღმდეგ საპროტესტოდ განწყობილ თანამემამულეებს ხმა ჩააკმენდინონ.

დასტვენის შემთხვევაში მოხდება ესო, — ირწმუნება ჭაჭია.

პატივცემულო ჭაჭია, რა უფლებით აყენებთ შეურაცხყოფას სამეგრელოს და მის მოსახლეობას, რომელმაც ამ ბოლო 25 წლის განმავლობაში უამრავი ტრაგედია გადაიტანა შინაური თუ გარეული მტრისა და მოძალადის წყალობით?

ალექსანდრე ჭაჭია

ან ბიძინა ივანიშვილზე როგორ ამბობთ, სამოქალაქო დაპირისპირებასაც კი არ მოერიდება ძალაუფლება რომ შეინარჩუნოსო.

სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს რომ არ მორიდებოდა, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში შემოსვლისთანავე, პირველსავე დღეებში ჰქონდა იმის ასპროცენტიანი შანსი, „დასტვენის სემთხვევასი“ მთელი საქართველო გარეთ გამოეყვანა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, რადგან იცოდა, „ნაცმოძრაობის“ 9-წლიანი კოშმარით გაწამებულ და გამწარებულ ხალხს შეიძლებოდ

სანდრო ჭაჭია: ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ პუტინის დახმარებით ძალაუფლება შეინარჩუნოს, მათ შორის, თუნდაც სამოქალაქო დაპირისპირების გზით.

და გრიგალივით გადაევლო მისი შეურაცხმყოფელებისთვის.

2012 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც ბიძინა ივანიშვილი სიფრთხილისკენ და მიმტევებლობისკენ მოუწოდებდა ყველას, რომ სამოქალაქო დაპირისპირების თუნდაც მცირე და უმნიშვნელო ნიშანი დაუყოვნებლივ აღეკვეთა.

ბიძინა ივანიშვილის უპირველესი დამსახურება, სხვა მრავალ დამსახურებათა შორის, ისიც არის, ავტორიტარიზმისა და დიქტატურისკენ მიდრეკილი საკაშვილი ძალაუფლებას მშვიდობიანად, სამოქალაქო დაპირისპირების და სისხლისღვრის გარეშე რომ ჩამოაშორა.

თქვენ ნუ ნერვიულობთ, ბატონო სანდრო, „ქართული ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებსაც ყოველგვარი ექსცესების და დავიდარაბის გარეშე მოიგებს და მას ამ მოგებისთვის არც დაპირისპირების პროვოცირება დასჭირდება და არც ავტომატიანი ხალხის აღადგმა სირბილი.

თუ ვინმეს სჭირდება ეს, პირველყოვლისა, სჭირდება იმ ძალას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია და რომელსაც 2016 წელს გამარჯვების კი არა, თუნდაც ასე თუ ისე სერიოზული წარმატების არანაირი შანსი არ აქვს.

აი, ეგ „ნაცმოძრაობა“ ხომ არ არის თქვენი საიდუმლო სუფლიორი, პატივცემულო სანდრო?

„მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო“, ნათქვამია.

„ნაცმოძრაობასაც“ ის ელანდება და ის ესიზმრება, რაც გულით უნდა — არეულობა, დაპირისპირება, სროლა და სისხლისღვრა, რადგან სწორედ ამ სიტუაციაში ჩნდება შანსი ძალაუფლების მიტაცებისა.

სანდრო ჭაჭია „ნაცმოძრაობის“ ოცნებას ახმოვანებს, ეგ არის და ეგ.

ვახტანგ ხარჩილავა

P.S. **ამ წერილის ტონი ნამდვილად სხვანაირი და სხვაგვარი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება — სანდრი ჭაჭია ალექსანდრე ჭაჭიას შვილია, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ, როგორც ნიჭიერ პოლიტიკოსს და, უბრალოდ, კარგ ადამიანს და კარგ ქართველს.**

დანამდვილებით ვიცი, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, მამა-შვილს ერთმანეთთან დიდი ხანია არანაირი ურთიერთობა არ აქვთ.

აქედან გამომდინარე, აბსოლუტური სიცრუეა უმცროსი ჭაჭიას მიერ საქმის ისე წარმოჩენა, თითქოს მამასთან დიდი დისკუსიები და დისპუტები ჰქონდეს გამართული სხვადასხვა სერიოზულ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

სანდრო ჭაჭია ალექსანდრე ჭაჭიას საპირწონედ რომ ვერ გამოდგება, ეს ფაქტია, თუმცა ის მზაკვრული ჩანაფიქრი, ვითომდა პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობის ნიადაგზე შვილი მამას დაუპირისპირონ, ნაწილობრივ მაინც აღწევს მიზანს არაინფორმირებული ობივატელის თვალში.

ამ ამბავმა 20-25 წლის წინანდელი ამბავი გამახსენა, როცა ერთი ტრაგიკულად დაღუპული ქართველი პოლიტიკოსის ახალგაზრდა ვაჟს ზუსტად იმ ადამიანებმა „უპატრონეს“, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს მისი მამის ტრაგიკულ აღსასრულში.

ასე რომ, უზნეობით და უტიფრობით გაჯერებულ ქართულ პოლიტიკაში რაღაცით უკმაყოფილო შვილების მამების წინააღმდეგ დაგეშვა არახალია, ძველია!

სანდრო, ბიძიკო, ეშმაკებს ჰყავხარ მძევლად აყვანილი და ფრთხილად იყავი, რაიმე ხიფათს არ მოგწიონ...

ვ.ხ.

„პროვოკატორ, ვიგინდარა სანდრო ჭაჭიას ვინ მისცა უფლება მთელ სამეგრელოს ცილი დასწამოს და ქართულ სახელმწიფოს დაუპირისპიროს?!“

ბოლო ხანს ერთ პერიოდულ გამოცემაში ხშირად იბეჭდება ინტერვიუები სანდრო ჭაჭიასთან, რომლებშიც ბატონი სანდრო ყოველთვის ცდილობს დატოვოს მეტად ინფორმირებული, „საქმეებში“ ჩახედული პიროვნების შთაბეჭდილება, საუბრობს „დიდ“ პოლიტიკაზე და ა.შ. მასთან ინტერვიუებს წინ უძღვის წარდგინება – სანდრო ჭაჭია ალექსანდრე ჭაჭიას ვაჟი.

დამეთანხმებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე ინტერვიუსთვის არცთუ პრეზენტაბელური დასახიათებაა ვინმეს შვილობა, თუნდაც რესპონდენტი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐᲡ ვაჟი იყოს...

ვინ არის სანდრო ჭაჭია და რა მიზნებს შეიძლება ემსახურებოდეს მისი პოლიტიკური პროგნოზები?

სანდრო ჭაჭია ალექსანდრე ჭაჭიას ვაჟია პირველი ქორწინებიდან.

როგორც ამბობენ, ცოლ-ქმარი მაშინ გაშორებულან, როცა სანდრო მცირეწლოვანი ყოფილა. სანდრო ჭაჭია დედასთან და დედის მშობლებთან გაზრდილა. მამას სხვა ოჯახი შეუქმნია და იშვიათად ნახულობდა თურმე შვილს, მაგრამ მზრუნველობას არ აკლებდაო, ამბობენ. სკოლის დამთავრებისთანავე მამას წაუყვანია მოსკოვში და მისი ხელშეწყობით იქვე ჩარიცხულა უმაღლეს სასწავლებელში. თუმცა სანდროს, გარკვეულ გარემოებათა გამო, ინსტიტუტი ვერ დაუმთავრებია.

ამასობაში სანდრო ჭაჭია დაქორწინებულა მამის ახლო მეგობრის ᲝᲗᲐᲠ ᲐᲠᲨᲑᲐᲡ ქალიშვილზე.

ოთარ არშბა გამორჩეული აფხაზი ბიზნესმენია. მას სერიოზული კავშირები აქვს რუსულ და აფხაზურ საქმიან წრეებთან. კარგი ურთიერთობები ჰქონია ქართველებთანაც.

სიძისთვის ოთარ არშბას სამართავად ბიზნესების ნაწილი გადაუცია აჭარაში და სხვაგანაც. ახალგაზრდა წყვილს ბავშვიც გასჩენია, მაგრამ ერთ დღეს, თურმე, სანდროს ახალი სიყვარული უპოვია, ოჯახიდან წამოსულა და თბილისში დამკვიდრებულა.

როგორც ამბობენ, ამის შემდეგ დაუწყია სანდრო ჭაჭიას ბრძოლა სიმამრის წინააღმდეგ – წილები მეკუთვნის შენი ბიზნესებიდან და უნდა დამიბრუნოო, უთვლიდა თურმე ყოფილ სიმამრს. ისიც თქვეს, მამას, ალექსანდრე ჭაჭიას სთხოვდა: ოთარ არშბა შენი მეგობარია. მიდი და უთხარი – თავისი ბიზნესების წილები დამითმოსო. მამას უპასუხია: ოჯახიდან წამოხვედი და რაღა წილებზე ლაპარაკობ, ეს არ არის ნამუსიანი საქციელიო.

მამის სიტყვებზე ძალიან გაბრაზებულა სანდრო და შურისძიების ფორმად ინტერვიუების მიცემა აურჩევია, სადაც სანდრო ჭაჭია პირდაპირ ლანძღავს არა მხოლოდ ყოფილ სიმამრს ოთარ არშბას, არამედ საკუთარ მამას – ალექსანდრე ჭაჭიასაც. ამ ინტერვიუებში ის არაერთხელ იმეორებს ასევე, რომ მამას რჩევებს აძლევს სხვადასხვა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ თუ პირად საკითხებზე.

ჭაჭიების ოჯახის ახლობლები ირწმუნებიან, მამა-შვილს კარგა ხანია ერთმანეთთან ურთიერთობა აღარ აქვთ, რის გამოც შეუძლებელია, რაიმე საკითხზე საუბრები ჰქონდეთო.

ბოლოდროინდელ ინტერვიუში სანდრო ჭაჭია ბევრს საუბრობს სამეგრელოში თითქოსდა მიმდინარე მოვლენებზე და იქედან მოსალოდნელ საფრთხეებზე, თუმცა, როგორც გვითხრეს, სანდრო ჭაჭია სამეგრელოში გავლით თუ არის ერთი-ორჯერ ნამყოფი, თორემ ისე, იქაურობას არც იცნობს და არც შეიძლება ჰქონდეს რეალური წარმოდგენა სამეგრელოში მიმდინარე მოვლენებზეო.

კაცი რომ იმ ოჯახზე და ოჯახის წევრებზე საჯაროდ დაიწყებს ჭორაობას, რომელ ოჯახშიც მისი შვილი იზრდება, კაცი რომ საკუთარ მამას სახალხოდ გალანძღავს, იმ კაცს რა ჭკუა უნდა მოჰკითხო და რომელ პოლიტიკაზე უნდა ელაპარაკო. მაგრამ, მოდით, ეს საყოფაცხოვრებო თემები ყვითელ პრესას დავუთმოთ და სამეგრელოში მიმდინარე მოვლენებზე სამეგრელოში მცხოვრებ კაცს, ეროვნული მოძრაობის ძველ გულშემატკივარსა და წევრს, სამეგრელოს გუბერნიის ადმინისტრაციის აპარატის უფროსს, მწერალს, ფილოლოგს, ბატონ ᲚᲐᲨᲐ ᲒᲣᲯᲐᲡᲐᲚᲘᲐᲡ დავუსვათ რამდენიმე შეკითხვა.

– ბატონო ლაშა, სანდრო ჭაჭია ერთ ინტერვიუში სურათს ხატავს, თითქოს სამეგრელოში ისეთი დაძაბული ვითარება იყოს, ჰა და ჰა, ომი იწყებოდეს. რამდენიმე თვეა სამეგრელოში არ ვყოფილვარ, მართლა ასე დენთის კასრზე დგას სამეგრელო?

– „მხედრიონის“ მიერ სამეგრელოს დალაშქვრის წინა პერიოდს სწორედ ისეთი ტიპის განცხადებები უსწრებდა წინ, როგორ განცხადებაზეც თქვენ ახლა მკითხეთ.

ყველას გვახსოვს, დანარჩენ საქართველოს უმტკიცებდნენ მაშინ – მეგრელები ქართველები არ არიანო და ტანკზე ამხედრებულები ცნობილი ლექსის ასეთი ინტერპრეტაციით შაირობდნენ: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდაო.

რაც მოჰყვა ამ უგუნურ ავანტიურას, ყველამ კარგად ვნახეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაშინაც არ უღალატია მეგრელებს ზოგადქართული იდეისა და ეროვნული იდენტობისთვის და არასდროს წამოსცდენია, რომ უბედურება სამეგრელოში კახელებმა, იმერლებმა ან, ვთქვათ, ქართლელებმა დაატრიალეს. სამეგრელოში სულ მესმოდა, 90-იანი წლების უბედურება საქართველოს მტრების მიერ არის მოწყობილი და შევარდნაძის ხუნტის მიერ პროვოცირებულ-წაქეზებულიო.

სანდრო ჭაჭია ირწმუნება, რომ სამეგრელო აფეთქების ზღვარზეა, სეპარატისტული განწყობები ღვივის, მეგრულენოვან „ვეფხისტყაოსანს“ ბავშვებს ჩუქნიან და ა. შ.

„ვეფხისტყაოსანი“, რამდენადაც ვიცი, არის მეგრულად თარგმნილი, დაბეჭდილიცაა, მაგრამ არ მსმენია, წიგნს რეგიონში არიგებდნენ ან ყმაწვილებს ჩუქნიდნენ.

ასეც რომ იყოს, რა დაშავდება – მეგრელ კაცს ჩვენი ეროვნული საუნჯე მეგრულ ენაზეც რომ ჰქონდეს საკუთარ ბიბლიოთეკაში?! მაგრამ აქ სხვა ადგილას „უკაკუნებს“ სანდრო ჭაჭია. ეს სპეციალურად ჩაგდებული მარცვალია, რითაც ადვილად მოსახფანგებელ ილეთს იყენებენ და განსაკუთრებულად აპელირებენ სამეგრელოს თემაზე.

– რა ხდება სინამდვილეში, ბატონო ლაშა, რა ვითარებაა სამეგრელოში. სანდრო ჭაჭიას ინფორმაციები სიმართლეს ოდნავაც არ შეესაბამება?

– მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის სრული აბსურდი და სისულელე.

მე, როგორც მწერალი, დავინტერესდი და საზოგადოებრივი მოძრაობა „სამეგრელოს“ შეკრებას რამდენიმეჯერ დავესწარი. შეკრებაზე საუბარი იყო, როგორ გადავარჩინოთ მეგრული ენა, როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ქართულ სკოლებში დაწყებით კლასში ისწავლებოდეს მეგრული და სვანური ენებიო. პირადად მე, მოხარული ვიქნებოდი, ასეთი იდეა ხორცს თუ შეისხამდა, რადგან ამ ენების სწავლა თვით იმ ზოგადქართული ცნობიერების გაღრმავებისთვის მეტად საჭირო და აუცილებელია.

ყველა შეხვედრაზე საუბარი იყო სახელმწიფოებრივ მიმართულებებზე, ამ კუთხით ხელშეწყობაზე, თანადგომაზე, ქვეყნის სიკეთეზე და განვითარებაზე.

შეხვედრები ყოველთვის ქართულ ენაზე ტარდება.

– ზურაბ კვარაცხელია ვინ არის, ბატონო ლაშა, მართლა ფინანსდება ეს ადამიანი რუსეთის სპეცსამსახურებისგან? რა იცით ამის შესახებ? მართლა სტუმრობენ მას უცნობი ადამიანები მოსკოვიდან?

– ასეთი რამ, მართალი გითხრათ, მე არ მსმენია. ეს არის ტყუილი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ყოველივე შორსგამიზნული გეგმის ნაწილია, რითაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უარყოფითად განაწყობენ სამეგრელოს მიმართ და რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ ფაქტს საკაშვილის და მისი დამქაშების საშზარეულოს სუნი აქვს.

როცა ასეთ ბრალდებას უყენებენ კუთხეს, დაასახელონ დრო, შეხვედრის ადგილი, თანხის რაოდენობა ან კონკრეტული რამ, ინფორმაცია რეალურს რომ მიუახლოვდეს.

მკითხეთ, ვინ არის **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ**. თქვენ არ იცნობთ, ირანდა, ამ ადამიანს. ის არის ძალიან ღირსეული კაცი, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ჯერ ერთი, ამ კაცს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. არის ავად. რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა და ძლივს გადარჩა. თუ ამდენი დაფინანსება აქვს რუსეთიდან, ჯანმრთელობას მიხედავდა, პირველ რიგში, რადგან, ბოლო, მიშვნელოვანი ოპერაცია კიდევ აქვს გასაკეთებელი და სწორედ უფულობის გამო ვერ იკეთებს.

ჩემი აზრით, სანდრო ჭაჭიას ვიღაცამ მისცა დავალება და ახლა რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ლაპარაკობს.

– ბატონო ლაშა, ინტერვიუში მოცემულ იმ ფრაზაზე რას იტყვით, ვითომდა მეგრელები ამბობენ, ჩვენ ქართველები არა ვართო, ამას რუსეთშიც აღიარებენ სამეგრელოს მკვიდრნიო?!

– ასეთ შეკითხვას როგორ მისვამთ, მიკვირს.

ეს ხომ აბსურდია?

როგორ შეიძლება ადამიანს ასეთი რამ საერთოდ აზრად მოუვიდეს?

მაგრამ ახლა მახსენდება ერთმა ცნობილმა პოეტმა რომ დაწერა ლექსი ცოტნე „გამყიდველზე“.

მახსოვს მაშინ მეგრელების აღშფოთებაც.

ერთ-ერთი სტატია ამის შესახებ მეც გამოვაქვეყნე და თქვენმა რედაქტორმა, ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ ხომ საოცარი პასუხი გასცა მაშინ იმ პოეტს, ანუ შიგადაშიგ, საქართველოს მტრები ასეთ იაფფასიან ავანტიურებს იყენებენ ხოლმე.

მაგრამ რაც სააკაშვილმა და მისმა ბანდამ აკადრა სამეგრელოს, ისეთი შეურაცხყოფა ამ კუთხეს საუკუნეების განმავლობაში არ განუცდია. სამეგრელომ გადაიტანა ომები, სისხლისღვრები, შვილების გაყიდვა, შვილების თვალწინ მკვლელობა, ენით აუწერელი ათასგვარი უბედურება, მაგრამ რაც სააკაშვილის მმართველობისას სამეგრელოს გაუკეთეს, ისტორიას არ ახსოვს. კაცის გაუპატიურება, ეს იყო და არის წარმოუდგენელი უბედურება, სირცხვილი და კუთხის უდიდესი შეურაცხყოფა. ეს გაუკეთა სამეგრელოს სააკაშვილმა და მისმა ნაძირლებმა. ეს კარგად უნდა გაიაზროს ყველამ, ვისაც აზრი და გონება აქვს და სამეგრელოზე წერისას და ლაპარაკისას მეტად დაფიქრებულად იმოქმედოს.

ეს ჭრილობა ჯერ მოშუშებული რომ არ არის, კარგად იციან და ამიტომაც უნდათ, ცეცხლზე ნავთი დაასხან და ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი სამეგრელოს დაუპირისპირონ, რომ შექმნან გაუგებრობის, კონფლიქტის კერა და ამაზე მერე ხელი მოითბონ.

მინდა ვიფიქრო, რაც სანდრო ჭაჭიამ ილაპარაკა, უნებლიედ გამოუვიდა, მაგრამ კარგად ვიცი, ეს არ ყოფილა გულუბრყვილოდ ნათქვამი და არც უცებ წამოცდენილი ფრაზები.

ეს ცრუ ინფორმაციები ვიღაცის დავალებით გაახმოვანა სანდრო ჭაჭიამ.

საუბრის ტონიდან კარგად ჩანს, როგორ იქედნურად ახსენებენ ზვიად გამსახურდიას სახელს და ე. წ. ზვიადისტებს.

– გამსახურდია ახსენეთ და მოდით, ბარემ, ერთ ფრაზას წაგიკითხავთ ინტერვიუდან. სანდრო ჭაჭია ამბობს: „ხდება რუსეთში მცხოვრები ზვიად გამსახურდიას მომხრეების მობილიზაცია, რომლებიც საჭირო დროს აფხაზეთის გავლით აღმოჩნდებიან სამეგრელოშიო“.

ამას გარდა, ბარემ აქვე გკითხავთ დიასპორის საკითხებში მინისტრის მოადგილის სანდრო ბრეგაძის შესახებ, რომელზეც ინტერვიუში არის საუბარი.

– იმ სისულელეებზე, რაც იქ წერია, უბრალოდ, არ ვიცი, როგორ გაგცეთ პასუხი.

რაც შეეხება „ეროვნულებს“ და **სანდრო ბრეგაძეს**. მე ეროვნული მოძრაობიდან მოვდივარ, ერთი-ორი იშვიათი გამონაკლისის გარდა ვიცნობ ყველას, ვინც ადრე ზვიადის გვერდით იდგა. ყველასთან მქონდა ურთიერთობა პატარაობიდანვე. ეროვნულები არიან საქართველოს უერთგულესი ხალხი. შეიძლება ისინი პოლიტიკაში, რაღაც არჩევანში შეცდნენ, მაგრამ ქვეყნის, ხალხის წინააღმდეგ, ზოგადქართული იდეის წინააღმდეგ არასდროს წასულან.

ბატონ სანდრო ბრეგაძეს ყმაწვილობიდან ვიცნობ. ერთად მოვდივართ ეროვნული მოძრაობიდან.

სანდრო ყოველთვის იყო სამშობლოსთვის გულანთებული ადამიანი. რაც შეეხება მის ბრალეულობას.

რადგან იუნესკომ რუსთაველის წლად გამოაცხადა წლევანდელი წელი, სანდრო ბრეგაძე, როგორც „ეროვნულების“ ლიდერი, გამოვიდა ინიციატივით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა მოეწყოს მთელი წლის განვავლობაში ქუჩებში, ბაღებში, დარბაზებში, კონფერენციების და შეხვედრების მონაწილეებს საჯაროდ გადაეცეს ჩვენი დიდებული პოემის ეგზემპლარები. აი, ეს არის ბატონი სანდროს მთავარი „დანაშაული“.

ახლა კი მინდა სანდრო ჭაჭიას მივმართო თქვენი გაზეთის საშუალებით: უსინდისო თამაშში ხარ ჩათრეული, სანდრო, ფრთხილად, თუ იჭაჭები მეტისმეტად, ფუჭ და ენაკვიმატ საუბრებს ბევრი მინმე შეუფერავს და შენც არ შეგიფერიოს.

ეს აბდაუბდა, საუკუნისწინანდელი გაცვეთილი ამბები, რომლითაც დღენიადაგ „აშინებენ“ სამეგრელოს, შენს წილად დარჩენილ საფიხვნოში მოყევი.

სამწუხაროა, რომ მოლანდებები გქონია უკვე. სად დაინახე სამეგრელოში წითელი დროშის ფრიალი, სად ხედავთ ასეთ რამეებს, სად?!

ეს ბინძური თამაშია, ჩემო სანდრო.

რა პირით გინდა შეხედო უბრალო მეგრელ გლეხს, რომელიც ჩემზე და შენზე უფრო დიდი ვაჟკაცი და დიდი პატრიოტია?!

„ნაცმოძრაობის“ გამო ფეხებზე ნუ დაიკიდებ ყველას და ყველაფერს, ჭკვიანად იყავი, თორემ ძალიან მკაცრ პასუხს მიიღებ შენც და შენი წამქეზებელი პროვოკატორებიც.

კარგით, რა, ჩემო კარგო. მაჩვენეთ ერთი ადამიანი, რომელიც მზადაა ქუჩაში შეიარაღებული გამოვიდეს.

როგორც ჩანს, ამ დეზინფორმატორებს ვიღაცები არწმუნებენ, რომ ხალხში არის იარაღი. ეს არის მტკნარი ტყუილი. თუმცა დააბრალე და თავი იმართლოსო, ისეა საქმე. რა ქნას სამეგრელომ, როგორ იმართლოს თავი?! ამდენი ცილისწამება უკვე მეტისმეტია.

ბოლოს ერთ რამეს გეტყვით: ძალიან უნდათ, მაგრამ ვერავინ გაბედავს სამეგრელოში პროვოკაციების მოწყობას.

ვიღაც სამუშაოს რომ ახსენებენ. ვინ არის ეს კაცი, რა რეიტინგი აქვს, ვინ იცნობს, საერთოდ, სამეგრელოში?! პირადად მე ასეთ ადამიანს აქ არ ვიცნობ. არც არავის არაფერს ეუბნება მისი სახელი და გვარი.

– სამაგიეროდ, ბიძინა ივანიშვილს იცნობენ. მის სახელს დაუკავშირეს ინტერვიუში სამეგრელოში მოსალოდნელი პროვოკაციები...

– სიმართლე თუ გინდათ, ბიძინა ივანიშვილის სახელის დისკრედიტაციისთვის არის ეს ინტერვიუ მომზადებული. საბოლოოდ ასეთი შთაბეჭდილება რჩება. მაგრამ რაც უნდა იწვალონ და იჯახირონ ნაციონალებმა, 2016 წლის არჩევნებში მაინც „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს.

მოსახლეობას ყოველდღე ვხვდებით და ვიცით, რას ფიქრობს ხალხი, რა განწყობა აქვთ.

გუბერნიის ადმინისტრაციის ინიციატივით, ხელშეწყობით და მართლაც დაუღალავი შრომით ბევრი სასიკეთო პროექტი განვახორციელეთ.

ვიცით, რომ პრობლემები არის, მაგრამ ყველაფერს მოვუვლით, გავაკეთებთ, უცებ არაფერი არ ხდება.

ობივატელები ამბობენ, ადრე რაღაც მაინც კეთდებოდაო.

მეგობრებო, ახლა იმაზე ათასჯერ მეტი კეთდება, ადრინდელთან შედარებით.

რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა იარაღის, ნარკოტიკის ჩადების, უკანონოდ დაჭერის, შეურაცხყოფის, დამცირების. დღეს მოქალაქეები თავისუფალი არიან შიშისგან, ტერორისგან.

გუბერნატორის ადმინისტრაციაში ყოველ დღე ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ დროს შეუძლია მოვიდეს და თავისი პრეტენზია გამოხატოს. გვითხრას, რა აწუხებს, რა პრობლემები აქვს და ა.შ.

კრიტიკისთვის და განსხვავებული აზრისთვის არავის ვსჯით, არავის ვაპატიმრებთ ან ვაჯარიმებთ.

სადღაც გზაზე ორმოაო, ვიღაცამ თქვა ამას წინათ. გასაგებია. გასაკეთებელია. გაკეთდება, მაგრამ სად იყო გზა ნაციონალების დროს, ვის ახსოვდა ჭაქვინჯი, ტყაია და სხვა სოფლები და იქამდე მისასვლელი გზები?!

რომელიმე სოფელში საკმარის ხმებს თუ ვერ მოაგროვებდნენ ნაციონალები, იმ სოფელს გზას კი არა წყალს უკეტავდნენ და კარგა ხანს სიბნელეში ამყოფებდნენ.

მაგალითისთვის გეტყვით, სოფელ ტყაიაში არის ერთი უბანი, სადაც მხოლოდ 6 ამომრჩეველი ცხოვრობს, წყალგაყვანილობა არ იყო წლების განმავლობაში. უბანს დღეს წყალი მიეწოდება.

სოფელ გურიფულის ერთ უბანში, სადაც ორი კომლია, იქაც კი დავამონტაჟეთ წყალგაყვანილობები, დავაგეთ გზა.

ამაზე ცალკე გესაუბრებით, თუ გაინტერესებთ.

– რა თქმა უნდა, მაინტერესებს. იმედია, ყველაფერს ჩემი თვალით ვიხილავ. მანამდე მომიყვით, რას ფიქრობს ხალხი სანდრო ჭაჭიას განცხადებებზე?

– ხალხი აღშფოთებულია, ვინც ნახა, რა თქმა უნდა, უკმაყოფილოა.

როგორ შეიძლება სამეგრელოს მოსახლეობის მოღალატეობა და ახალი სამოქალაქო ომის პროვოცირების მცდელობა დააბრალო.

ჩვენ ჩვენი ქვეყნის ღვიძლი შვილები ვართ, საქართველოს გული და ძარღვი ვართ. ვინ მისცა უფლება ვიღაც გაურკვეველ ხალხს ჩვენზე ასე ილაპარაკოს. პროვოკატორები და ნაძირლები თუ არ არიან, დაასახელონ, ვის უკავია იარაღი, ვინ აპირებს ბრძოლას საქართველოს წინააღმდეგ.

ამ პროვოკატორ, ვიგინდარა სანდრო ჭაჭიას ვინ მისცა ამდენი უფლება, მთელ ქართულ სახელმწიფოს ცილი დასწამოს და დაუპირისპირდეს?!

რას გადაეკიდა ზური კვარაცხელიას. თავის დაწერილ ლექსს უნდა ფანდურზე დაამღერებს, უნდა გიტარაზე, ვისი რა საქმეა ეს, თუ პროვოკატორები და საბოტაჟნიკები არ არიან?

აფხაზეთიდან ვარო, რომ ამბობს სანდრო ჭაჭია და ამით ყელყელაობს. თუ აფხაზეთი ასე გულით უყვარს, დაგვიმტკიცოს, ჩემზე უკეთ იცის აფხაზური, ან სვანური?

აფხაზურიც ვიცით, სვანურიც, მეგრულიც და ყველა კუთხის კილოკავიც.

წეღან ბიძინა ივანიშვილი ვახსენეთ და არ შემიძლია არ ვთქვა: ეს ადამიანი რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, რა მომავალი ექნებოდა ჩვენ ქვეყანას, არ დაბადებულა საქართველოში კაცი, რომელსაც პიროვნულად ამდენი სიკეთე ექნება ქვეყნისთვის და თითოეული ქართველისთვის გაკეთებული. რამდენი გაჭირვებული ადამიანი ჰყავს გადარჩენილი, რამდენი ეკლესია-მონასტერი, ამდენი სიკეთის გამკეთებელ კაცს იმეტებენ ყველაფრისთვის, სირცხვილია ეს, ბატონებო.

რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“. ჩვენ გვაქვს მდგრადი და რეალური რეიტინგი და თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, შემოდგომაზე დავითვალოთ წიწილები.

ბატონ ბიძინას არ შევაწუხებთ, რომ აქ ჩამობრძანდეს, მისი კაცობა, მისი ორანი შორიდანაც გვეყოფა, ისე გავიმარჯვებთ, ისე ვუერთგულებთ მის დაწყებულ საქმეს და ვაჩვენებთ, რომ ჩვენ მადლიერი ხალხი ვართ და ვიცით მოყვრისგან მტრის გარჩევა. მადლიერი ვართ, რომ მოგვაშორა მონსტრი, გამაუპატიურებელი, სატანური ძალა და ამ მადლობას კიდევ ერთხელ ვიტყვით 2016 წლის არჩევნებზე.

იმედები უნდა გავუცრუოთ ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს – არ იქნება დაპირისპირება, შეხლა-შემოხლა, წინააღმდეგობა. ყველაფერი იქნება კარგად, მშვიდად და ისე, როგორც ამ ქვეყანას და ხალხს სჭირდება.

ირანდა კალანდაძე
593 561 118

საქართველოში ერთ წელიწადში არასრულწლოვანთა სუიციდის 100-მდე შემთხვევა დაფიქსირდა

რატომ იკლავენ ბავშვები თავს ასე ხშირად?

14 წლის გიორგი, 16 წლის მარინა, 11 წლის ნიკა, 12 წლის ირაკლი, 17 წლის ოთო, 16 წლის ნიკა, 15 წლის თინათინი, 16 წლის სალმირა, 17 წლის თაკო 16 წლის გიორგი, 17 წლის პაატა.. სულ 100-ზე მეტი შემთხვევა ერთ წელიწადში.. ყველა არასრულწლოვანია. რა ხდება? რატომ იკლავენ ასე ხშირად ბავშვები თავს? რატომ იმატა ბოლო ორი წლის მანძილზე თვითმკვლელობების რიცხვმა? რატომაა ასე საგანგაშო ეს სტატისტიკა? თუ შენ ახლა მიყურებ, ეს გადაცემა შენთვისაა.

მაია ასათიანს – სკოლებიდან ექიმები, ფსიქოლოგები, მოძღვრები და რელიგიის სწავლება იმ პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში ყოფნის დროს გააუქმეს, რომელთანაც თქვენი ტელევიზია ასოცირდება.

მშობლისთვის. როგორ უნდა მოვიქცეთ, რა გავაკეთოთ, როდის შევამჩნიოთ? რა შევამჩნიოთ და რით დავეხმაროთ, სანამ ჩვენი შვილი ფატალურ გადაწყვეტილებას მიიღებს? ეს გადაცემა დედისთვისაა, რომლის შვილიც გარდატეხის ასაკშია. – ასე დაიწყო წინასწარ დაანონსებული, 28 იანვრის „პროფილი“ **მაია ასათიანმა**. გადაცემა, რომლის საეთერო ბადიდან ამოღებას საქართველო სახალხო დამცველი და პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მოითხოვდნენ, ეთერში მაინც გავიდა.

მანამდე კი მოვლენები ასე ვითარდებოდა: 26 იანვარს გავრცელდა სახალხო დამცველის განცხადება, რომელშიც უჩა ნანუაშვილი შეშფოთებას გამოთქვამდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი2“-ის გადაცემა „პროფილის“ტელეანონსში ბავშვთა თვითმკვლელობების შემთხვევებისა და თვითმკვლელობების რისკის მქონე არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით. თავის განცხადებაში სახალხო დამცველი განმარტავდა, რომ არასრულწლოვანთა სუიციდის მედიაში გაშუქების მეთოდები ეწინააღმდეგება გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე–3 და მე–17 მუხლებით დადგენილ სტანდარტებს, (რომელთა საფუძველზეც აღიარებულია არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური, სოციალური თუ სხვა ტიპის განვითარებისათვის საზიანო ინფორმაციისაგან დაცვის უფლება).

უჩა ნანუაშვილი გადაცემის ავტორებს მიუთითებდა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე–8 პრინციპზე, რომლის მიხედვით, ჟურნალისტი ვალდებულია, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. სახალხო დამცველი მიუთითებდა საერთაშორისო კვლევებზეც, რომელთა მიხედვით, თვითმკვლელობის შემთხვევების მედიაში გაშუქება ძლიერ ზემოქმედებას ახდენს თვითმკვლელობის რისკის მქონე ბავშვთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, თვითმკვლელობის შემთხვევების არაეთიკურმა გაშუქებამ, შესაძლოა, ე.წ. გადამდები ეფექტი იქონიოს არასრულწლოვნებში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“–ის გადაცემა „პროფილს“, თავი შეიკავებინა ბავშვთა თვითმკვლელობის ამ ფორმით გაშუქებისგან.

იგივე თხოვნით მიმართა ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ. დიმიტრი ხუნდაძემ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც “რუსთავი 2”-ის ხელმძღვანელობას ბავშვთა უფლებების დაცვისკენ მოუწოდა:

„დღეს მედიასაშუალებებით სუიციდის ფაქტების გაშუქების რაოდენობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. აქ ორი პრობლემის წინაშე ვდგავართ: პირველი, სუიციდის შემთხვევები, რომლებიც სამწუხაროდ, ხშირია ჩვენს ქვეყანაში და მეორე, თავად ამ შემთხვევების მედიასაშუალებებით გაშუქების საგანგაშო მდგომარეობა. ეს არის ადამიანის განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც საინფორმაციო პროპაგანდის შედეგად შესაძლოა დასაშვები და მაპროვოცირებელი გახდეს სხვისთვისაც. ასევე, ეს განსაკუთრებით დამთრგუნველია მსმენელისთვის. რა თქმა უნდა, ამ პრობლემას მედიასაშუალებები ვერ მოაგვარებენ, ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ყველა მიმართულებით, მაგრამ მედია, როგორც საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი ყველაზე მძლავრი საშუალება, ხელს უწყობს ადამიანის ცნობიერებაში ამ ფაქტის დაშვებადობას.“დღეს მომზადებულია გადაცემა ბავშვთა სუიციდის შესახებ, რომელიც ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

მივმართავ “რუსთავი 2”-ის ხელმძღვანელობას, დაიცვან ბავშვთა უფლებები და ნუ გამოიყენებენ ამ თემას საკუთარი პიარისთვის.“ –წერდა თავის სპეციალურ განცხადებაში **დიმიტრი ხუნდაძე**.

გადაცემის საეთერო ბადიდან ამოღების თხოვნას და მოწოდებებს ტელეკომპანიის ეთერიდან გამოეცხმაურა გადაცემის ავტორი მაია ასათიანი. მისი განმარტებით, ბავშვთა სუიციდის თემაზე გაკეთებული გადაცემა მიზნად პრევენციას და მოსახლეობის ინფორმირებას ისახავს, მომზადებულია ყველა სტანდარტის დაცვით და ეთერში აუცილებლად გავა. „დიახ, რიცხვი არის გაზრდილი, თუმცა, მიუხედავად ამისა, დღევანდელი პროფილი არის სუიციდის პრევენციაზე. გადაცემაში მოწვეული სტუმრები საქართველოში ცნობილი, ძალიან სახელიანი და პატივსაცემი ფსიქოლოგები და ფსიქიატრები მშობლებს მოუწოდებენ იყვნენ ყურადღებით. გადაცემაში ვსმჯელობთ რა უნდა გავაკეთოთ და როდის უნდა შევამჩნიოთ ბავშვს პრობლემა. ვის უნდა მივმართოთ, რომ დავეხმაროთ ჩვენს შვილებს, გადაცემა არის ამაზე და სირცხვილია, როდესაც მავანი და მავანი სკანდალს ქმნის იქ, სადაც სკანდალი არ არის.“ „ბატონებო და ქალბატონებო მე ვითხოვ ბოდიშის მოხდას იმიტომ, რომ თუ გინდა, რომ ადამიანი გაანადგურო, ის უნდა დააბრალო, რის წინააღმდეგაც ის მთელი ცხოვრება იბრძვის.“–განაცხადა მაია ასათიანმა.

28 იანვრის „პროფილის“ ეთერში გასვლის შემდეგ, საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ზოგიერთებისთვის გადაცემა საინტერესო და პრევენციის თვალსაზრისით, სასარგებლო აღმოჩნდა, ზოგიერთებისთვის კი მხოლოდ სკანდალზე ორიენტირებული და რეალურად, არაფრის მომცემი. ბავშვთა უფლებების სფეროში მომუშავეებმა გადაცემის ავტორებს სუიციდის კონკრეტული (თუნდაც გახმაურებული) ფაქტების დასახელება დაუწუნეს. ბევრისთვის ის დარჩა გაუგებარი, რატომ იმეორებდა გადაცემის წამყვანი, რომ თვითმკვლელი გოგონა „ძალიან მაგარია“, რადგან ამაში სუიციდის რომანტიზება

და თვითმკვლელების „ძალიან მაგრებად“ წარმოჩინება დაინახა.

ჩვენი პირველი რესპოდენტი მათ შორისაა, ვინც მედიაში ბავშვთა სუიციდზე მსჯელობას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება.არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ ფაქიზ თემებზე საჯარო დებატები ცუდად აისახება მძიმე წარსულის მქონე ბავშვების ფსიქიკაზე და მსგავსი დებატების მედიასივრციდან პროფესიულ წრეებში გადატანას ითხოვს. ცნობისთვის, არასამთავრობო ორგანიზაცია **„ბავშვი და გარემოს“** ბენეფიციარები ე.წ. ქუჩის და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვები არიან. მათ დასახმარებლად, ორგანიზაციაში შექმნილია მცირე საოჯახო ტიპის სახლები, დღისა და სარეაბილიტაციო ცენტრები, ამგვარად, ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვის მძიმე წარსულისა და ფსიქიკური პრობლემების მქონე ბავშვების პრობლემები კარგად არის ცნობილი. „საერთო გაზეთს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ ხელმძღვანელი **ნანა იაშვილი** ესაუბრა:

– როგორც ბავშვებთან მომუშავე და მათი პრობლემების მცოდნე ადამიანი, ვფიქრობ, რომ სანამ საკითხი ძირფესვიანად არ იქნება შესწავლილი და გამომწვევი მიზეზები არ დადგინდება, ამაზე ხმამაღლა საუბარი არ შეიძლება. მერწმუნეთ, ამან შეიძლება ძალიან ცუდად იმოქმედოს ბავშვებზე და მოზარდებზე. სამწუხაროდ, ჟურნალისტები სენსაციის მაძიებლებად იქცნენ. მხოლოდ იმაზე არიან ორიენტირებული, რომ რაღაც ნახონ, სტატია გამოაქვეყნონ და ამაზე ააგორონ მთელი ამბავი, მაგრამ ეს არ არის სწორი. ასეთი დამოკიდებულება ძალიან მოქმედებს ბავშვების, მით უმეტეს, ისეთი მძიმე წარსულის მქონე ბავშვების ფსიქიკაზე, როგორებიც ჩვენი ბენეფიციარები არიან, ამიტომ ასეთ თემებზე საუბარი ფსიქოლოგების, ფსიქიატრებისა და ფსიქოთერაპევტები დონეზე უნდა მოხდეს და არა სენსაციების მსაძიებელი ჟურნალისტების დონეზე. ხშირად მქონია შემთხვევა, როცა უცოდინარი ადამიანის მიერ არასწორად გაშუქებულმა საკითხმა ბევრი პრობლემა შეგვიქმნა, ამიტომ ეს უნდა მოხდეს პროფესიონალების დონეზე. მიზეზი უნდა იქნას შესწავლილი, რატომ ხდება, რა არის გამომწვევი ფაქტორი, ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი ამაზე და მხოლოდ ამის მერე შეიძლება პრობლემის საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა.

რა რისკებს შეიცავს ბავშვთა სუიციდის თემაზე მომზადებული გადაცემა, შესაძლებელია თუ არა, რომ თემაზე მომზადებული სიუჟეტები მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდეს და რამდენად შეინიშნებოდა ასეთი საფრთხე „რუსთავი 2“-ის ეთერში გადასულ გადაცემაში? ამ კითხვით ფსიქოლოგ **თეონა ლომთაძეს მივმართეთ:**

– კვლევებმაც დაადასტურა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტების უმეტესობაც ვთანხმდებით, რომ ფაქტების და კონკრეტული მაგალითების დეტალურად გაშუქება ნამდვილად იწვევს სუიციდის შემთხვევების პროვოცირებას. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მტკივნეულ თემებზე არავინ უნდა ისაუბროს. სათანადოდ შერჩეული ფორმით, სპეციალისტების აზრის მოსმენა აუცილებელია. უბრალოდ, საუბარია სწორი ფორმის შერჩევაზე და სათანადოდ გაშუქებაზე. ძალიან სასარგებლო და მნიშვნელოვანია ინფორმაციაა, როდესაც სპეციალისტები პროფესიულად ხსნიან პრობლემის მიზეზებს და იძლევიან რეკომენდაციებს, რა არის მნიშვნელოვანი, როგორ უნდა მოხდეს პრევენცია, რა უნდა გაითვალისწინოს მშობელმა, საზოგადოებამ და ინსტიტუტებმა, რომლებიც ბავშვის აღზრდაში არიან ჩართული, თუმცა ესეც კი, დოზირებულად და ფაქიზად უნდა იყოს გადმოცემული, რომ თემის განხილვამ ძალიან დიდი სივრცე არ დაიკავოს. ისედაც ტრაგიკული თემების გამწვავება და არასპეციალისტების მიერ, არასათანადო ფორმით გაშუქება შეიძლება საზიანო გახდეს. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის ეთერში გასულ გადაცემას, ის ნაწილი, სადაც ჩემთვის პატივსაცემი

კოლეგები და სპეციალისტები პრობლემის მიზეზებზე საუბრობენ, საინტერესო და სასარგებლო იყო, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვი გადაცემის იმ ნაწილზე, სადაც კონკრეტულ მაგალითების განხილვა და ემოციურად წარმოჩენა მოხდა. ვფიქრობ, რომ ისედაც უმძიმეს თემას გამძაფრება აღარ ჭირდება და ფაქტის კონკრეტიზების გარეშეც შესაძლებელია სპეციალისტებმა პროფესიული აზრი გამოხატონ და საზოგადოებას რეკომენდაციები მისცენ.

„განათლების ლიგის“ პრეზიდენტი და განათლების ექსპერტი მათ შორისაა, ვისაც „რუსთავი 2“-ზე გასული გადაცემა მოწონს და მიაჩნია, რომ პრობლემის დამალვა შექმნილი ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალი არაა. **მანანა ნიკოლაიშვილი** გადაცემის წამყვანის მიერ სწორად დასმულ აქცენტებზეც ამახვილებს ყურადღებას, თუმცა აღნიშნავს, რომ სუიციდის პრევენციაში სულიერ მოძღვარსა და რელიგიის სწავლებას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება და წუხს, რომ გადაცემაში ამაზე ერთი სიტყვაც კი არ თქმულა.

– არ მესმის ადამიანების, რომლებიც ამ გადაცემის საეთერო ბადიდან ამოღებას ითხოვდნენ. ვფიქრობ, რომ გადაცემაში ისეთი არაფერი თქმულა, რაც ბავშვების ან ზრდასრულების უფლებებს შელახავდა. დიახ, ძალიან მძიმედ მოსასმენი თემა იყო, მაგრამ ყველაფერი სტანდარტების სრული დაცვით იყო გაკეთებული და პრევენციის თვალსაზრისით, მოსახლეობას სასარგებლო ინფორმაცია მიაწოდა.

– გადაცემის მიმდინარეობისას, წამყვანმა იკითხა რატომ არ არის ყველა სკოლაში თითო ფსიქოლოგიო. შეიძლება მაია ასათიანმა არ იცის, მაგრამ ჩვენ ხომ მშვენივრად გვახსოვს, რომ სკოლებიდან ექიმები და ფსიქოლოგები იმ პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაიყვანეს, რომელთანაც „რუსთავი 2“ ასოცირდება?

– დიახ, სააკაშვილის ხელისუფლების დროს, სკოლებიდან მასობრივად გამოუშვეს ექიმები და ფსიქოლოგები, მაგრამ არც „ქართულ ოცნებას“ დაუბრუნებია. დიახ, მანდატურის სამსახურთან გააკეთდა საკმაოდ ეფექტური ფსიქოლოგიური დახმარების სამსახური, მაგრამ ეს საკმარისი არაა. თქვენ ვერ ნახავთ ევროპაში სკოლას, რომელსაც ფსიქოლოგიური სამსახური არა აქვს, ამიტომ თუ ევროპისკენ მივდივართ, სკოლაში აუცილებლად უნდა იყოს არა თუ ფსიქოლოგი, არამედ, ფსიქოლოგიურ- მეთოდოლოგიურ- პედაგოგიკური კვლევითი ლაბორატორია. მხოლოდ

მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა არის თანამედროვე და პასუხობს რეფორმის მოთხოვნებს.

– გადაცემაში ამის შესახებ არაფერი თქმულა, მაგრამ იქნებ თქვენ გვითხრათ, ბავშვთა გაზრდილი სუიციდის პრევენციაში რა როლი ენიჭება სულიერ მოძღვარს და რელიგიის სწავლებას?

– სამწუხაროდ, ერთი სიტყვითაც არავის უთქვამს, რომ საჭირო და აუცილებელია, რომ სკოლას ჰყავდეს მოძღვარი, რომელიც იზრუნებს ბავშვების სულიერ მდგომარეობაზე. არავის უთქვამს, რომ სკოლებში უნდა აღდგეს ასევე წინა ხელისუფლების დროს გაუქმებული რელიგიის სწავლება. როცა სკოლებში იქნება ფსიქოლოგიური სამსახური და საკვლევო ლაბორატორია, რომელიც პედაგოგებთან ერთად, მეცნიერულ დონეზე შეისწავლის თითოეული ბავშვის ქცევებს და მიღწევებს, როცა სკოლას ეყოლება მოძღვარი და ექნება რელიგიის სწავლება, მაშინ არავის არაფერი გამოეპარება და ბავშვთა სუიციდის შემთხვევებს 98-99%-ით შევამცირებთ. აუცილებლად უნდა ავღნიშნო, რომ რომ დაუშვებელია თანამდებობაზე იმ სკოლის დირექტორის დატოვება, რომელმაც თავი არ შეიწუხა, რომ 700 მეტრი გაევლო, საკუთარი მოსწავლის ოჯახში მისულიყო და გაერკვია, რატომ აცდენდა ბავშვი თვეობით გაკვეთილებს. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ გვყავს სკოლის დირექტორი, რომელიც ამბობს სად მიწერია, რომ ვალდებული ვარ, ოჯახებში ვიარო და ვაგებინო, რომ ბავშვი არ დადისო? ალბათ, ამ ადამიანს წარმოდგენა არა აქვს, რომ სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია მოსწავლის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე და ანგარიშვალდებულია სახელმწიფოს წინაშე. ანგარიშვალდებულებაში შედის ყველაფერი, რაც წერია ზოგადი განათლების კანონში და მათ შორის ისიც, რომ სკოლის დირექტორმა ბავშვების გაკვეთილზე დასწრება უნდა უზრუნველყოს. ასეთი დირექტორი მთელი განათლების სისტემის კრახია და იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო სკოლებზე კონტროლს ვერ ახორციელებს. ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელსაც განათლების სისტემის მართვის სტრუქტურა არა აქვს. მართვის სტრუქტურა რომ გვქონდეს, მაშინ არც ასეთი სკოლის დირექტორები გვეყოლებოდა და ვერც ასეთ სისულელეს იტყოდნენ.

ნელი თორდია
571 35 36 88

მიუხედავად აშშ-ს და ევროპის მიერ საქართველოსთვის გაწეული მრავალმილიარდიანი დახმარებისა, რატომ იყურება საქართველოს მოსახლეობა მაინც ევრაზიისკენ?

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე:

– ბატონო დიმა, „ვაშინგტონ პოსტში“ სტატია გამოქვეყნდა, სადაც შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მიუხედავად დასავლეთის მიერ საქართველოსთვის გაღებული მილიარდებისა, საქართველოს მოსახლეობა მაინც ევრაზიისკენ იყურება. თქვენი აზრით, რა მიზეზები აქვს ამ ყველაფერს?

– 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, აშშ-სთან სტრატეგიული ქარტია მივიღეთ. საზოგადოებაში დიდი იმედი და მოლოდინი გაჩნდა იმისა, რომ აშშ-სთან უპრეცედენტო ურთიერთთანამშრომლობის საერთაშორისო მნიშვნელობის ხელშეკრულებას აუცილებლად ქმედითი ნაბიჯები მოჰყვებოდა. სწორედ აქედან მინდა დავიწყო თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა – რა მოხდა 2008 წლის შემდგომ, როდესაც საქართველომ 4-მილიარდიანი დახმარება მიიღო?! ამ დროს მუნიციპალური განვითარების ფონდში დიდძალი თანხები იმისთვის ირიცხებოდა, რომ პოსტ. ომის პერიოდის რეაბილიტაცია მომხდარიყო, რასაც, სხვათა შორის, მარშალის გეგმასაც კი უწოდებდნენ – საქართველოსთვის, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიის რეაბილიტაციის ისტორიულად უპრეცედენტო მოვლენის ანალოგიას, რასაც პოლიტიკურ დონეზე იმ მიზნისთვის უნდა მიეღწია, რომ საქართველო მიმზიდველი ქვეყანა, ეკონომიკური ჰაბი გამხდარიყო და ამავე დროს, პოლიტიკური ცენტრი, მათ შორის, სეპარატისტული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადგილზე დარჩენილი მოსახლეობისთვის, რათა ამ გზით დეოკუპაციის კონცეფციის მთავარი განმსაზღვრელი ვექტორების ჩამოყალიბება მომხდარიყო. მაგრამ, პრიორიტეტებთან დაკავშირებით, აქცენტები არასწორად გაკეთდა. ის, რომ დღესდღეობით, „ვაშინგტონ პოსტში“ სტატიები იწერება თემაზე: საქართველომ დასავლეთიდან ძალიან დიდი დახმარებები მიიღო და ამისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება არარელევანტურია, რომლის ძალიან დიდი ნაწილი დღეს ევრაზიული კავშირისკენ იხრებაო, ეს, ჩემი აზრით, გარკვეულწილად, ქართული საზოგადოების წინააღმდეგ შეურაცხმყოფელ კონტექსტსაც ატარებს. გეტყვით, რატომაც – ქართულ საზოგადოებას ამ 4 მილიარდის ჯერადი კეთილდღეობის კოეფიციენტი, საკუთარ თავზე, არ უგრძვნია. ეს იყო ინექცია საქართველოს ხელისუფლებაში, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მინიმუმ 50 წლით დარჩებოდა, რასაც სააკაშვილი და მისი ხროვა არც მალავდნენ.

– თქვენ ახსენეთ, რომ 4-მილიარდის სიკეთე მოსახლეობას არ უგრძვნია. გაუგებარია, რას ამადლიან ქართველ ხალხს – ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებისთვის, გეი-პარადების გამართვისთვის და ა.შ. მოცემულ თანხებს? ეს 4 მილიარდი ხომ მათი გეგმის განხორციელების ნაწილიც იყო?

– დიახ, ისინი ქართველ ხალხს 4 მილიარდს ამადლიან. სინამდვილეში, ეს 4 მილიარდი რეგიონში და კერძოდ, საქართველოში მათსავე გეოსტრატეგიულ ინტერესებს ხმარდება, რომლის უშუალო აღმასრულებელი ერთი პოლიტიკური პარტია – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა“. ამ ოთხი მილიარდის მანიპულირება სხვადასხვა ფონდების საშუალებით ხდებოდა. დასამალი არაა, რომ ე.წ. ატკატებით შავი სალარო ივსებოდა. შავი სალარო არჩევნებამდე 3-4 თვით ადრე, ე.წ. დასაქმების პროგრამების განხორციელების გზით, სასურველი ელექტორალური მასის შექმნას ემსახურებოდა. გარდა ამისა, ბოროტების რეპრესიული მანქანა ჩართული იყო სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ დაუნდობელი ლიკვიდაციისა და განეიტრალების კუთხით. თუ დავაკვირდებით დავინახავთ – თითქოს ეკონომიკური აღმავლობის ეფემერული ეფექტები იქმნებოდა, არადა, ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო იმასთან, რომ როგორც ორთქლმავალში ქვანახშირს, ამ დოლარებს ისე გვაყრიდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ქვეყანაში სწორი პოლიტიკური მმართველობის ეფექტი შექმნილიყო. სინამდვილეში, ეს ფული სრულად ხმარდებოდა მრავალი ათეული წლის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ ჰეგემონიის შენარჩუნებას.

– ბატონო დიმა, ამერიკის მოცემული დახმარებების მერე არც დასაქმების კუთხით შეცვლილა რამე და არც სოფლის მეურნეობას დასტყობია ხელი. შევარდნაძის პერიოდში სავალუტო მსოფლიო ფონდმა დახმარებაზე უარი გვითხრა, რადგან ჩვენთან კულტურა, განათლება, მეცნიერება ყვაოდა. ეს ყველაფერი მიზანმიმართულად გავაჩანაგეთ და გრანტებიც „დავიმსახურეთ“. კარგად მახსოვს, ვალავის მოწოდებაც ვაზის გაჩეხვისკენ. რა პრეტენზიები აქვს ყოველივე ამის მეე აშშ-ს?

– ძალიან კარგი შეკითხვაა და მისასალმებელია, რომ ჟურნალისტურ მახსოვრობას, ამ შემთხვევაში, შესანიშნავად დაუფიქსირებია საქართველოში სავალუტო მსოფლიო ფონდის მისიის ხელმძღვანელის შადმან ვალავის მსახვრალი ხელი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მიმართ სრულიად აკვიატებული, არაადეკვატური, ლოგიკას აცდენილი მოთხოვნები ჰქონდა. იგი ღიად გვეუბნებოდა, რომ საქართველო მომხმარებელი ქვეყანაა და არამც და არამც მწარმოებელი, მათ შორის, ინტელექტუალური პროდუქციისა. შეგვეძლო ფარულად მაინც გვემუშავა ქართული ეკონომიკის განვითარებაზე მაგრამ, ამ მხრივ, ქვეყანაში საერთოდ არაფერი გაკეთებულა. მითუმეტეს, 4-მილიარდიანი ინვესტიციის უპრეცედენტო ფინანსურ-მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერის ფონზე, ის რაც საქართველოში პირველ რიგში უნდა გაკეთებულიყო, ესაა ტრადიციული ეკონომიკების – წყლის, ტურიზმის, სამედიცინო ტურიზმის განვითარება. ბალნეოლოგიური კურორტების ათვისება ალბათ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, რათა საქართველოს რაღაც მაინც დარჩენოდა. როცა ფაბრიკა-ქარხნებს ვახსენებთ, ამაზე უაპელაციოდ საუბარი არ შეიძლება იმ პირობებში როდესაც იცი, რომ მსოფლიო ბაზარი ჭარბი წარმოებითაა გაჯერებული და თუ შენ კონკურენტუნარიან პროდუქციას არ ჰქმნი, ბუნებრივია, შენი საქონელი არსად არ გაიყიდება. ფაბრიკა ფაბრიკისთვის და ქარხანა ქარხნისთვის ეს მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგია. რაც შეეხება ტრადიციული ეკონომიკების და, მათ შორის, სოფლის მეურნეობის განვითარებას, მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეჭირა როგორც ეკოლოგიურად სუფთა და იმ პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით, რაზეც მსოფლიო ბაზარზე ყოველთვისაა მოთხოვნები. ამ მხრივ, არაფერი გაკეთებულა.

ამ დროს თბილისში „იბიარდის“ წლიური კონფერენციის – ამ საერთაშორისო ფორუმის მომსახურეობისთვის 64 ახალი ავტომანქანა შეიძინეს მხოლოდ ერთადერთი მიზნით – შემდგომში ეს შეძენილი მანქანები ჩამოწერეს და გადააწერეს მთავრობისა თუ პარლამენტის წევრებს მათი მომსახურეობის მიზნით. საოკუპაციო ზოლში დარჩენილი ქართველებისთვის რაღაც ხომ უნდა კეთდებოდეს. ფაქტია, ეს მიზანმიმართულია. ნელ-ნელა იქედანაც მოხდება მათი აყრა და საბოლოოდ, საქართველო როგორც ტერიტორიულად ისე მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობით, შაგრენის ტყავივით დავიწროვდება.

– სააკაშვილი დასავლური კურსის მიმდევარი იყო, მაგრამ შედეგად ცოცხები, 25 ათასი პატიმარი და 300 ათასი პრობაციონერი მივიღეთ. ზოგადად, რას ნიშნავს დასავლური კურსი, ეს ტურისტული მარშუტი ხომ არ არის ან ბილეთი თბილისი-ბერლინი. დღეს, ეს პროდასავლელები რუსეთის ბაზარზე ღვინისა თუ ჩაის შეტანის თემას აბითურებენ, არადა ეს ხომ ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხია?

– ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა. დავეყრდნობი ეკონომიკურ ექსპერტებს, რომლებიც არ მალავენ ნეგატიურ განწყობებს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ეკონომიკის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მაპროვოცირებელი ფაქტორი რუსეთთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების 42%-ით შემცირება გახლავთ. თურმე, ამან შეიძლება სავალალო შედეგი გამოიწვიოს. ფაქტია, რომ ჩრდილოელი მეზობელი, როემლთანაც ჩვენ 800-კილომეტრიანი საზღვარი გვყოფს, ერთ-ერთი უმთავრესი სავაჭრო ეკონომიკური პარტნიორია. ის ფაქტი, რომ დღეს, ევროპაში ჩვენი ექსპორტი 6%-ით გაიზარდა, ვერასდროს იქნება მაკომპენსირებელი რუსეთთან 75%-იანი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობებისა. პროცესების ასეთი ხელოვნურად შეჩერება იმ პოლიტიკური კონიუნქტური-

ხომ არ შეიძლება სახელმწიფო მოქალაქეებისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საწყობად ვაქციოთ!

შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა 22 იანვარს ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდებული ანასტასია ზაუტაშვილი მოინახულა და მას კვალიფიციური ადვოკატის აყვანას და მისი წამების საქმის გამოძიების დაჩქარებას დაჰპირდა. რომელი მხარე იყო ამ შეხვედრის ინიციატორი, არსებითი მნიშვნელობა მაინცდამაინც არ აქვს. მედიის და საზოგადოების ყურადღება ერთ-ერთი სააგენტოს მიერ გავრცელებულმა ელისაშვილის გამონათქვამმა მიიქცია, რომ იგი ცდილობს კვალიფიციური და სინდისიერი ადვოკატი მოუძებნოს ანასტასია ზაუტაშვილს. ისეთი ადვოკატი, რომელიც რეალურად ეცდება ახალი გარემოებების აღმოჩენას საქმეში და სასამართლოს გზით ივლის, არ გამოიყენებს ზაუტაშვილის საქმეს პოლიტიკური სპეკულაციისთვის, როგორც მისი სხვა ადვოკატები ცდილობდნენ. ოთხი საათი ვისაუბრეთ, მე და მსჯავრდებულმა ზაუტაშვილმა, ვუთხარი, რომ პირადად მასთან კი არა, კორუმპირებულ პოლიტიკოსებთან მქონდა. ზაუტაშვილის ადვოკატი იყო მანანა კობახიძე და მისი ძმაც, ბოლოს მირიან ნიკოლაძე და სხვები. ეს ხალხი ცდილობდნენ, რომ თავის სასარგებლოდ ან პოლიტიკური ქულების დასაწერად გამოეყენებინათ ზაუტაშვილიც და სხვებიც, მას უყურებდნენ, როგორც სერიოზული თანხის გადამხდელს. ახალ ადვოკატს მალე დავასახელებო, ვკითხულობთ გავრცელებულ ნიუსში. მოხდა თუ არა აწ საკრებულოს დეპუტატის ელისაშვილის სიტყვების არასწორი ინტერპრეტაცია, უცნობიაო, მოგვიანებით გვამცნო „რუსთავი-2“-მა. რა სტატუსით შეხვდა ბატონი ელისაშვილი მსჯავრდებულ ქალბატონს, ჰქონდა თუ არა მას ამის უფლება, მართლაც ჟურნალისტის მიერ მოხდა მისი სიტყვების არასწორი ინტერპრეტაცია, ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ანასტასია ზაუტაშვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მირიან ნიკოლაძე გვესაუბრა.

– ალეკო ელისაშვილს მსჯავრდებულის მონახულების უფლება ჰქონდა, ეს უფლება სამართლებრივად რეგულირდება, თუ მსჯავრდებული და გარედან შემსვლელი პირიც თანახმაა, პრობლემა არ არსებობს. პატიმრობის შესახებ კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად, ახლო ნათესავების გარდა სხვა პირსაც შეუძლია მსჯავრდებულთან შეხვედრა, რამდენადაც ვიცი, ეს სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან წამახალისებელ ქმედებად ითვლება, ზოგადად არასტანდარტული, მაგრამ დაშვებული ქმედებაა. ელისაშვილმა და ზაუტაშვილმა შეხვედრისას დიდხანს ისაუბრეს, საქმის კურსში ვარ, მაგრამ დეტალების განხილვას არ ვაპირებ, მხოლოდ იმ ნაწილზე ვისაუბრებ, რაც მე, როგორც ადვოკატს მეხება და „ინტერპრესნიუსით“ გავრცელდა, ამ ნაწილს სერიოზული კორექცია სჭირდება. მე შევხვდი მსჯავრდებულს, ჩვენში დიდი გაკვირვება გამოიწვია სააგენტოს განცხადებამ, რადგან ელისაშვილისა და ზაუტაშვილის საუბრის შინაარსისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიციაა დაფიქსირებული სააგენტოს განცხადებაში. ზაუტაშვილი ჩემს საპატიმროში შესვლამდე დაკავშირებია ალეკო ელისაშვილს, ამ კანასკნელს უთქვამს, რომ ეს იყო არასწორად გასული ინფორმაცია, რაც მან ტელევიზიითაც დაადასტურა. ამ საქმეში დამატებით სხვა ადვოკატის ჩართვის საკითხი ისედაც გადაწყვეტილი იყო, რადგან ჩვენს გვქონდა სურვილი, რომ ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულების უდანაშაულობის საკითხი თუნდაც ალეკო ელისაშვილისთვის უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი ყოფილიყო. ამ საქმეში ასე ვთქვათ, გენერალურ ხაზს ისევ ჩვენ წარვმართავთ, ჩართულ ადვოკატთან კოორდინაცია ბუნებრივია გვექნება, რადგან ერთი ადამიანის ინტერესებს დავიცავთ.

– ამ საქმესთან დაკავშირებით დღეს რა ეტაპზეა გამოძიება, თუ არის რაიმე ძვრები?

– არავითარი ძვრა, ორთაჭალაში მდგომ შენობაში, მთავარი პროკურატურა რომ ჰქვია, საერთოდ არაფერი ხდება, როგორ შეიძლება 2012-2013 წლებში აღძრულ სს-ის საქმეებზე დღემდე შედეგი არ იყოს დამდგარი. მხოლოდ წართმეულ ავტომანქანებს უბრუნებენ პატრონებს, რომლებიც ცხრა წელი ნაციონალებს ჰქონდათ ფეხქვეშ გადებული, 100.000 დოლარი ღირდა თავის დროზე, ახლა კი ისეთ მდგომარეობაშია 1000 დოლარიც აღარ ღირს, ეს არის სამართლიანობის აღდგენა? ამიტომ ვუთხარი მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებს, თქვენ პროკურატურა კი არა, კომუნისტებისდროინდელი „ატეკა“ (ავტოპარკი) ხართთქო. ეს უბედურება მარტო ე.წ. კოკაინის საქმეს ხომ არ ეხება, უამრავი ადამიანია დაზარალებული. ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, სამი სს-ის საქმეა აღძრული, ანასტასია ზაუტაშვილისა და სამი სხვა მსჯავრდებულის ცემა-წამების ფაქტზე, ამ ადამიანებისგან ამოღებული ქონების მითვისების ფაქტზე, ასიათასობით ევროა წაღებული ე.წ. დამნაშავეებისგან სამართალდამცავების მიერ, რომელიც უკვალოდაა გამქრალი, ასევე ე.წ. ბრალდების მოწმის კახა სვანაძის ცემა-წამებასთან დაკავშირებით, რომელსაც ამ მეთოდით მიაცემინეს ამ ადამიანების წინააღმდეგ ჩვენება. სვანაძე რამდენიმე ხნის წინ მთავარ პროკურატურასთან გაშლილ კარავში შიმშილობდა, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია მის პროტესტს. სხვათა შორის, მეოთხე საქმეც ყოფილა აღძრული, პროკურატურამ თვითონ მომწერა, საქმეს ნომერიც აქვს მინიჭებული, ოღონდ რას იძიებენ კაცმა არ იცის. ახლახან თავად ანასტასია ზაუტაშვილის შიმშილობდა რვა დღის განმავლობაში, რაღაც შედეგი ხომ უნდა დამდგარიყო, მაგრამ არავითარი რეაგირება. რატომ არ იძიებენ ამ საქმეებს ამდენი ხნის განმავლობაში, ეს პროკურატურას უნდა ჰკითხოთ. სამი წლის წინ მითხრეს პროკურატურის წარმომადგენლებმა, ყველაზე პერსპექტიული საქმეა, ნეტავ ამდენი ჩვენებები სხვა საქმეებზე გვქონდესო, მაგრამ დღემდე ერთი კაციც არ არის პასუხისგებაში მიცემული, პასუხსაც ვერ ვღებულობთ. ასე რატომ ხდება. „თხა და გიგოს“

10 გვ.

თაა ნაკარნახევი, რასაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები საქართველოსგან მოითხოვენ, ქართველი ერის ეკონომიკური მდგომარეობისა და სტაბილურობის საკითხი მათ რეალურ დღის წესრიგში არ განიხილება. მათთვის საქართველო მნიშვნელოვანი გეო-სტრატეგიული, გეოგრაფიული არეალია, საიდანაც რუსეთისთვის, პრობლემების შექმნის კონკრეტული გეგმები განიხილება ისე როგორც, ეს დასავლეთმა უკრაინაში მოახერხა. ვინ წააგო იმით, რომ უკრაინა გაიხლიჩა რამდენიმე ნაწილად და ყირიმი ორ კვირაში რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ისე, რომ მის სამართლებრივ საკითხებზე მსოფლიო მედიას საერთოდ აღარ საუბრობს? – რა თქმა უნდა, უკრაინელმა ხალხმა. ახლა, მთელი პოლიტიკური დუღილის გასაშუქებელი ეპიცენტრი კიევია. რა თქმა უნდა, უკრაინის სცენარი არაა მხოლოდ უკრაინისთვის მოფიქრებული. რაც შეეხება საქართველოს, არის თუ არა ჩანაფიქრი, რომ 2008 წლის მოვლენები სხვადასხვა სცენარით განმეორდეს? ჩვენ, ძალიან კარგად ვხედავთ, რომ ოდესის გუბერნატორის – მიხეილ სააკაშვილის რიტორიკაში, ყოველივე ეს, ძალიან მკაფიოდ იკვეთება. იმის ნაცვლად, რომ დღევანდელი ხელისუფლება ისლამური სახელმწიფოს ფაქტორს ჩვენი ქვეყნისთვის უმთავრეს გამოწვევად განიხილავდეს, საბოლოო ჯამში, მაინც საფრთხეებს შორის რუსეთთან დაკავშირებული თემებით პრევალირებს, რისი ერთ-ერთი მთავარი მოტივატორიც თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი გახლავთ, რომელიც აქცენტებს კვლავ შეიარაღებაზე აკეთებს. საინტერესოა, რომელ შეიარაღებაზეა საუბარი?! როგორ უნდა შევაიარაღოთ 37 ათასკაციანი ქართული შეიარაღებული ძალები, რომლის დიდი ნაწილი 15 წელიწადზე მეტია კოსოვოში, ერაყში, ავღანეთში და ა.შ. სამშვიდობო მისიებში იღებს მონაწილეობას. პირდაპირ შევხედოთ სიმართლეს თვალებში, ეს არა საქართველოს საერთაშორისო მისიაში კონტრიბუციის შეტანის, არამედ ჯარისკაცების ხელფასის ანაზღაურების თვალსაზრისით ყველაზე უფრო მიმზიდველი საშუალებაა. მაშინ როცა ქვეყანაში 835 ათას ბენეფიციარზე 160 ლარიანი საპენსიო შემწეობაა, 1000 დოლარიანი ჯამაგირი, ბუნებრივია, მათ შორის, სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენების გათვალისწინებითაც კი, მიმზიდველია არა მარტო ავღანეთში წასული ჩვენი ჯარისკაცებისთვის, არამედ მათი ოჯახის წევრებისთვისაც, რომელთათვისაც ეს უკიდურესი ნაბიჯია. ბუნებრივია, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, საუბარი იმაზე, რომ საქართველოს კვლავ უნდა შეიარაღებით წინააღმდეგობის პოლიტიკის გატარება, სასაცილოა. ეს ხომ ნიშნავს, რომ საზარბაზნე ხორცად გავწირავთ დანარჩენ ჯარისკაცებს, ვინც 2008 წელს სიკვდილს გადაურჩა. ქართულ ჯარს, გამოწვევების გამკლავების თვალსაზრისით, ადეკვატურად უნდა ვაფასებდეთ. კი ბატონო, ეს აუცილებლად უნდა იყოს დივერსიული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის მზაობა, ასევე, გარკვეულ კოალიციურ რეჟიმში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ფარგლებში მონაწილეობა, მაგრამ ის რომ ქართული სახელმწიფო რუსეთს დაუპირისპირდეს და შევიქმნათ ილუზია, რომ ჩვენ შევძლებთ რუსეთთან დაპირისპირებით სამხედრო კონფრონტაციის ფარგლებში საკუთარი ეროვნული ინტერესების გამართლებას, ასეთი იდეა მხოლოდ საქართველოს მტერს თუ მოუვა თავში. დიდი რვიანის წევრ, ბირთვულ სახელმწიფოს, რომელსაც მრავალათეულ მილიონიანი არმია ჰყავს, თვალის დახამხამებაში შეუძლია, უომრად, სარაკეტო დარტყმებით აღგავოს საქართველო მიწისაგან პირისა. ამ შემთხვევაში, „დემოკრატიულ მოძრაობას“ და მის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს როგორც ერთი რიგითი მოქალაქე ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმიტომ, რომ ჩვენი ძალა, რომელიც ასეთი ექსპანსიების წინააღმდეგია ყოველთვის მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნება იმ კუთხით, რომ ხელისუფლებამ სისულელე არ ჩაიდინოს და 2008 წლის მოვლენები არ გაიმეოროს. საზოგადოება კარგად ხედავს რომ ჩვენი მიზანი არაა რომელიმე სამხედრო პოლიტიკური ალიანსი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ხომ არ შეიძლება სახელმწიფო მოქალაქეებისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საწყობად ვაქციოთ!

9 გვ.

ამბავს ჰგავს ეს ყველაფერი, 2013 წლის მერე სხედან და უყურებენ ამ საქმეებს ზარმაც გიგოსავით.

ე.წ. კოკაინის საქმის გარდა, კიდევ ორი საქმე მაქვს პროკურატურაში გასაჩივრებული, რომელიც მაშინდელი სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორ როლანდ ახალაიას და მისი ხელქვეითის რომეო საჯაიას სახელს უკავშირდება, რომელიც დღეს ადვოკატად მოგვევლინა. ამ საქმეებზეც მითხარეს, რომ ძალიან პერსპექტიული იყო, აქაც უამრავი ჩვენებებია, მაგრამ შედეგი ნულია. ერთ-ერთი საქმე ზუგდიდის უნივერმაღის ჩამორთმევას ეხება. ქალაქის ცენტრში მდებარე უნივერმაღის შენობა ბიზნესმენმა დავით როგავამ 2007 წლის მარტში იყიდა აქციონერებისგან. წარმოიდგინეთ, თქვენ რომ ყიდდეთ რაღაცას, მე რომ ვიყიდო და მერე მოგვადგნენ და ორივე დაგვიჭირონ, რატომ გაყიდე და იყიდეო. საბედნიეროდ, გამყიდველ-მყიდველს ციხეში ჯდომა არ მოუწიათ, რადგან ქვეყნიდან გასვლა შეძლეს. დავით როგავა ამ ობიექტის შეძენისას საქართველოში არ იყო, მისმა წარმომადგენლებმა, იურისტებმა თორნიკე ცხადაიამ და თამაზ ქანთარიამ მოაწერეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას ხელი, მესაკუთრეებად ისინი დარეგისტრირდნენ. მეორე მხრიდან სააქციო საზოგადოების თავმჯდომარე გულნარა ჯინჯოლავა მისცეს პასუხიგებაში, რადგან ყველა აქციონერს ხომ არ დაიჭერდნენ. თავიდან ეს ქალბატონი დაიჭირეს, თუმცა გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს და მან მოახერხა ქვეყნიდან გასვლა. სამივეს მიუსაჯეს დაუსწრებლად და ეს ადამიანები ხუთი წელი ძებნილები იყვნენ. გულნარა ჯინჯოლავას რა ბრალი წაუყენეს დაზუსტებით ვერ მოგახსენებთ, რადგან მის ინტერესებს სხვა ადვოკატი იცავდა, რაც შეეხება ცხადაიას და ქანთარიას, ბრალდება რამდენიმე ფურცელს მოიცავს, სადაც ეს პიროვნებები არ ჩანან, სადღაც ბოლოშია მიწერილი, რომ თურმე ცხადაიამ და ქანთარიამ 2007 წელს იცოდნენ, რომ 1996 თუ 1997 წელს სააქციო საზოგადოებამ არასწორად მოახდინა ხსენებული უნივერმაღის პრივატიზაცია. ცხადაია ჩემი თანაკურსელია, იმ პერიოდში მესამე კურსის სტუდენტები ვიყავით და საიდან უნდა სცოდნოდა ზუგდიდში ქონების პრივატიზების პროცესი როგორ ტარდებოდა. რახან გულნარა ჯინჯოლავამ გამოძიებას არ დაუდასტურა ცხადაია-ქანთარიას „გათვითცნობიერებულობა“ ამ საქმეში, ვიღაც ხომ სჭირდებოდათ მოწმედ? „გამოიჭირეს“ ზუგდიდელი საჯარო მოხელეები, სამი პიროვნება



როლანდ ახალაია

და მათ „დაადასტურებინეს“. ამ სამიდან ორი ამბობდა, რომ თურმე ზუგდიდის ბაღში ამ იურისტებთან ერთად სეირნობდნენ, სადაც ხალხი ამბობდა უნივერმაღი უკანონოდაა პრივატიზებული, მიტაცებული ქონებაა და ამათაც გაიგეს. აი, ეს აბსურდი დაუდეს ბრალად. არადა, როგორც გამოვარკვიეთ, იმ პერიოდში, როცა დავით როგავას მიერ მოხდა უნივერმაღის შესყიდვა, უკანონო პრივატიზებასთან დაკავშირებით სს-ის საქმე არ ყოფილა აღძრული, ქონება არ იყო დაყადაღებული, არც მომჩივანი არსებობდა და რატომ არ უნდა შეეძინა ამ ადამიანს. როგორც გითხარით, 2007 წლის მარტში მოხდა ობიექტის შესყიდვა, პროკურატურამ კი იმავე წლის შემოდგომაზე აღძრა სს-ის საქმე „არასწორ“ პრივატიზებასთან დაკავშირებით, ე.ი. ექვსი თვით ადრე „ვიცოდით“, რომ პრობლემური ქონება იყო, მაგრამ მაინც ვიყიდეთ. რა თქმა უნდა, როლანდ ახალაიას პირადი დაინტერესებით მოხდა ეს ყველაფერი, ბატონი ახალაია შეხვდა როგავას და მის მეუღლეს, რომელიც ასევე ბიზნესმენია, რატომ გადამახტით, უჩემოდ რატომ იყიდეთ ეს ობიექტიო. როგავამ და მისმა მეუღლემ ეს თავის ჩვენებაში დაადასტურეს. პროკურატურამ რადგან ხელი არ გაანძრია ამ საქმესთან დაკავშირებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრე ზუგდიდის სასამართლოს განაჩენი ცხადაიას და ქანთარიას დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით და ზემდგომმა სასამართლომ ორივე უდანაშაულოდ ცნო. მთავარმა პროკურატურამ, მართალია, აღძრა სს-ის საქმე ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ როლანდ ახალაია და რომეო საჯაია პასუხისგებაში არ მიუციათ. ეს „ტანდემი“ მეორე საქმეშიც ფიგურირებს.

— საჯაიას რა შეხება ჰქონდა ამ საქმეებთან?

— ის ამ საქმეებზე ჯერ გამომძიებელი იყო, მერე გახდა საგამოძიებო სამსახურის პროკურორი, ბოლოს განყოფილების უფროსი. ეს არის დაბალი კვალიფიკაციის იურისტი, სისხლის სამართლის არმცოდნე, რომელიც ბოლშევიკური სულისკვეთებით გამოირჩეოდა. თუ სხვა გამომძიებლები მეტნაკლებად ცდილობდნენ, რომ ასეთი სიბინძურე არ გაეკეთებინათ, საჯაია პირიქით, ყველაფერზე „მიდიოდა“. იმ საქმეზე, რომელშიც ადვოკატად ვიყავი ჩართული, ვიცი, რომ ორმა გამომძიებელმა უარი თქვა, რადგან დარწმუნდნენ რა აბსურდიც იყო. საჯაიას კი უთქვამს, მე ჩამაბარეთ და შედეგს მივიღებთო, ერთი სიტყვით „გააპრავა“ ეს აბსურდი. აქვე უნდა აღინიშნოს მოსამართლე დავით კეკენაძის „ღვაწლიც“, რომელიც დღესაც მოსამართლეა, თუ არ ვცდები ხელვაჩაურში. კეკენაძე მაშინ ზუგდიდის მოსამართლე გახლდათ და მისი ხელით „პრავდებოდა“ ყველა სიბინძურე, რასაც როლანდ ახალაია აკეთებდა. სიმართლე გითხრათ, თავიდან პროკურატურა წინააღმდეგი იყო, უნივერმაღის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს წესით რომ გვედავა, მაგრამ მივაღწიეთ ჩვენი მხარე გამართლებულიყო, მაგრამ უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას საშველი არ დაადგა. მთავრობა სულ იმას ამბობს, მეწარმეობის განვითარებას შევუწყოთ ხელიო, თუმცა ცარიელ სიტყვებად რჩება. დავით როგავა იხვეწება, დამიბრუნეთ ეს შენობა, შევაკეთებ, ავამუშავებ, ხალხს დავასაქმებო, მაგრამ ყურს არ იბერტყავენ. ეს შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, ცხრა წელია უმოქმედოდაა მიგდებული, ერთი თეთრი შემოსავალი არ მოუტანია სახელმწიფოსთვის, ვერ გავიგე, ურჩევნიათ ასე გავერანდეს, რა უდგას წინ მის მფლობელისთვის დაბრუნებას? მეორე საქმეც, რომელიც ზუგდიდის სასტუმრო „ოდიშს“ უკავშირდება, დიდი ზარზეიმით შექმნილ სპეციალურ საგამოძიებო დეპარტამენტში მაქვს გასაჩივრებული. ამ სასტუმროს წილი ზუგდიდელ ბიზნესმენს ლადო აბსანძეს ეკუთვნოდა. მისი ოჯახის წევრები პირადად რომეო საჯაიამ გამოიძახა პროკურატურაში, ყველას დაგიჭერთ თუ კუთვნილ წილებს არ გადმოგვიფორმებთო (აბსანძეს შენობის ნაწილი ეკუთვნოდა), ასე მუქარითა და დაშინებით აიძულეს კუთვნილი ქონების გადაფორმება. მარტო აბსანძის ოჯახის წევრების კი არა, მისი მეგობრების მიმართაც იყო ზეწოლა, რომლებიც თუ არ ვცდები, მაშინ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები იყვნენ. აქვე ერთი საინტერესო დეტალი: ლადო აბსანძის დას, რომელიც პროკურატურაში ქონების დათმობასთან დაკავშირებით ჰყავდათ დაბარებული, გამზადებული „ფორმა“ დაუდეს, აქედან გადაიწერე ტექსტი და საჭირო ადგილზე შენი გვარ-სახელი ჩასვიო. იმ დოკუმენტში ეწერა, რომ მანამდე სხვა პირს ჰქონდა „თავისი ნებით“ დათმობილი ზუგდიდში მდებარე სხვა მსხვილი ობიექტი. ისე იყვნენ გათავხედებული პროკურატურის წარმომადგენლები, რომ აღარც მალავდნენ, ვის რა წაართვეს. ამ ქალბატონმა თავის ჩვენებაში აღწერა ეს ყველაფერი, მაგრამ რად გინდათ... დევს ეს საქმეც ხსენებულ დეპარტამენტში და „აკვირდებიან“, თუმცა მერე უკვირთ, რატომ არის ხალხი მოქმედი ხელისუფლების მიმართ გაღიზიანებული და უკმაყოფილოო. აბსანძის წართმეული ქონებაც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. მარტო ერთ ადვოკატს სამი საქმე მაქვს, რომელიც სამართლიანობის აღდგენას უკავშირდება, ჩემნაირი რამდენი ადვოკატია, რომლებსაც ამ კატეგორიის გაცილებით მეტი საქმე შეიძლება ჰქონდეს, ახლა ის დათვალეთ, რამდენი გამწარებული ადამიანი დგას ამ საქმეების უკან. ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით თითქოს დაიძრა ყინული, ბოლო ხანს დაგვიკავშირდნენ ეკონომიკის სამინისტროდან, გვითხრეს, რომ თანახმა არიან გარიგების აქტით დაბრუნდეს უკანონოდ ჩამორთმეული ქონება, ანუ მოხდეს შეთანხმება,

რომეო საჯაია

ჯერ მოლაპარაკების პროცესში ვართ, მაგრამ იმედი მაქვს საკითხი დადებითად გადაწყდება. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამდენი წელი ხომ უქმად დაიკარგა, შესაბამისად ვერც მეპატრონეებმა ისარგებლეს და ბიუჯეტმაც შემოსავალი დაკარგა.

— თქვენი აზრით, რა არის პროკურატურის უმოქმედობის მიზეზი, რომ დღემდე არ მომხდარა წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედებების სამართლებრივი შეფასება და დამნაშავეთა დასჯა, ეს ყველაფერი არაპროფესიონალიზმის ბრალია თუ ხელისუფლების მიმართ გარე ძალების ზეწოლის, რომელიც შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს?

— ვფიქრობ, ორივე ფაქტორი მოქმედებს, თავიდან ძალით თავსმოხვეულ კოაბიტაციას ვიმიზეზებდით, ევროინტეგრაციის და ნატოში გაწევრიანების გზაზე ვდგავართ და მკვეთრმა ქმედებებმა ამ პროცესებზე უარყოფითად არ იმოქმედოსო. დასავლეთის პოლიტიკა ამ მიმართულებით ძალიან ხისტი იყო, ე.წ. სამართლიანობის აღდგენისას „ისეთი“ არაფერი უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ საქმეებზე ჩვენი პოზიცია უტყუარი მტკიცებულებებითაა გამყარებული, არსებობს უამრავი მოწმის ჩვენება, რომლებიც ამბობენ, როგორ აიძულეს გამოძიებისთვის სასურველი ჩვენების მიცემა, როგორ ემუქრებოდა მათ რომეო საჯაია, როგორ უწერდნენ თავისი ხელით ჩვენებებს და ამ ხალხს ხელის მოწერას აიძულებდნენ, მათ სასამართლოშიც ანალოგიური ჩვენებები აქვთ მიცემული, ანუ მყარი მოწმეები არიან, მაგრამ მაინც ხელს არ ანძრევს პროკურატურა. იმას ერიდებიან, აქაოდა გარედან რაიმე შენიშვნა არ მივიღოთო? დარწმუნებული ვარ ერთ ამბავს ატეხავდნენ ნაციონალები რომეო საჯაია და როლანდ ახალაია რომ დაეჭირათ, საჯაიას წამებულად გამოაცხადებდნენ, პარლამენტარის დაჭერა გაბედეს და ადვოკატიც იმიტომ დაიჭირეს, რომ მის ინტერესებს იცავსო. ნაციონალებმა მაგის მეტი რა იციან, მაგრამ ამათგან დაზარალებულმა საზოგადოებამ რა დავაშავეთ, ჩვენი ინტერესები როდისმე იქნება დაცული, სამი წელი ხომ გავატარეთ მოთმინებაში? ევროკავშირში ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ, ლამისაა ნატოშიც მიგვიღონ და აღარ მოვიდა იმის დრო, რომ ეს ძველი საქმეები გადაიხედოს და ობიექტური განაჩენი დადგეს? იცით თუ არა, რომ პროკურატურის ასეთი უმოქმედობა, პირდაპირ დანაშაულის დაფარვაა ამ უწყების მხრიდან. მაგათ იმის იმედი ხომ არ აქვთ, რომ რახან ნაციონალებს პასუხი არ მოსთხოვეს, როლანდ ახალაია და რომეო საჯაია თავისუფლები არიან, მათაც არავინ მოსთხოვს პასუხს? გარანტიას ვაძლევ, რომ ყველას მოვთხოვ პასუხს, რადგან დანაშაულობები სახეზეა, მტკიცებულებებიც არსებობს, სასამართლო პერსპექტივაც გარანტირებულია, მაგრამ ამ ხალხს მაინც არ აძლევენ პასუხისგებაში. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში სახეზეა, როგორც პოლიტიკური უსუსურობა, ისე არაპროფესიონალიზმი, მაგრამ ჩემთვის და იმ დაზარალებული ადამიანებისთვის მიზეზს მნიშვნელობა არ აქვს, იმ ხალხმა, რომელიც ისედაც დაზარალებული იყო მატერიალურად და მორალურად, ახლა უნდა დადგეს და იმარჩიელოს, ამათ რა აფერხებს, არაფროფესიონალიზმი თუ პოლიტიკური გამოძახილი?

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ბერიმორ, რა ხმაურია ქუჩაში?

დასავლურ ე.წ ღირებულებებს ატორღიალებული მართლმადიდებელი საბერძნეთის შემდეგ ახლა საქართველოში დაიწყო ერთსქესიანთა ქორწინების დასაშვებად სამართლებრივი შეტევა – ტრანსგენდერ მაცაცოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შევიდა – ჩამოუყალიბებელი სექსუალური მიმართულების საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად უნდა სცნოს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმა, რომლითაც განმარტებულია, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა, რის საფუძველზეც ლგბტ ორგანიზაცია მოითხოვს ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

უნებლიედ, საქართველოს ყოფილი პრემიერი, „ხისტი“ ირაკლი ღარიბაშვილი გაახსენდება კაცს, რომელმაც თქვა, სანამ მე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვიქნები, საკითხი, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა, არ გადაიხედებაო. სხვაც ბევრი რამ თქვა ისეთი, რაც პირდაპირ გამოხატავდა ხალხის ნებასთან თანხვედრას და აჰა, აღარ არის ღარიბაშვილი აღნიშნულ პოსტზე და ღიად დაიწყო დენა მანამდე დროებით მიმალულმა საქართველოს ნორმალური მომავლის წინააღმდეგ მიმართულმა ქვედინებებმა...

შეიძლება, საჯარო მოხელეებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს, რაღაც ვალდებულებები აქვთ და ყველაფერში ვერ ჩარევიან, მაგრამ ხალხს ყველგან ჩარევის უფლება აქვს, როცა საქმე ერის, ქვეყანის და სახელმწიფოებრიობისთვის სახიფათო მომენტი დგება, ამდენად, რამდენად გაითვალისწინებს გიგა ბოკერიას პირადი სამეგობრო – საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობა ხალხის გამაფრთხილებელ შეძახილს, ძალიან მალე ვნახავთ.

ე.წ ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღო პარლამენტმა, მაშინვე გამოითქვა ხალხში ეჭვი, რომ საქართველოს გაევროპელობის სურვილის დამადასტურებელი შემდეგი ნაბიჯი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება იქნებოდა, მაგრამ არაო, აქეთ აღნიშნული კანონის მიმღები უნიათოები ასავსავებდნენ ხელებს, იქით მეგობარი ქვეყნების დიპკორპუსი და სხვა „კეთილისმსურველები.“ აი, თუ არა! ეს თუ გაუვიდათ, შემდეგი, ალბათ, დაქორწინებულ ერთსქესიანთათვის ბავშვების შვილად აყვანის უფლების დაკანონება იქნება, შემდეგ პედოფილიის დაკანონება, ინცესტის და ა.შ თუკი რაიმე სახის გარყვნილება და აღვირახსნილობაა – სწორედ ამას ოცნებობდა სრულიად საქართველო 2012 წლის 1 ოქტომბერს?!.

აშშ-ში ერნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას რომ ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე გამოეხმაურა: „სულ ახლახან მივიღე გადაწყვეტილება, ვინაიდან პრეზიდენტი ობამა მხარს უჭერს ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, იცავს ჰომოსექსუალებს და სასიამოვნო გარეგნობა აქვს, მე ჩავალ ვაშინგტონში, მუხლმოდრეკილი მივალ და ხელს ვთხოვ“, – ჩვენ ვიცინოდით, რა მაგარი ტიპი ყოფილა მუგაბეო; (სხვათა შორის, ეს ის მუგაბეა, რომელმაც 2000 წლიდან თეთრკანიანი მოსახლეობის მიწების იძულებითი წესით გასხვისება დაიწყო და მიწები საბოლოოდ ფერადკანიან მოსახლეობას დარჩა. აღნიშნული რეფორმის გამო ზიმბაბვედან ათასობით ადამიანი და ინვესტორი წავიდა).

მის კვალდაკვალ გამბიის პრეზიდენტმა იაია ჯამმი რომ განაცხადა: „მოვკლავ იმ ადამიანებს, რომლებიც ამას გამბიაში გააკეთებენ. თუ ჩვენ სახელმწიფოში მამაკაცი მოინდომებს დაქორწინებას მამაკაცზე, დავიჭერთ და მას ვეღარავინ ნახავს“ და ხელი მოაწერა კანონს სამუდამო პატიმრობის შესახებ მათთვის, ვინც ჰომოსექსუალიზმს პროპაგანდას გაუწევს (მანამდე 14 წლამდე პატიმრობა იყო შეფარდებული; 2008 წელს გააფრთხილა გეები და ლესბოსელები, რომ დაეტოვებინათ ქვეყანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ თავის მოკვეთით დაემუქრა), ჩვენ აქედან შევუძახეთ – საღოლ, იაიაო!

როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან რამდენიმე დღით ადრე რესპუბლიკელმა, ტეხასის გუბერნატორმა გრეგ ებოტმა ხელი მოაწერა კანონმდებლობას, რომელიც მისი შტატის სასულიერო პირებს შესაძლებლობას აძლევს უარი თქვან საქორწინო ცერემონიალის შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება მათ რელიგიურ შეხედულებებს „ტეხასის შტატი ობამას ადმინისტრაციის გეი-შემოტევას არ ემორჩილებაო“, ხოლო ტეხასის გენერალურმა პროკურორმა კენ პაქსტონმა დაამატა, არც ერთი პასტორი, მღვდელი, რაბინი ან სხვა რელიგიური ლიდერი არ უნდა იყოს იძულებული შეასრულოს ან სცნოს ქორწინება, რომელიც ეწინააღმდეგება მათ რელიგიურ შეხედულებებსო, ჩვენ ტაში შემოვკარით, ყოჩაღ, გუბერნატორო და ყოჩაღ, გენპროკურორორო!

ირლანდიაში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების თაობაზე ვატიკანის განცხადება ვატიკანის სახელმწიფო მდივანმა პიეტრო პაროლინმა რომ გააკეთა და განაცხადა, რომ ეს კაცობრიობის მარცხია და ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ქრისტიანული პრინციპების, არამედ კაცობრიობის დამარცხების თაობაზე უნდა ვსაუბრობდეთო, ყურსმიღმა გავატარეთ...

რატომ არის, ვთქვათ, გონიერებას მოკლებული აზრი, რომ აშშ-ის გადაწყვეტილება, ყველა სატელიტ კოლონიაში პედერასტია დაამკვიდრონ ერთსქესიანთა ქორწინების შემოღებით, ეს არის მოსახლეობაში არეულობის შემომტანი დაგეგმილი პროვოცირება არსებული ხელისუფლების დასამხობად? ეს საკითხი თვით ამერიკას, ფართო მასშტაბით, არც არასდროს აწუხებდა, მაგრამ ჭეშმარიტად მართლმადიდებელ და ისლამურ სახელმწიფოებში აუცილებლად გახდება ხელისუფლებასთან მრისხანე დაპირისპირების საკითხი. ის, რამაც გასჭრა საბერძნეთში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გაამართლოს საქართველოში და შედეგად მივიღებთ პროვოცირებულ სამოქალაქო დაპირისპირებას...

რუკას რომ დავხედოთ, ერთსქესიანთა ქორწინება დაშვებულია მხოლოდ დედამიწის 20%-ზე, დანარჩენ 80% მსოფლიოში კი, საუკეთესო შემთხვევაში, უბრალოდ, იგნორირებულია, უმეტესად კი პატიმრობა ან სიკვდილით დასჯა ხდება. მარტივად და აბსოლუტურად სხვა კუთხით რომ მივუდგეთ საკითხს – თუ ე.წ დასავლეთი, ფაქტობრივად, იზღუდავს გამრავლების უფლებას, დანარჩენი მსოფლიო კი ჩვეული ტემპით მრავლდება, დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემებით, ისედაც გადაშენებისკენ მიმავალი ქართველები რატომ გავყვეთ გადაშენებისკენ მიმავალ გზას?

სამასხროდ არ არის საქმე და არც ჩვენ ვმასხრობთ თუ იმ პატარა ლექსს გავიხსენებთ, რაც ჩვენი წინაპრებიდან მოდის: „ქალი მომყავს ქვაყუდელი

არც ყ...ე აქვს და არც მ... ლი!“

ავისმომასწავებელი, თუმცა ჯერ მხოლოდ გადაძახილ-გადმოძახილია საქართველოში, რომლის შემდგომი განვითარება მხოლოდ და მხოლოდ „გიგა ბოკერიას სახელობის“ საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებაზეა დამოკიდებული, მერე კ, აღარავის გაუკვირდეს რამე...

P.S

ინგლისური ანეკდოტი.

– ბერიმორ, რა ხმაურია ქუჩაში?

– ერთსქესიანთა ქორწინებას თხოულობენ, სერ!

– უშლით ვინმე?

– არა, სერ!

– მაშ, რატომ ხმაურობენ?

– პედერასტები არიან, სერ!

გიორგი ჩხეიძე

აჭარა შეიძლება რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების მიზეზი გახდეს

რუსეთი საქართველოში თურქებს ითვლის?

რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა კვლავ დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე და, საბედნიეროდ, ამ „შეფრენას„მსხვერპლი, მით უმეტეს კი პოლიტიკური ვნებათაღელვა არ მოჰყოლია... სამაგიეროდ, თურქული სამხედრო ავიაცია ე. წ. „ნარინჯისფერ“ დონეზე გადავიდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება ვითარება გამწვავდეს.

მავანი ამბობს, რომ ყარსის ხელშეკრულებას 2021 წელს გასდის ვადა, მაგრამ, როგორც საქმეში კარგად გარკვეული სპეციალისტები ამბობენ – ყარსის ხელშეკრულებაში, მისი მოქმედების ვადები არსად წერია და, ამდენად, ეს ხელშეკრულება – არის უვადოო! ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს მოსახლეობას სოც.ქსელებით მიეწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციაში დაიწყო ხელმოწერების შეგროვება, სადაც ითხოვენ რუსეთ-თურქეთის 1921 წლის ხელშეკრულების გაუქმებას! იმავდროულად, რუსული პრესა ვრცელ სტატიებს აქვეყნებს ორ ქვეყანას შორის გამწვავებულ ერთიერთობაზე და მეტიც, ყოველკვირეული გაზეთი „ვოენნო პრომიშლენნი კურიერი“ თავისი სტატიით „გათურქების ასი წელი“ ვრცლად მიმოიხილავს არა მხოლოდ თურქეთ-რუსეთის პოლიტ.ვითარებას, არამედ ამ სტატიაში ავტორი ალექსეი ბალიევი გვახსენებს ჩვენც, საქართველოსაც და არცთუ შემთხვევით... აი, რა წერია აღნიშნულ სტატიაში:

„ანკარა ერთგული ქვეყნების სარტყელის შექმნის იმედს არ კარგავს, თუმცა არავინ იცის, ერთგულებაში რას გულისხმობენ, ოსმანთა იმპერიის საზღვრების დაბრუნებას თუ პანთურქიზმის პროპაგანდას? თურქეთის დღევანდელი სახელმწიფო ლიდერები ხომ სწორედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის პანთურქიზმის ტიპიური გამხმოვანებლები არიან? მათი, ანუ პანთურქიზმის მიმდევრები ხომ არ მალავენ იმას, რომ თურქულენოვანი მოსახლეობის კონსოლიდაცია უნდა მოხდეს, როგორც კულტურული, ასევე იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით და ოსმანთა იმპერიის საზღვრები დასავლეთ ყირიმიდან ბალკანეთამდე და აღმოსავლეთ ციმბირიდან ვიდრე დასავლეთ ჩინეთამდე?! ანუ, პანთურქულმა ახალმა სახელმწიფომ უნდა მოიცვას მთელი თურქულენოვანი ხალხები მათი განსახლების ტერიტორიებითურთ. რასაკვირველია, ამ სივრცეში მოიაზრება კავკასიაც და ცენტრალური აზიაც! საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთში პანთურქიზმისა და ნეოოსმანიზმის პროპაგანდა უფრო ძლიერდება! 2014 წლიდან თურქეთში პანთურქიზმის იდეოლოგიას დავით ოღლუ ხელმძღვანელობს. იგი ადრე საგარეო უწყებას ხელმძღვანელობდა, სწორედ დავით ოღლუს ეკუთვნის სიტყვები, რომელიც მან თვითგამოცხადებული კვიპროსის რესპუბლიკაში (კვიპროსი საბერძნეთის ტერიტორიაა) ვიზიტისას წარმოთქვა: „გასული საუკუნე ჩვენი ისტორიის ის ფურცელი იყო, რომელიც უკვე გადავშალეთ, ახლა ჩვენ კვლავ უნდა დავამყაროთ კავშირები სარაევოსთან, დამასკოსთან (ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიები – ი.გ.), ბათუმთან და ბენღაზთან, იემენთან და სკოპიესთან, რომლებიც ერთი დიდი იმპერიის ნაწილები იყვნენ! ამას რომ ვამბობ, ჩვენ შეიძლება „ნეოოსმანიზმის“ იდეების პროპაგანდაში დაგვადანაშაულონ, მაგრამ მაშ რატომ უწოდებენ საკუთარ თავს „ნეორომაელებს“ ისინი, ვინც დღეს ევროპა გააერთიანა?! განა დღევანდელი ევროკავშირის ტერიტორია ის ტერიტორია არ არის, რომელიც რომის იმპერიას ეკუთვნოდა?“

ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ დავით ოღლუს მიერ ზემოთქმული ეს პასაჟი იმას ნიშნავს, რომ ანკარა კვლავ ერთგული რჩება პანთურქიზმის კონცეფციისა, რომლის თანახმადაც თურქულენოვანი ყველა ხალხი ერთ ერად უნდა ჩაითვალოს და ისინი თურქული დროშის ქვეშ უნდა გაერთიანდნენ!

ახმედ დავით ოღლუს მიერ ბათუმის მოხსენიება საკმაოდ სიმპტომატურია. გავიხსენოთ ის, რომ აჭარა, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუსლიმია – რუსეთის იმპერიამ 1879 წლიდან მიიერთა, ხოლო საქართველოს შემადგენლობაში შევიდა თურქეთსა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის 1921 წლის 13 ოქტომბერს ფაფორმებული ხელშეკრულების შედეგად, რომელიც დიპლომატიის ისტორიაში ყარსის ხელშეკრულების სახელით არის ცნობილი! ამ დოკუმენტის თანახმად კი თურქეთს, ეროვნული უსაფრთხოების მუქარის შემთხვევაში უფლება აქვს, აჭარაში თავისი ჯარები შეიყვანოს! (საგულისხმოა, რომ ყარსის ხელშეკრულებაში ამგვარი ციტატა არ არსებობს! – ი.გ.).

„ბათუმის ნავსადგურის სტრატეგიული მნიშვნელობა აშკარაა. ამ პორტიდან ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე ბაქოს ნავთობის საზღვარგარეთ ექსპორტი ხდებოდა. გარდა ამისა, თურქეთისთვის საინტერესო და მიმზიდველია ნავსადგურის ღრმაწყლიანობა და ფართოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა. 1918-20 წლებში თურქეთის მიერ ბათუმის ოკუპირება პერიოდულად ხვდებიდა ხოლმე, ხოლო 1921 წლის თებერვალში, როცა რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო – თურქეთის ჯარებმა კვლავ მოახერხეს ბათუმის რამდენიმე კვირით ოკუპირება! სხვათა სორის, სწორედ ამ პერიოდში რუსთა და ქართველთა ჯარმა (იგულისხმება გენერალ მაზნიაშვილის დანაყოფები) ერთობლივად განდევნეს თურქები!

სწორედ ბათუმის დაპყრობა იყო მონიშნული თურქეთ-ბრიტანეთის გეგმებში 1940 წლისთვისაც. აგრეთვე 1942-43 წლებშიც, როცა თურქეთი, ფაქტობრივად, გერმანიის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი გახლდათ.

ქართული მასმედიის ინფორმაციების თანახმად, ამჟამად აჭარაში თურქეთის სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკურმა ექსპანსიამ კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია! რეგიონში თითქმის ყველა ახალი ობიექტი თურქების მიერაა აშენებული და მათ საკუთრებად ითვლება. თურქები აჭარაში არამხოლოდ მიწებს ყიდულობენ, არამედ შენობებსაც იმ იმედით, რომ დროთა განმავლობაში – თავიანთ თანამემამულეებს მიჰყიდიან!

ამჟამად, ბათუმში, ოფიციალური მონაცემებით, მუდმივად 23 000 თურქი ცქოვრობს! არადა, ამდენი თურქი აჭარაში მაშინაც კი არ ცხოვრობდა, როცა ეს რეგიონი ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა!“ – წერს წერილის ავტორი ალექსანდრე ბალიევი.

დასამალი არ არის ის, რომ დღეს თურქები, რომლებიც აჭარაში მუდმივად ცხოვრობენ და საქართველოს მოქალაქეებად ფიქსირებიან, მოსახლეობის შეძლებულ ფენას წარმოადგენენ, რადგან ქალაქის ცენტრშიც და გარეუბნებშიც ფლობენ ბიზნეს ობიექტებს – მაღაზიებს, კაფეებს, რესტორნებს, აგებენ რელიგიური დანიშნულების ნაგებობებს (მეჩეთებს), ხსნიან სკოლებს და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების ნებართვის მისაღებად საქართველოს განათლების სამინისტროს ნებართვა ხშირ შემთხვევაში არცკი სჭირდებათ! ანუ,. თვითნებურად, გაურკვეველი ფინანსებით იხსნება ეს სკოლები (მედრესეები) და სახელმწიფო მაინც სირაქლემას პოზას ინარჩუნებს – აქაოდა, ვერაფერს ვხედავო!

სააკაშვილის ხელისუფლების დროს ხომ საერთოდაც სასათბურე პირობები შეექმნათ თურქეთის მოქალაქეებს, როგორც აჭარაში, ასევე მთლიანად საქართველოში. მათთვის ნებისმიერი ბიზნესის წამოწყება უპრობლემოა და ეს მაშინ, როდესაც მეზობელ და „მეგობარ“ თურქეთში არცერთი ბიზნესობიექტი არ გახსნილა ქართველი ბიზნესმენებისა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ – ათასობით საქართველოს მოქალაქე მეგობარ თურქეთში მხოლოდ იაფ მუშახელს წარმოადგენს ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე!

გონიო-სარფი,ქობულეთის ჰექტრობით მიწის ფართობების თურქეთის მოქალაქეებისათვის 1 ლარად მიყიდვის ფაქტებიც უამრავჯერ ყოფილა და ეს იმ დროს, როდესაც მკვიდრი მოსახლეობა, ლამისაა, ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა, საპროტესტო აქციას აქციაზე აწყობდა – ჩვენი, მამაპაპისეული მიწები დაგვიკანონეთო! ვინ ჰყიდის სასაზღვრო ზოლში მიწას, რომელი სახელმწიფო, საქართველოს გარდა?! არცერთი, რადგან ამათუ იმ ქვეყანაში, ქვეყანაზე მოფიქრალმა ხელისუფლებამ იცის, რომ სახელმწიფო საზღვართან მიწა არ უნდა გაყიდოს!



ასლან აბაშიძე იმ მემედ აბაშიძის შვილიშვილია, რომელსაც საქართველოსთან, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების წმინდათაწმინდა საქმეში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი!

საქართველოს მოსახლეობამ და მითუმეტეს კი აჭარაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა კარგად იციან და ხედავენ, იგივე გონიოსა დასარფში როგორ ჰყვავის თურქების მიერ აშენებულ ე. წ. „სასტუმროებში“ როგორც პროსტიტუცია, ისე თრეფიკინგი და იმასაც ხედავენ, როგორ დაუსჯელად მიმოდიან ამ საქმიანობით დაკავებული თურქეთის მოქალაქეები იქედნური მზერით, აქაოდა – აქაურობის ბატონ-პატრონები ჩვენ ვართ და გვინდა „ბორდელებს“ გავხსნით, გვინდა კაზინოებს, რომელიც მართალია, თურქეთში აკრძალულია, მაგრამ თქვენთან, საქართველოში ხომ ნებადართულიაო?!

აჭარის მოსახლეობა ლამისაა შეგუებულია იმ აზრს, რომ იქ, სადაც თურქეთის მოქალაქეები კომპაქტურად არიან ჩასახლებული და ბიზნესი აქვთ გაჩაღებული, მაგ. ბათუმში ქუთაისის ქუჩა, პუშკინის ქუჩა და ა. შ. – იქ ქართველს ყველა უფლება აქვს ჩამორთმეული, რადგან თუკი

რაიმე გაუგებრობა მოხდა, მითუმეტეს კი ჩხუბი და აყალმაყალი, ქართველი სამართალდამცავები ქართველებს ადანაშაულებენ, ხოლო თურქებს ლამისაა ბოდიშს უხდიან, მყუდროება დაგირღვიეთ, განაგრძეთ თქვენი საქმიანობაო! ცალკე აღნიშვნის თემაა აღნიშნულ ქუჩებზე ქართველები თითქმის რომ აღარ დადიან, რადგან მათ კარგად უწყიან ისიც, რომ დიდი ალბათობით რომელიმე მთვრალი თურქი პროვოკაციას მოუწყობს – აქ ჩემი ტერიტორიაა, მე ეს ვიყიდე და არ მსიამოვნებს, აქ რომ დადიხარო!

ცნობილია ისიც, რომ თუკი თურქის გვერდით ქართველი დაიწყებს მცირე ბიზნესს და გახსნის სავაჭრო ობიექტს, მალევე იწყება ქართველის შევიწროება მათი მხრიდან და ეს ყველაფერი მთავრდება იმით, რომ – ქართველი აუქმებს მაღაზიას და უკანმოუხედავად გარბის, რომ უარეს შარს არ გამოჰკრას ხელი!

თურქეთი ბოლო წლებში ფინანსურად და ეკონომიკურად მოძლიერდა. იმდენად მოძლიერდა, რომ საკუთარ მოქალაქეებს ფინანსურად უზრუნველყოფს (აძლევს გრძელვადიან საბანკო სესხს და ა.შ.) ოღონდაც ისინი იმ სახელმწიფოში დამკვიდრდნენ, სადაც მათი სამშობლოს ინტერესებია. ცნობილია ისიც, რომ ასეთ შემთხვევებში ნაღდი ფულით შეიარაღებული თურქები კაპიკებში ყიდულობენ უძრავ ქონებას, იწყებენ ბიზნესს, ჩამოჰყავთ თავიანთი სანათესაო და თუკი ქართველ ქალს მოიყვანენ ცოლად, ხოლო ის ქალი ბავშვსაც გააჩენს – თითოეულ ასეთ შემთხვევაში თურქეთის სახელმწიფო ჯილდოს სახით პირველ ბავშვზე 20 000 დოლარს გასცემს, მეორეზე 30 000, ხოლო მესამე ბავშის შემთხვევაში 100 000 დოლარს გასცემს უვადო და უპროცენტო სესხის სახით!!! აქ საყურადღებოა ერთი გარემოება – დედაც და ბავშვებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, იზრდებიან ტრადიციული მუსლიმური მენტალიტეტით და ოჯახში, როგორც წესი, ასწავლიან იმას, რომ აჭარა ოდესღაც თურქეთს ეკუთვნოდა და ეს ტერიტორია დასაბრუნებელი აქვთ! განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ **საქართველოში მოსულ თურქ მამაკაცებს, იქ თურქეთშიც ჰყავთ ცოლები, ჰყავთ ბავშვები და არც განქორწინებულები არიან! ანუ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ – მამრობითი სქესის თურქთა ლაშქარი, ნელ-ნელა ზრდის თავის მონიშნულ ტერიტორიაზე მენტალურად შემზადებულ მეომრებს ქართველი დედების მიერ შობილი ბავშვების სახით** და, სავარაუდოდ, ის დღეც არ უნდა იყოს შორს, როდესაც ამგვარი ქორწინებით დაბადებული „ლაშქარი“ ერთ უბედურ დღეს ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას გაუტოლდება, ანდა სულაც გაასწრებს, რაც დასრულდება იმით, რომ ნებისმიერ არჩევნებში ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვებენ!!!

არის თუ არა ამ ვითარებიდან გამოსავალი აჭარის ავტონომიის სტატუსის გაუქმება?! რასაკვირველია, არა და ვერ არის, რადგან, ჯერ ერთი – ავტონომიის სტატუსის გაუქმება მხოლოდ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არ შეუძლია, რადგან ყარსის ხელშეკრულების ხელმოწერის დროს საქართველო-სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად ერთი მხარის სტატუსით სარგებლობდნენ! ანუ, სომხეთისა და აზერბაიჯანის გარეშე ჩვენ, ცალმხრივად ამის გაკეთება არ შეგვიძლია!!!

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქტიურად ხორციელდება რუსეთის გავლენის ჩანაცვლება თურქული გავლენით და თუკი იმასაც დავუმატებთ, რომ ეკონომიურად გაჩანაგებული მოსახლეობა ვერანაირად ვერ უწევს კონკურენციას თურქეთის ეკონომიკურ ექსპანსიას, ძალაუნებურად მივდივართ იმ მდგომარეობამდე, რასაც პანთურქიზმი და მისი მიმდევარი თურქეთის პრეზიდენტი ანდა პრემიერი ღიად აცხადებენ: „აჭარა ჩვენია, მაგრამ დროებით გითმობთ, ხოლო თუ რამე მოხდება, ჩვენთან გექნებათ საქმეო!“

ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ 2004 წელს, მაშინ, როცა სააკაშვილის ხელისუფლებამ „აჭარული რევოლუციით“ მონათლა შტურმი **ასლან აბაშიძეზე** – ტრაბზონიდან მოყოლებული, ხოფამდე თურქული საჯარისო ნაწილებით და სამხედრო ტექნიკით გადაივსო იქაურობა! 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც სრული სამხედრო მზადყოფნა გამოცხადდა თურქეთის ჩრდილოეთ რეგიონში ვიდრე სარფამდე და ეს ყველაფერი კი იქიდან გამომდინარეობდა, რომ თურქებს არ დავიწყებიათ მათთვის წმინდათაწმინდა, მეჯლისის მიერ კანონად ქცეული „ეროვნული აღთქმა“, რომელიც პლებისციტითაც განამტკიცეს და დღემდე თურქეთისთვის მოქმედ იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს! დიახ, სწორედ ამ „ეროვნული აღთქმის“ დოკუმენტშია სარფიდან ნახიჭევანამდე თურქეთის ტერიტორია და, სამწუხაროდ, ყარსის ხელშეკრულებაშიც წერია ისიც, რომ: „თურქეთი თანახმაა დაუთმოს თავისი სუზერენიტეტი საქართველოს ბათუმის პორტზე, ქალაქსა და იმ ტერიტორიებზე, რომელიც თურქეთის ჩრდილოეთით მდებარეობს იმ პირობით, რომ

1) ამ ადგილების მოსახლეობა ისარგებლებს ფართო ავტონომიით, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემის სარწმუნოებრივ-კულტურულ უფლებებს და მიიღებს ისეთ საადგილმამულო კანონს, რომელიც მათ სურვილებს ეთანხმება!

2) თურქეთს მიეცემა ბათუმის პორტით სხვადასხვა საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლება ბაჟის და დაბრკოლებების გარეშე, ხარჯების დაუბეგრავად!

ყარსის ხელშეკრულების განსაზღვრება – რაიმე კონკრეტული ვადით არ არსებობს, მაგრამ თურქეთის პოზიციას თუ გავითვალისწინებთ, მათ ძალიანაც აძლევთ ხელს ამ ხელშეკრულების უსასრულოდ მოქმედება, რადგან ისინი ვალდებულად თვლიან თავს – ჩაერიონ აჭარაში მიმდინარე პროცესებში და ეს ყველაფერი, როგორც თავში აღვნიშნე, ძალიან აშკარად გამოჩნდა 2004-08 წლებში, როცა იდიოტი სააკაშვილის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საფრთხემ აშაკარად იჩინა თავი ახლა უკვე – აჭარაში!

იქნებ, ვინმეს ჰგონია, რომ ასლან აბაშიძე ამ ერთი მუჭა მოღალატე „ნაცებს“ და მათ გულშემატკივრებს ერთ დღეში კი არადა, ერთ საათში ვერ მოუღებდა ბოლოს? რასაკვირველია, იმ შეიარაღებით, რომელიც მაშინ ბათუმში არსებობდა, ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ...

მაგრამ ასლან აბაშიძემ ეს არ გააკეთა რამდენიმე მიზეზის გამო:

1) აჭარაში ძმათამკვლელი ომი არ დაუშვა!!!

2) საქართველოს თავზე დამოკლეს მასვილივით დაკიდებული ყარსის ხელშეკრულების და თურქეთის „ეროვნული აღთქმის“ სისრულეში მოყვანას შეუშალა ხელი და...

3) ასლან აბაშიძე იმ მემედ აბაშიძის შვილიშვილია, რომელსაც საქართველოსთან, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების წმინდათაწმინდა საქმეში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი!

მემედ აბაშიძე

ძვირფასო მკითხველო! როგორც უკვე მოგახსენეთ, რუსეთში გამომავალი ყოველკვირეული გაზეთი „ვოენნო პრომიშლენნი კურიერი“ არცთუ შემთხვევით შეეხო აჭარაში მცხოვრები, ოფიციალურად 23 000 თურქის საქართველოს მოქალაქეების თემას და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ საქართველოს (თუ მთლიანად საქართველოს) რუსეთი თავისი და თურქეთის რესპუბლიკასთან სამხრეთ საზღვრად განიხილავს, მაშინ ამ ორ ქვეყანას შორის უკიდურესად გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში ვიღებთ, რას? ვიღებთ იმას, რომ რუსეთის ფედერაცია არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს აჭარაში თურქთა შემდგომ ექსპანსიას და არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება იმასაც, რომ ხვალ და ზეგ „ნატოს“ ეგიდით ჩანიშნულმა სამხედრო წვრთნებმა საქართველოში – რუსეთის საგარეო პოლიტიკას დარტყმა მიაყენოს!

ისმება კითხვა – კი, მაგრამ საქართველოს თავდაცვის მინისტრად წოდებული თინათინ ხიდაშელი რა დირექტივებით არის აღჭურვილი საქართველოს ხელისუფლების მიერ, რომ ასე ღიად მიდი-მოდის თურქეთში და თურქულ ჯარს საქართველოში ეპატიჟება სამხედრო წვრთნებზე?! ანდა, ვის აქვს გარანტია იმისა, რომ სწორედ ეს წვრთნები არ გახდება იმ დიდი დაპირისპირების კატალიზატორი, რომელიც რუსეთ-თურქეთს შორის ამ ორიოდე თვის წინ დაიწყო?!

მოკლედ, ვითარება იმაზე შემაშფოთებელია, ვიდრე მავანი ფიქრობს და სრულიად მოსალოდნელია, რომ აჭარა – რუსეთ-თურქეთის გარჩევის და საომარი მოქმედებების არეალად კვლავაც ვიხილოთ! ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან ფრთხილი, პრაგმატული და გონივრული ნაბიჯები უნდა გადადგას იგივე დასავლეთთან, რადგან – დასავლეთი ცდილობს, რეგიონში რუსეთი „ნატოს“ წევრი ქვეყნით, თურქეთით ჩაანაცვლოს, რაც ყველა შემთხვევაში ჩვენი და რუსეთის დაპირისპირებით დასრულდება!

ნუ ატლიკინებს ენას ხიდაშელი უცხოელ ჟურნალისტებთან „ჩვენ ყველა გმირულად დავიხოცებით, თუკი რუსეთი ომს დაგვიწყებსო“, ნუ იქადნება – „გამორიცხულია კიდევ ერთი რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ იმიტომ, რომ დასავლეთი და ევროპა ჩვენ გვიჭერს მხარსო!“ სიღატაკეში ჩავარდნილ ქვეყანას ომის არათუ მოგება, წარმოებაც არ შეუძლია და მეორეც – თუკი რუსული მედია საქართველოში თურქთა რიცხვობრივი მაჩვენებელი სწორედ ახლა დაინტერესდა, როგორ ფიქრობთ, შემთხვევითია?!

ირინე გოგოსაშვილი
555 25 43 35

ჯეფრი სილვერმანი: მაქვს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ლუგარის ლაბორატორიაში ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებებით მოსახლეობაზე ცდებს ატარებენ

მას შემდეგ, რაც ყინვამ და დიდთოვლობამ საქართველოსთვის უჩვეულოდ დიდხანს მოიკიდა ფეხი და შესაბამისად, ავადმყოფების რიცხვმა იმატა, ქათმის, ღორის თუ კიდევ რაღაცის გრიპის ვირუსისგან დამფრთხალ ადამიანებში ხელახლა გამოითქვა ყოველწლიური ეჭვი რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის, მოკლედ, ლუგარის ლაბორატორიის (ბიოუსაფრთხოების მე-3 დონე) მისამართით, ამერიკელებს გამოჰყავთ საიდუმლო ვირუსები და ცდებს ჩვენზე ატარებენო. არ ჭრის ჯანდაცვის მინისტრისა და სხვა კომპეტენტური პირების ფიცი-მტკიცი, რომ კონკრეტულ მიზეზთა გამო, ლუგარის სახელობის ლაბორატორიაში ფიზიკურად შეუძლებელია რაიმეს გასაიდუმლოება; რომ ცენტრის მიზანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიულად არსებული ან ახლად აღმოჩენილი ვირუსების და ბაქტერიების დროული დიაგნოსტიკით და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის კვლევის გაზიარებით; რომ ბიოლოგიური საფრთხეების შემცირების პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას აშშ-ის მთავრობის გარდა ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც ახორციელებენ.



თუ გავიხსენებთ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველის, ამერიკელი ჟურნალისტის ჯეფრი სილვერმანის სიტყვებს აღნიშნულ ლაბორატორიასთან დაკავშირებით, თუ ეჭვი არ გქონდა ადამიანს, აუცილებლად გაგიჩნდება, ხოლო თუ გქონდა, უფრო გაგიმძაფრდება. რამდენადაც ვიცით, ბატონი სილვერმანი შეურაცხადად არ არის ცნობილი...

ჯეფრი სილვერმანი: – „ეს ყველაფერი ბიოლოგიური იარაღის ამკრძალავი კონვენციის გვერდის ავლის მიზნით კეთდება. აშშ-ს არ აქვს უფლება, განაგრძოს სახიფათო ბიოაგენტების კვლევა, რომლებიც, შეიძლება, გამოიყენონ იარაღად. ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენცია საკანონმდებლო ქარტიაა, რომელიც კრძალავს ბიოლოგიურ იარაღს, მის გამოყენებას და ცდების ჩატარებას ადამიანებზე.

მაქვს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ლუგარის ლაბორატორიაში, რომელიც მდებარეობს თბილისის გარეუბანში, აწარმოებენ ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს და ცდიან ადგილობრივ მოსახლეობაზე.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებენ. თბილისის ლაბორატორიაში ამზადებენ ჯილეხის, ციმბირის წყლულის, შავი ჭირის და ე. წ ღორის გრიპს.

ქუთაისში გაცილებით მეტი ბიოაგენტია დასაწყობებული, მაგრამ მეტი ყურადღება თბილისის ლაბორატორიას ექცევა, რომელსაც რუსები განსაკუთრებით აკვირდებიან.

ასევე, მოქმედია ე.წ მცენარეთა ლაბორატორია ქობულეთში. ლაბორატორია განთავსებულია ოთახებში სადაც წვავენ გვამებს...

ქათმისა (H5N1) და ღორის გრიპი (H1N1) ან ჯილეხი უშუალოდ ლაბორატორიიდან არა, მაგრამ ის გამოუშვეს საქართველოსა და სამხრეთ რუსეთში მეცხოველეობის ინდუსტრიის გასანადგურებლად, განსაკუთრებით აფრიკული ღორის გრიპი. მე ვესაუბრე ფერმერებსა და სხვა ადამიანებს, რომლებიც ჩართულნი არიან ხორცის ინდუსტრიაში და ვიცი, რომ აშკარა პოლიტიკური თუ კვლევითი მიზნების გარდა, საქართველოში უნდა განხორციელებულიყო ხორცის იმპორტი, რათა წინა მთავრობასთან დაახლოებულ რამდენიმე ადამიანს დიდძალი ფული ეშოვა.

რაც შეეხება ექსპერიმენტებს ადამიანებზე, ის მიმდინარეობს საზოგადოდ მოსახლეობაზე სხვადასხვა გრიპით (ვირუსით) და საექსპერიმენტო ვაქცინით...“

ლუგარის ლაბორატორიას ამჯერად სომხური მედია ადანაშაულებს მათი ათი თანამემამულის გარდაცვალებაში. დაღუპულთა უმეტესობა სომხეთ-საქართველოს საზღვართან ცხოვრობდა და სწორედ ამ რეგიონში ხდებოდა ბოლო წლებში „ღორისა და ფრინველის გრიპით“, ან ციმბირის წყლულით (ჯილეხი) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადების შემთხვევები.

ბატონი პაატა იმნაძე (არა მხოლოდ) თვლის, რომ ავტორები, რომლებიც წერენ, რომ აღნიშნული ლაბორატორია სახიფათო ავამყოფობების გამომწვევია, დილეტანტები არიან, რომლებმაც ერთ-ერთი ქვეყნის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას დაუჯერეს, რადგან ასეთივე სტატიები ქვეყნდება არა მხოლოდ სომხურ მედიაში, არამედ ზოგიერთ ქართულ საიტებზეც.

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ყოფილი ამერიკელი მრჩეველი შეურაცხადად არ არის აღიარებული და ამასთანავე, არც რუსია, არც სომეხი...

ბატონ იმნაძეს სათქმელი აქვს, როდესაც რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის, გენადი ონიშჩენკოს ეჭვების გამო რუსი ჟურნალისტების დელეგაცია მოიწვიეს და ჟურნალისტები დარწმუნდნენ, რომ ლაბორატორიაში მხოლოდ მშვიდობიანი კვლევები ტარდებოდა, სადაც არა მხოლოდ ამერიკელები, არამედ რუსი (წარმოშობით), გერმანელი, თურქი, სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერები მუშაობენ, ამდენად, ღია დაწესებულებაა, თუმცა საექსკურსიო ობიექტად ვერ ვაქცევთო.

თუ ბატონ იმნაძეს ეს აქვს სათქმელი, ჟურნალისტებს (და არა მხოლოდ) ის აქვთ, რომ მათ აჩვენეს მხოლოდ ის, რაც აჩვენეს და რაშიც აბსოლუტურად ვერ გაერკვეოდნენ, თუნდაც რომ უსაშინელესი შედეგის მომტანი შტამები ენახათ.

ძნელია, მტკიცებულების გარეშე რაიმე ამტკიცო ერთი კაცის ინტერვიუსა და მხოლოდ საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვიდან გამომდინარე, ამდენად, მხოლოდ ის გავიხსენოთ, რაც დადასტურებულია და უკვე ისტორიის კუთვნილი ერთი ტრაგიკული ფურცელია.

1960 წელს მექსიკაში, მეხიკოში, საბჭოთა კავშირის საელჩოს წინ ახალგაზრდა კაცი ჩაცხრილეს, თუმცა, მან მოასწრო და საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტს წერილი გადასცა. წერილში ეწერა, რომ ის იყო 39 წლის ჯეიმს მორტონ მეისონი, ბიოლოგიის მაგისტრი და მუშაობდა აშშ-ის სამედიცინო-ბიოლოგიური ცენტრის ლაბორატორიაში, ბრაზილიაში. მისი წერილის მიხედვით ირკვეოდა, რომ აღნიშნულ ლაბორატორიაში არაადამიანურ ექსპერიმენტებს ატარებდნენ და ამის შესახებ მსოფლიოს უნდა გაეგო. იქვე აღნიშნავდა, რომ ვირუს „ოპეესის“ გამოყენებას აშშ საბჭოთა კავშირში უახლოეს დღეებში გეგმავდა და თუ დროულად არ მიიღებდნენ ზომებს, დაგვიანდებოდა.

წერილი „კგბ-ს“ შეფს გადაეცა და სპეციალური სანქციების შემდეგ გენერალმა კორობნიკოვმა სპეცოპერაციის ჩატარება პოლკოვნიკ ბადრი ლაღიძეს დაავალა.

მეისონის მითითებული სამედიცინო-ბიოლოგიური ლაბორატორია კაციჭამია ტომებით დასახლებულ ამაზონის ჯუნგლებში მდებარეობდა, რომლის ტყეებში ნიანგებით სავსე ტბები იყო. ეს უზარმაზარი ტერიტორია ამერიკულ კონცერნ „ნეიშენალ კოფი კომპანის“ ჰქონდა ასწლიანი იჯარით აღებული, თუმცა, საბჭოთა დაზვერვამ უკვე იცოდა, რომ ის „ცრუს“ ფილიალი იყო.

მეოთხე დღეს საბჭოთა სპეცაგენტების ექვსკაციანი ჯგუფი, რომელშიც პირადად მონაწილეობდა პოლკოვნიკი ლაღიძე, უკვე კვეთდა ჯუნგლებს და კომნადე-ნაის ტბასაც მიადგნენ. მათ ნიანგებით სავსე ტბიდან სპეციალურად შექმნილი სკაფანდრებით შეაღწიეს შუაგულ ლაბორატორიაში, რომელიც ტბის ქვეშ იყო მოწყობილი.

ვირუსი „ოპეეს“ უკვე შექმნილი და წარმატებით გამოცდილი იყო ადამიანებზე. ეს იყო გრიპის ვირუსი, რომელიც შეყრიდან ორი კვირის შემდეგ ვითარდებოდა ადამიანის ორგანიზმში და სამ დღეში უეჭველ სიკვდილს იწვევდა. ჩატარებული ცდების შედეგად დანამდვილებით იყო ცნობილი, რომ „ოპეეს“ ვირუსის გავრცელების შედეგად ერთი თვის განმავლობაში მილიონი ადამიანი განადგურდებოდა. ამერიკელებს 10 ასეთი ინფიცირებული ჰყავდათ ტბისქვეშა ლაბორატორიაში და სწორედ მეორე დღეს უნდა გადმოეგზავნათ ეს ადამიანები საბჭოეთში.

საბჭოთა აგენტებმა ლაბორატორიის საზურავის, ანუ ტბის ფსკერის 10-მეტრიანი რადიუსი ააფეთქეს, რის შედეგადაც უზარმაზარი ლაბორატორია და 560 ადამიანი ხელოვნური ტბის ფსკერზე აღმოჩნდა. სპეცოპერაციას 4 საბჭოთა სპეცაგენტის სიცოცხლეც შეეწირა. დაღუპულებთან ერთად გმირები გახდნენ ბადრი ლაღიძე და თემურ ჯუღელი, რომლებმაც „ოპეეს“ ვაქცინით სავსე კაფსულა საბჭოთა კავშირში ჩამოიტანეს.

ამ ამბავს გაგრძელებაც აქვს.

საბჭოთა კავშირმა „ოპეეს“ ვაქცინა იმდენად საშიში და სწრაფგავრცელებადი გახადა, რომ ვიეტნამის ომში, მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში 85 000 ადამიანი დაიღუპა უცნობი დაავადებისგან.

1973 წელს, ციმბირში, ქალაქ ირკუტსკის მახლობლად, ღრმა ტაიგაში მდებარე გასაიდუმლოებულ სამხედრო-ბიოლოგიურ ლაბორატორიაში, მიწის ქვეშ, 40 მეტრის სიღრმეზე, პოლკოვნიკი იური სერიოგინი შეიჭრა, „ოპეეს-2-ით“ სავსე კაფსულა გაიტაცა და ტაიგაში ააფეთქა, რასაც 500 კმ-ის რადიუსში ყველა ცოცხალი ორგანიზმის დაავადება და სიკვდილი მოჰყვა. ეს იყო მიზეზი ციმბირის ე.წ „დიდი კარანტინისა“, როდესაც ირკუტსკი და ახლომდებარე რაიონები დახურულ ზონად გამოცხადდა...

მას შემდეგ, რაც ლუგარის ლაბორატორიამ ფუნქციონირება დაიწყო, არა ერთხელ ითქვა რუსული მედიის სხვადასხვა საშუალებით იმის შესახებ, რაც ჩვენვე გვაწუხებს, თუმცა ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ რუსები საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობაზე წუხან.

საინტერესოა, რა გვეშველება, როდის მოვრჩებით არხეინობას, გამოვიფერთხავთ დახშულ სმენას და გადავიწმენდთ დაბინდულ გონებას, რომ ჩვენი უგნურებით, ერთის მხრივ, მგელი მიგვარბენინებს შესაჭმელად, მეორეს მხრივ – დათვი, სახლში კი ათასი ჯურის კრაზანების ბუდე გვაქვს გამართული...

გიორგი ჩხეიძე

შეიძინეს თუ არა დევნილთა კომპენსაციებით ჩოჩელმა და მერაბიშვილმა ვილები დიღომში, ბათუმში და გერმანიაში?!

ამჟერად, კონფლიქტის ზონაში ახალგორის რაიონში ნაციონალების ნარჩენების და მათი თავკაცის, დღემდე ბაირამობაში მყოფი „ფეოდალის“ ცეზარ ჩოჩელის კაიკაცობაზე მოგვითხრობს ახალგორელი დევნილი, ბატონი ნუგზარ ოდიშვილი, რომელიც ნაციონალური უსამართლობის პირდაპირი მსხვერპლია და დღემდე სამართლისთვის ვერ მიუღწევია.

ბატონი ნუგზარი არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ახალგორელი

დევნილების პრობლემებზეც გვესაუბრება.

ნუგზარ ოდიშვილი:

– ორგანიზაცია მე დავაფუძნე დევნილების დასახლებაში ახალგორში და კარგად ვიცი, რის ფასად, რა რისკის ქვეშ გვიწევდა 2012 წელს „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა.

ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ კიდევ ერთხელ გაიგოს ყველამ, რა ჯოჯოხეთური მმართველობის რეჟიმი იყო „ნაცმოძრაობის“ დროს და რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული მათ წინააღმდეგ რომელიმე პოლიტიკური გუნდისადმი მხარდაჭერა.

იმ ხანებში დევნილებისთვის კომპენსაციის დარიგება დაიწყო, თუმცა გამოარჩიეს გარკვეული პირისპირდი – ჩვენ, ხალხი რომ გაგვწირა და თვითონ თავს რომ უშველა. განრისხებული ჩოჩელი გადამეკიდა. დასაჭერად დამდევდნენ „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები. ტყეებში ვიმალებოდით მე და რამდენიმე დევნილი კარგა ხანს...

ყველამ ვიცით, კორუფცია ყვაოდა ნაციონალების დროს და როცა დევნილებისთვის კომპენსაციების გაცემა დაიწყო, ამ პროცესს კომისიის თავმჯდომარე გია ჩიტოშვილი და თვით ცეზარ ჩოჩელი აკონტროლებდა, მათ მხარს უმაგრებდა ახალგორის გამგებელი ფიცხელაური, საკრებულოს თავმჯდომარე ყოჩიშვილი, რომლებიც, ცხადია, „ნაცმოძრაობიდან“ იყვნენ. მთლიან პროცესს ხელმძღვანელობდა მაშინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

იმის გარდა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ ახალგორის მოსახლეობა აგვყარეს მამაპაპეული ფუძეებიდან, რაიონში მძვინვარებდა ტერორი, შიში, ვინ საით გარბოდა, არავინ იცოდა, მაგრამ ჩოჩელებმა და მათმა უახლოესმა ბანდამ ხალხი დაგვყარა სასაკლაოზე, რითაც ჩაიდინეს უდიდესი ღალატი. ჩვენი ქვეყნის და ხალხის წინაშე.

უბედურებაგამოვლილი ხალხის ვითომ დასახმარებლად, ნაციონალებმა, ომის შემდეგ, შექმნეს რაიონის კომისია, თავმჯდომარედ დანიშნეს გია ჩიტოშვილი, ხოლო ყველაფერ ამას აკონტროლებდა თვით ცეზარ ჩოჩელი, რომელსაც „კრიშავდა“ ვანო მერაბიშვილი. საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართული გამგებელი ფიცხელაური და საკრებულოს თავმჯდომარე ყოჩიშვილი. შექმნეს კორუფციული ქსელი, რომელშიც მონაწილეობა მიაღებინეს საკრებულოს გამგებლებს. მოსახლეობამ ძალიან კარგად ვიცით, როგორ ჩაიჯიბეს მილიარდები, როგორ შეისყიდეს მიწები კაპიკებში და როგორ მიჰყიდეს შემდეგ სახელმწიფოს. როგორ გაიყარნენ ცოლი და ქმარი საბუთებით და როგორ მიიღეს ცალ-ცალკე კომპენსაციები მათმა ახლობლებმა. გია ჩიტოშვილმა ყველა თავის დედმამიშვილს მისცა კომპენსაცია. თავისი სიმამრის საძროხესა და საღორეებში გაწერა კომპენსაციები სოფელ ნაცარაში. ბევრი ფაქტია იმისა, თუ როგორ ართმევდნენ 1 000 დოლარიდან 2 000-ს და 3 000-ს თითოეულს, ესეც არ ეყოთ. ვლადიკავკაზში წასული ოსური მოსახლეობა ჩამოიყვანეს და 10 000-დან გამოართვეს 5 000 დოლარი. ენა ვერ აღწერს ამ დანაშაულებებს.

ჩვენს უბედურებებს საზღვარი არ ჰქონდა, გვაშინებდნენ და დაჭერით გვემუქრებოდნენ, თუ ხმას ამოვიღებდით. ვისაც არც სახლი, არც კომპენსაციები არ მოგვცეს, გვატყუეს, თან გვეუბნებოდნენ: წადით და მერაბიშვილთან გვიჩივლეთო.

ომისგან ისედაც დათრგუნულ-დაზარალებულ ხალს ესენი უდიდესი წნეხის ქვეშ გვამყოფებდნენ.

2012 წლიდან არჩევნებში გაიმარჯვა ხალხმა, თითქოს დავამარცხეთ ნაციონალები, მაგრამ ამ რაღაც გაურკვეველი კოჰაბიტაციის შედეგად, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. ისევ ჩოჩელის ხალხია ყველგან – საკრებულოებში, გამგეობაში, ჩიტოშვილისთვის, ფიცხელაურისთვის და სხვებისთვის, ამ კორუმპირებულებისთვის, კრიმინალებისთვის, პასუხი არავის მოუთხოვია. ჩვენ, ვინც ვიბრძოდით მათ წინააღმდეგ „ნაცმოძრაობის“ დროს და არჩევნების წინ, ისევ იგივე მდგომარეობაში ვართ. ჩვენს წინ ყველა უწყებების კარი იკეტება და სამართალს დღემდე ვერ ვპოულობთ.

ბატონ ბიძინა ივანიშვილსაც შევხვდით, თვით მისი პრემიერობის დროს სახელმწიფო კანცელარიაშიც შევიტანეთ განცხადება 2013 წლის 21 იანვარს, ნომერიც მახსოვს – #457 ნომრად გატარდა ჩვენი განცხადება. მერე გენერალურ პროკურორს, ბატონ არჩილ კბილაშვილსაც მივმართეთ განცხადებით, მაგრამ რად გინდა, პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

ვითხოვდით, დასჯილიყვნენ კრიმინალური გარიგების ავტორები და სახელმწიფო თანხები, რომლებიც დიდი რაოდენობით მიითვისეს მაშინდელმა მოხელეებმა, დაბრუნებოდა სახელმწიფოს, რითაც, ჩვენი აზრით, მაშინდელი

რეჟიმისგან დაზარალებული დევნილები დაკმაყოფილდებოდნენ.

დღემდე ვითხოვთ შეიქმნას კომისია, რომელიც დაადგენს:

რამდენმა ადამიანმა მიიღო კომპენსაცია და ბინა და ვინ არიან ეს ადამიანები.

რამდენ ლარად იყიდეს წეროვანში, წილკანში და ფრეზეთში მიწები, რამდენად მიჰყიდეს, ვითომ, სახელმწიფოს და ვისზე იყო გაფორმებული.

რა დაჯდა თითოეული ბინის აშენება.

შემოწმდეს, ამ კომპენსაციის ფულებიდან მართლა შეიძინეს თუ არა ვილები ჩოჩელმა და მერაბიშვილმა ბათუმში, გერმანიაში და დიღომში. როგორ შექმნეს „ბარამბო“, „ზედაზენი“ და ამდენი სამშენებლო კომპანიები.

თბილისში შეიძინეს ბინები და სხვა ტიპის დიდძალი ქონება კომისიის წევრებმა.

გვსურს, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართოთ ხელისუფლებას – დასაჯეთ დამნაშავეები, რომ მოსახლეობას გვქონდეს მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება. ახალგორის დევნილთა უმრავლესობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია დღემდე, რის გამოც კვლავ ვისჯებით, ასე გაგრძელება კი ყოველგვარ აზრს კარგავს და 2016 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნების“ რეიტინგი უმცირესი იქნება. გვენანება ჩვენი თავგანწირვით მოპოვებული გამარჯვების დათმობა, მაგრამ ხელისუფლება თუ ყურად არ იღებს ჩვენს სამართლიან მოთხოვნას, სხვა გზა აღარ დაგვრჩება და ჩვენ ხმას არ მივცემთ „ქართულ ოცნებას“.

გრიგოლ გაგნიძე, უფლებადამცველი:

– დაახლოებით სამით თვის წინ ჩავერთე ამ საქმეში, როგორც უფლებადაცველი ადვოკატი.

ვაპირებთ, ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ კარს მომდგარი არჩევნების მიჯნაზე, რომ ამ ხალხის პრობლემას ყურადღება მიაქციოს. ვიღაცა რეგიონში თუ სახელმწიფო უწყებებში საბოტაჟს ქმნის, ხალხი ნაწყენდება და სამწუხაროდ ყველა ბიძინა ივანიშვილისკენ იშვერს ხელს. მაღალი პასუხისმგებლობის დონის მქონე ადამიანებს უნდა დაუძახონ, რათა რეალურად მიხედონ დევნილ მოსახლეობას. ვაპირებთ მოწოდებული ინფორმაციის კორექტირებას და, სავარაუდო კორუფიული ფაქტების გამო, რაზეც ახალგორელი დევნილები საუბრობენ, კიდევ ერთხელ მივმართოთ პროკურატურას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ატინაკი“ – მსოფლიო ბრენდი საქართველოშია!

ასოციერების ხელშეკრულების იმპლემენტირების დასაწყისიდან საქართველო ბევრი საერთაშორისო ბიზნეს-ოპერატორის მიერ უკვე რეალურად განიხილება ევროპულ ქვეყნად სტაბილური ბიზნეს-გარემოთი და კანონის უზენაესობით. ის ფაქტი, რომ საქართველოში ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მსოფლიო ბრენდებია წარმოდგენილი, ჩვენს პრესტიჟს ამაღლებს მსოფლიოს თვალში. ეკონომისტების მტკიცებით, თავისუფალი ბაზრის განვითარება უშუალო კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან და ცხოვრების დონის ამაღლებასთან. ამ კუთხით განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ქართულ ბაზარზე წარმატებით იმკვიდრებენ თავს საერთაშორისო სახელისა და რეპუტაციის მქონე დიდი კომპანიები.

წყალგაყვანილობების, სადრენაჟო, საკანალიზაციო მილსადენების და სხვა სპეციფიკური ტიპის პრობლემები საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა რეგიონს აქვს.

ჩვენი დაინტერესება კომპანია „ატინაკით“ სწორედ ამან განაპირობა.

საკუთარ პროფესიულ სფეროში მაღალი ცნობადობისა და რეპუტაციის მქონე თურქული კომპანია, ძირითადად, წყალგაყვანილობების, საკანალიზაციო სისტემების დამონტაჟება, წმენდა, რეაბილიტაციის და მსგავსი ტიპის სხვა სამუშაოების მრავალპროფილური პრაქტიკით მსოფლიო მასშტაბით არის ცნობილი.

მას სურს საქართველოში დამკვიდრდეს და გახდეს წყალგაყვანილობის სიტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის წამყვანი ოპერატორი.

საინტერესოა, რომ „ატინაკის“ ინიციატივით დაინტერესებულია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, როგორც ადგილობრივ, ისე აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე. საქმის კურსშია ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის ხელმძღვანელობა, თბილისის საკრებულო და სხვები.

წლეულს კომპანია ქალაქ ფოთის წყალგაყვანილობის სარეაბილიტაციო პროექტს განახორციელებს. ასეთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების იმპლემენტირების დიდი გამოცდილება აზერბაიჯანში, მოლდოვაში და თურქეთში აშკარად იძლევა სრული ოპტიმიზმის საფუძველს.

ირაკლი კერესელიძე

განსახორციელებელი პროექტები იმდენად ფართო და თანმიმდევრულია, შეიძლება თამამად ითქვას, რომ უახლოეს წლებში საქართველოში წყალგაყვანილობის პრობლემა სრულად მოიხსნება.

გვესაუბრება კომპანია „ატინაკის“ წარმომადგენელი საქართველოში იურიდიული კომპანია „LCHL“-ის აღმასრულებელი დირექტორი **ირაკლი კერესელიძე**.

– ბატონო ირაკლი, მოგვიყევით უფრო დაწვრილებით კომპანია „ატინაკის“ საქმიანობის შესახებ.

– სინჟინრო-სამშენებლო, ინფრასტრუქტურული კომპანია „ატინაკი“ უდიდესი მასშტაბის კომპანიაა. იგი 20 წელიწადზე მეტია მსოფლიო ბაზარზე მოღვაწეობს.

„ატინაკი“ 1994 წელს დაფუძნდა.

საქმიანობის დასაწყისში კომპანია ახორციელებდა სასმელი წყლის მილსადენების მონტაჟს, წყალსაცავების მშენებლობას, წყალმომარაგების ობიექტების მშენებლობას.

შემდეგ საქმიანობის მიმართულებები უფრო გააფართოვა.

როგორც წესი, კომპანია მაღალხარისხოვნად ახორციელებს საქმიანობას, რამაც დიდი ავტორიტეტი შესძინა არა მხოლოდ თურქეთში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც.

ამას ადასტურებს ჯილდოები და სერტიფიკატები, რაც მრავლად აქვს მიღებული კომპანიას.

„ატინაკში“ მოღვაწეობენ მრავალმხრივი გამოცდილების მქონე პროფესიონალები საქმიანობის ყველა სექტორში, რაც განაპირობებს კომპანიის წარმატებას მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ სათაო ოფისი თურქეთში მდებარეობს, ფილიალების ტიპის ე. წ. ქვეოფისები აქვს აზერბაიჯანში, მოლდოვაში, აფრიკის ქვეყნებში. ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოს მოიცავს კომპანიის სამოქმედო არეალი.

„ატინაკის“ გამგეობის თავმჯდომარეა ატილა აკალანი, რომელიც პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსია. ინჟინერ-მექანიკოსია მისი მოადგილე ინჯი აკალანიც. გამორჩეული ადგილი უკავია კომპანიაში ეკონომისტს, ბატონ ტუფან უზუნალას, რომლის საქმიანობის ეფექტურობაზე ბევრად არის დამოკიდებული კომპანიის წარმატება.

როგორც უკვე ვთქვით, წყლის გაყვანილობები, გამწმენდი სადგურები, კანალიზაციის სისტემები და ა.შ. მათი საქმიანობის ძირითადი სფეროა. ამ მხრივ კომპანიამ უდიდესი გამოცდილება მიიღო ორი ათეული წლის განმავლობაში.

„ატინაკს“ გამოცდილება აქვს დიდი ქალაქების წყალგაყვანილობებისა და გამწმენდი არხების მშენებლობა-რეაბილიტაციის კუთხით, კაშხლების მშენებლობის მიმართულებით. კომპანიას ოკეანის სიღრმეებშიც გაჰყავს წყალგაყვანილობების მილები და ა.შ.

ბოლო ხუთი წლის განამავლობაში კომპანიის შემოსავალმა 60 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ამ კომპანიის რეალური შემოსავალი, მაგალითად, 2014 წლისთვის იყო 17 მლნ 300 ათასი ამერიკული დოლარი, რაც ნიშნავს, რომ „ატინაკს“ უდიდესი მასშტაბის სამუშაოები აქვს, საერთო ჯამში, მხოლოდ 2014 წელს განხორციელებული.

ჩვენამდე კარგა ხნით ადრე „ატინაკთან“ თანამშრომლობით აზერბაიჯანი დაინტერესდა. კომპანიამ რეგიონში სწორედ ბაქოში განახორციელა გრანდიოზული ტიპის სამუშაოები და უნდა ითქვას, საკმაოდ წარმატებითაც.

– უფრო კონკრეტულად?

– მოგახსენებთ.

კომპანია „ატინაკმა“ აზერბაიჯანში რამდენიმე ქალაქში გრანდიოზული პროექტი განახორციელა.

ქალაქ გუბში გამართა წყალმომარაგების სისტემები, საკანალიზაციო ქსელი, დაამონტაჟა და ააშენა ქალაქის წყალმომარაგების რეზერვუარი მდინარე კუდიალჩაიდან.

საბოლოო ჯამში, კომპანიამ ამ ქალაქში 130 მილიონი დოლარის სამუშაოები შეასრულა.

განახორციელეს ასევე საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო სამუშაოები ქალაქ გიოკჩაიში.

პროექტი დაფინანსა აზიის განვითარების ბანკმა და მისი საერთო ღირებულება 83 600 000 ამერიკული დოლარია.

ჩაატარა, დაახლოებით, 300 კმ-იანი წყალსადენის მშენებლობა ოგუზ-გაბალა-ბაქოს მიმართულებით.

დაასრულა საკანალიზაციო კოლექტორისა და სატუმბი სად-

გურის მშენებლობა სუმგაითში.

2013 წელს განახორციელა შირვანი-სალიანი-ნეფთეჩალას ჯგუფური წყალსადენის მშენებლობა აზერბაიჯანში.

როგორც უკვე გითხარით, კომპანიას მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც აქვს დიდი პროექტები განხორციელებული.

2009 წელს მადაგასკარზე ზღვის ფსკერზე დამონტაჟებული მილსადენების გაყვანის სამუშაოები წარმატებით შეასრულა.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, კომპანიას საკუთარი ტექნიკური შესაძლებლობები გააჩნია. არ სჭირდება ქვეკონტრაქტორები და ნებისმიერი მასშტაბის ობიექტზე სრული უზრუნველყოფის გარანტიით შედის.

„ატინაკის“ საქმიანობის დახასიათებისას, არ შეიძლება არ აღვნიშნო, თვით კომპანიის სტრატეგიის შესახებ, რასაც ისინი 1994 წლიდან ახორციელებენ. აქვთ სერიოზული კვალიფიკაცია და ვიწრო სპეციალიზაცია, რაც განაპირობებს იმას, რომ როდესაც მსოფლიოს ქვეყნებში პრობლემები ჩნდება, რაც წყალგაყვანილობების, კანალიზაციის და ასეთი ტიპის სამუშაოებთან არის დაკავშირებული, ყველა ცდილობს, სამუშაოები „ატინაკს“ განახორციელებინოს.

— როგორც ვიცი, „ატინაკი“ შარშან გამოჩნდა ქართულ ბაზარზე, რა პროექტების განხორციელებას აპირებს კომპანია ჩვენს ქვეყანაში?

— კომპანიამ გასული წლის დეკემბერში დაიწყო მოლაპარაკებები ქართულ მხარესთან. განზრახული აქვს, დამკვიდრდეს საქართველოში და ჩვენთანაც განახორციელოს მსგავსი ტიპის პროექტები.

„ატინაკი“, წლეულს, საქართველოში, ასე ვთქვათ, სადებიუტო პროექტს განახორციელებს. ისინი ქალაქ ფოთის წყალგაყვანილობის სარეაბილიტაციო საქმიანობას შეასრულებენ.

— რატომ ფოთში?

— წყალგაყვანილობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა ქალაქ ფოთში, შეიძლება ითქვას, ყველაზე სავალალო მდგომარეობაშია. მით უფრო, რომ ფოთის რეაბილიტაციის პროექტი დაფინანსებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ, რომელთანაც „ატინაკს“ მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ თავდაპირველად ფოთის ტენდერის გამარჯვებულად ნომინირებული იქნა ნულოვანი გამოცდილების მქონე აზერბაიჯანული კომპანია, რომლის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, უშუალოდ აზერბაიჯანშიც კი, დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს.

ფაქტი, გარკვეულწილად, ირონიულადაც გამოიყურება: თავად აზერბაიჯანელები დიდი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩასატარებლად „ატინაკს“ ეპატიჟებიან და ჩვენ კინაღამ აზერბაიჯანელი თაღლითების ხელში აღმოვჩნდით.

— რამდენადაც ვიცი, ამ დღეებში ხელისუფლების წარმომადგენელებს შეხვდით.



ავტომატური შემდულებელი მანქანა

— ინფრასტრუქტურის მინისტრის, ბატონი ნოდარ ჯავახიშვილის პირადი და პროფესიული პრინციპულობის გათვალისწინებით და ჩვენი ოფისის სამართლებრივი შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების შედეგად, დარწმუნებული ვართ, საკითხი საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ გადაწყდება. ამის დიდი იმედი მაქვს.

რაც შეეხება კვლავ ფოთს, არ მინდა, ვინმემ იფიქროს, თითქოს ფოთში არის განსაკუთრებული ვითარება, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. რა თქმა უნდა, არის სხვა რეგიონებიც, სადაც აუცილებელია სამუშაოების ჩატარება, მაგრამ, ამჯერად, ფოთით დავიწყეთ, შემდეგ გადავალთ ზუგდიდში, ქუთაისში, თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც.

„ატინაკი“ აპირებს ინვესტირებაც განახორციელოს საქართველოში.

მოგეხსენებათ, კომპანია საერთაშორისო ოპერატორია და მისი საქართველოს ბაზარზე შემოსვლა ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის საკითხიც არის.

იმის გარდა, რომ გრანდიოზულ პროექტებს განახორციელებენ, ჩვენი ქვეყნისთვის ამ კომპანიის აქ დამკვიდრება ნიშნავს იმას, რომ საქართველო ხდება იმ ტიპის ქვეყანა, სადაც ასეთი გიგანტი ტიპის ორგანიზაცია მკვიდრდება. ეს იგივეა, „მაიკროსოფტმა“ საქართველოში ოფისი რომ გახსნას, ანუ ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი იზრდება მსოფლიოს თვალში. ახლა, როცა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის საკითხი დგას დღის წესრიგში, საქართველო ევროპული გზით მიდის და პარალელურად, საერთაშორისო კომპანია მკვიდრდება საქართველოში, ანუ აქ არის შესაბამისი გარემო, ბაზარი, უსაფრთხოა საქმიანობის გაშლა და ა. შ.

— ფოთის შემდეგ საქართველოს რომელ რეგიონში და რა ტიპის სამუშაოების ჩატარებას აპირებთ?

— დასავლეთით ვიწყებთ და შემდგომში სამუშაოებს გავშლით მთელი საქართველოს მასშტაბით, თბილისის ჩათვლით.

— სამუშაოების პრიორიტეტს ქართული მხარე შესთვაზებს?

— „ატინაკი“ საკუთარ თავს განიხილავს საქართველოს სახელმწიფოსა და ხელისუფლების მეგობრად შესაბამისად პრიორიტეტები დალაგდება სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

— რაც შეეხება სამუშაოების სპეციფიკურ კონკრეტიზაციას?

— კომპანია, მენეჯმენტის თვალსაზრისით, დომინანტი იქნება, პროფესიული პოტენციალი კომპანიის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული. სწორედ ეს არის „ატინაკის“ პრივილეგია. ის სპეციალისტებს არა მხოლოდ თურქეთიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოიყვანს, ხოლო საქმიანობის ძირითადი შემსრულებლები ქართველები, ქართული მხარე იქნება.

— წარმატებებს გისურვებთ.

— გმადლობთ. მოხარულნი ვართ, რომ დაინტერესდით ჩვენი კომპანიის საქმიანობით და ვიმედოვნებთ, ქართული საზოგადოებრიობა მეტნაკლებად მაინც გაიცნობს კომპანიის გეგმებსა და ამოცანებს, რაც უდაოდ მნიშვნელოვანი იქნება „ატინაკის“ საქმიანობის ეფექტურობისთვის საქართველოს ბაზარზე.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

24-კილომეტრიანი საკანალიზაციო სისტემა აზერბაიჯანში

„წყვდიადის ანგელოზები" და „ანგელოზების" დედა, სახელად ლაურა

„ლაურა ღაჭავა – ქალი, რომელმაც აღზარდა მკვლელი, თაღლითი და ბარიგა შვილები! ქალი, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს დაუპირა გადაგდება, ქალი, რომელიც მოერგო გამსახურდიას, შევარდნაძეს და სააკაშილის პერიოდს! და, აი, ამ ბინძური ქალის მეტი ვერა ნახე ვერავინ, თინა ძალო??? ამ ქალის მეტი ვერავინ შეუკერავდა სამხედრო ფორმას ქართულ ჯარს?

თუმცა რა არის ამაში გასაკვირი? ერთი სატანა შეეკრა მეორე სატანას! სადაც ჯარის კვებაში აკეთებს ფულს, სადაც ჯარს ფუნქცია დაუკარგე და არჩევნების გაყალბება აიძულე, რა გასაკვირია, თუ ღაჭავას შეკერილ ფორმას ჩააცმევ ქართულ არმიას! ატკატი რამდენი გაქ, „ცნობილო გამყალბებელო"?

რამდენიმე დღის წინ ლადო სადღობელაშვილმა სოციალურ ქსელში ასეთი შინაარსის სტატუსი გამოაქვეყნა და კიდევ ერთხელ დააფიქრა საზოგადოება. რატომ იგებენ ტენდერებს ისევ ნაცხროვის ცნობილი „კრიმინალები", რომლებიც წლების წინ დაკავებულები და გასამართლებლები უნდა ყოფილიყვნენ.

2004-12 წლებში ლაურა ღაჭავას ოჯახმა მრავალმილიონიანი ქონება დააგროვა, მაგრამ არაფერს ამბობდნენ, თუ რა თანხებით დაიწყეს საქმიანობა და საიდან ჰქონდათ საწყისი კაპიტალი. საზოგადოებისთვის კი ცნობილი ფაქტია, რომ ღაჭავამ პირველი კაპიტალი ინდოეთიდან ჩამოტანილი „ნორფინების" რეალიზაციით მოაგროვა და მას „მხედრიონელები" მფარველობდნენ, ხოლო შემდეგ რამოდენიმე ბორდელის გახსნით გაზარდა შემოსავალი. მიხეილ სააკაშვილის „მეფობის" ხანაში ქავთარაძის ქუჩაზე არსებული სამკურნალო კომბინატი დავით კოდუამ სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად შეიძინა. 2012 წლამდე ღაჭავა-კოდუების ქონება საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა. ქავთარაძის ქუჩაზე შპს „სამკურნალო კომბინატი", პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი საბანკეტო დარბაზებით, სასტუმრო „საქართველოს" 80%, მელიქიშვილის გამზირზე მდებარე ბავშვთა საავადმყოფო, მელიქიშვილის გამზირზე ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შენობა, გურამიშვილის ძეგლთან, ჭავჭავაძის გამზირზე ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, აეროპორტის დასახლებაში მდებარე ფართობი: 10195 კვ.მ., სანაპიროზე საინჟინრო ლაბორატორია, კახეთის გზატკეცილზე №69-ში მდებარე ობიექტი. სავაჭრო ცენტრი „ლილო სიტი", მზა ტანსაცმლის ფაბრიკა, „პირიმზის" 36. ხალხის ტერორში, ძარცვა-დაყაჩაღებაში, დაჩმორებაში კოდუა-ღაჭავას კლანს ზურგს სახელმწიფო სტრუქტურები უმაგრებდნენ

2007 წლის თებერვალში სს „მასპინძელსა" და შპს „მასვალოში" ფინანსური პოლიცია სოდთან ერთად შევიდა და სასტუმრო „საქართველოს" შენობაში არსებული ორგანიზაციები 8 თვის განმავლობაში პარალიზებული აღმოჩნდნენ. 2007 წლის 9 მარტს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ასაჩივრებს თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1994 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებას, ხოლო თბილისის მერია – საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 15 ივლისის №28 საბარათო (ვაუჩერებით) აუქციონის შედეგებს, რითიც ორივე ერთად ითხოვს სს „მასპინძლის" აქციონერების საკუთრებაში არსებული აქციების 58,95%-ის მერიის საკუთრებად დარეგისტრირებას, ანუ, პრაქტიკულად, პრივატიზებული საწარმოს იგივე პროცენტის სახელმწიფოსთვის, მერიისთვის საკუთრებაში გადაცემას.

აქ აღსანიშნავია უმთავრესი: საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1994 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება და ზოგადად სს „მასპინძლის" პრივატიზაცია კანონიერად არის ცნობილი.

ამის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მაინც მიიღო სარჩელი და მოპასუხეებად სცნო სს „მასპინძლის" აქციონერები.

ფაქტობრივად, თბილისის მერია სასამართლოს საშუალებით ითხოვდა აქციონერების საკუთრებაში არსებულ ქონებას. სასამართლომ ქონება დააყადაღა და მოწილეები იძულებული გახდნენ, მორიგებაზე წასულიყვნენ და სასტუმრო „აფხაზეთი" მიმდებარე ორსართულიანი ნაგებობითა და 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, 2007 წლის 16 ოქტომბრის მხარეთა მორიგების აქტით (რომელიც განჩინებით დაამტკიცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე რ. თოფჩიშვილმა) სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა. უსასყიდლოდ გადაცემის სანაცვლოდ სს „მასპინძლის" აქციონერებმა მესამედ მიიღეს დარჩენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვის ახალი კანონისმიერი გარანტია. ეს დარჩენილი ქონება კი იყო ქ. თბილისში მელიქიშვილის გამზირზე მდებარე სასტუმრო „საქართველოს" შენობა, რომელიც დარჩა სს „მასპინძლის", შპს „მასვალოს" და შპს „საქართველოს" პარტნიორთა საკუთრებაში.

2007 წლის ზაფხულიდან სასტუმრო „საქართველოს" მყიდველებად მოევლინენ დავით კოდუა და დედამისი ლაურა ღაჭავა. დაიწყო მწვავე და ხანგრძლივი მოლაპარაკებები შენობის შესყიდვის თაობაზე. ზოგ მესაკუთრესთან წილობრივი გარიგება შედგა, ნაწილთან კი არა, ვინაიდან მათ შესთავაზეს რეალურ საბაზრო ფასთან შედარებით გაცილებით დაბალი ანაზღაურება

წინააღმდეგობის დასაძლევად, მესაკუთრეებზე ზეწოლა განხორციელდა. ერთ-ერთი მესაკუთრის შვილები სხვადასხვა მიზეზით დააკავეს და საპროცესო გარიგებით გაათავისუფლეს. მეორე მესაკუთრის მანქანა სერიოზულად დააზიანეს, მოგვიანებით კი იგივე მანქანა გამოძიების მიერ „დაუდგენელმა" პირებმა „დაუდგენელი" იარაღით დაცხრილეს. (დღეს ნაც.ხროვა გაუხსნელ დანაშაულებზე ურცხვად აპელირებს)

ამდენად, კოდუების მხრიდან დაიწყო მინიმალურ ფასად შენობის ხელში ჩაგდების მცდელობა და სახელმწიფოსთან მესაკუთრეთა გარიგება აღარ შესრულდა.

დავით კოდუამ თავისი წარმომადგენლობა დანიშნა, რომელიც, ფაქტობრივად, უკანონოდ მართავდა სასტუმრო „საქართველოში" არსებულ ორგანიზაციებს (სს „მასპინძელი", შპს „საქართველო", შპს „მასვალო"). მას უახლოეს პერიოდში, 2007 წლის 31 დეკემბრამდე, უნდა შეეძინა სს „მასპინძლის" აქციები და შპს „მასვალოს" წილები. იმის მიუხედავად, რომ მან არ შეიძინა ამ ორგანიზაციების აქციები და წილები, იგი განაგრძობდა მათ უკანონოდ მართვას. შპს „საქართველოს" პარტნიორთა 2008 წლის 3 ივლისის კრებაზე დავითკოდუამ პასუხისმგებლობა აიღო 2007 წლის სექტემბრის შემდეგ დაგროვილი დავალიანებების დაფარვაზე. ამავე დროს, 2008 წლის 1 აგვისტომდე წილების მიყიდვის ანგარიშსწორება უნდა დასრულებულიყო. კოდუებს საბაზრო ფასში უნდა შეეძინათ აღნიშნული უძრავი ქონება და განეხორციელებინათ მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციები, გაეზარდათ შემოსავლები, თანამშრომელთა რაოდენობა, ბიუჯეტში შესატანი თანხა, დაეცვათ მცირე აქციონერთა უფლებები. თავიდანვე კოდუებმა განაცხადეს, რომ შპს „საქართველოს" 16,5 მლნ. დოლარად შეიძენდნენ. შემდეგ თანდათან ნაკლებ ფასზე ჩამოვიდნენ.

მათ სხვა მიზნები ამოძრავებდათ – უნდა გაეკოტრებინათ ორგანიზაციები და შემდეგ გაკოტრებული საწარმოები იაფად ჩაეგდოთ ხელში.

მყიდველის ნიღბით შემოსულმა კოდუებმა 2008 წლის 25 ნოემბერს შპს „საქართველოს" პარტნიორებთან ნოტარიულად გააფორმეს შეთანხმება თავიანთი წილების ლაურა ღაჭავასთვის მიყიდვის შესახებ: თამარ ჩარკვიანმა (15,04), ბესარიონ ხარძიანმა (7,46%), მარო მაცაბერიძემ (17,05%), გიორგი კიკალიშვილმა (5,96%), თინათინ ყალიჩავამ (5,29%), სულ 50,8%.

კურიოზი კი ის არის, რომ საჯარო რეესტრში ღაჭავა დარეგისტრირებულია 2010 წლის 5 იანვარს, რის გათვალისწინებითაც 3 წლის მანძილზე უკანონოდ მართავდა შპს „საქართველოს".

კოდუებმა, ჩაიგდეს რა წილების საკონტროლო პაკეტი და აბსოლუტური მართვა გაინაღდეს, 2009 წლის ბოლოს, მდგომარეობის გამოსწორების ნაცვლად, პრობლემებმა იმატა. გაჩნდა სახელფასო დავალიანებები, შემცირდა შემოსავლები, არ ხდებოდა დებიტორული დავალიანებების ამოღება და ორგანიზაცია, ფაქტობრივად, გაკოტრების პირას მივიდა.

შენობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ ქირავდებოდა. იმ მოიჯარეებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ქირაობდნენ საოფისე ფართებს სასტუმრო „საქართველოში", დატოვეს შენობა. კოდუების დანიშნული მმართველობითი სისტემა დამქირავებლებს სთავაზობდა მიუღებელ პირობებს, რის გამოც აღარ ქირავდებოდა საიჯარო ფართები, მეიჯარეები თვითდინებაზე იყვნენ მიშვებულნი.

2009 წლის 17 მარტის სს „მასპინძლის" სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე გენდირექტორმა მინდორაშვილმა განაცხადა, რომ იგი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ვინაიდან კოდუების ოჯახის მხრიდან მუდმივი ზეწოლის ქვეშ იმყოფება.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის შეცვლის შედეგად 2009 წლის 22 სექტემბერს მესაკუთრეთაგან ფარულად, „სასაცილო ფასად" იყიდა თეიმურაზ ლაგვილავამ. იგი ამავე დროს იყო შპს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფის" (სადაც მის პარტნიორ საჩოგბურთო კლუბ „დინამოს" აქციათა 95,71 % ღაჭავას ეკუთვნოდა) და შპს „ბულიტების" (სადაც ღაჭავას 100 %-იანი წილი აქვს) დირექტორი. საჯარო რეესტრმა მაინც დაამოწმა უკანონო გარიგება, მიუხედავად იმისა, რომ მას ხელს აწერდა შეზღუდული უფლებამოსილების დირექტორი. ამ უკანონო გარიგების საფუძველზე ახალი მესაკუთრის დარეგისტრირება „მოახერხა" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, ლაურა ღაჭავას ადვოკატმა შალვა კაციაშვილმა.

ქონების წართმევით დაზარალებული აქციონერების მოთხოვნით შეიქმნა კომისია, რომელსაც სასტუმროს უკანონო გასხვისების საკითხი უნდა შეესწავლა, კომისიამ მოძიებული მასალებით გააკეთა განაცხადი, რომ ქონება გაყიდულია უკანონოდ, საბაზრო ღირებულებასთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებ, აშკარად შეუსაბამო ფასად, შედეგად დაზარალებული არიან აქციონერები და სახელმწიფო ბიუჯეტი. მაგრამ სს „მასპინძლის" სამეთვალყურეო საბჭოსგან კომისიის დასკვნას სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია..

2011 წლის 22 თებერვალს აქციონერებისაგან ფარული პირობებით გაიყიდა სს „მასპინძლის" ქონება შპს „საქართველოში" 3,69 %-იანი წილი ვინმე ანრი ბაციკაძეზე. ხელ-

შეკრულებაში გაურკვევლად წერია ფასი – „75000 ლარის ეკვივალენტი ლარებში“. ამიტომ აქციონერები უშედეგოდ ითხოვდნენ შპს „საქართველოს“ ლ. ღაჭავას ინტერების დამცველი დირექტორისგან ამ აუდიტორულ დასკვნას. მიუხედავად იმისა, რომ ა. ბაციკაძეს შპს „საქართველოს“ წილი იაფად მიეყიდა, მან გადაიხადა მხოლოდ 50000 ლარი. კანონი საკონტროლო პაკეტის შემძენ აქციონერს დარჩენილი აქციების შეძენაზე სატენდერო შეთავაზებას ავალდებულებს. ღაჭავამ დანარჩენი აქციონერების ქონების მითვისება სხვა უკანონო გზებით ამჯობინა. დაშინებული, მოტყუებული თანამშრომლები და აქციონერები ვერაფერს აკეთებენ თავიანთი შელახული უფლებების დასაცავად. ღაჭავას „მტაცებლურ“ ქმედებას 2011 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვრცელი წერილი მიეძღვნა, გთავაზობთ ფრაგმენტს ამ წერილიდან:

„საზოგადოება კითხულობს – სად გაქრა სასტუმრო „საქართველოს“ ხუთვარსკვლავიან კომპლექსად გადაკეთების გრანდიოზული პროექტი. ხომ არ იყო ეს წინასწარ გათამაშებული უნიჭო სპექტაკლი ფულის გასათეთრებლად. რატომ ხმას არ იღებენ ამ პროექტის ხელშემწყობნი და გამპიარებლები. რაც მთავარია, რატომ არავის დაეკისრა პასუხისმგებლობა?!.“ საინტერესოა, რატომ, რის სანაცვლოდ დადუმდა მაშინდელი ადეიშვილის „საგრაფო“ ფინანსური პოლიცია ხომ, კოდუებთან კუდით იყვნენ გადაფსკვნილები. ან რას უნდა მივაწეროთ ქალაქის მაშინდელი მერის ასეთი თანადგომა, ოდესმე საზოგადოება უფლებამოსილი პირებისაგან მოისმენს სწორ პასუხს?

ლაურა ღაჭავა არაერთხელ შეეცადა შპს „საქართველოს“ პარტნიორთა „გადაგდებას“. მაგალითად, თინა ბაიაშვილს წილის ყიდვაზე მოელაპარაკა და ბანკიდან ფულის გადარიცხვის საგადასახადო დავალიანების დოკუმენტი უჩვენა, მაგრამ შემოწმებისას გაირკვა, რომ თანხა გადარიცხული არ იყო და ეს საბუთიც ყალბი აღმოჩნდა. მეორეჯერ, ლაურა ღაჭავამ წილის ყიდვა 1 მლნ. 600 ათას დოლარად მარო მაცაბერიძესთან ნოტარიულად გააფორმა, მაგრამ დირექტორმა მოლაპარაკებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტი მოითხოვა. მოგვიანებით ეს დოკუმენტი წარმოადგინეს, რომელსაც მაცაბერიძის ნაცვლად ღაჭავას იურისტი გაბეხაძე აწერდა ხელს, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. მესამეჯერ, როგორც ამბობენ, სანაპიროზე მდებარე „იაპონური“ ავტოგასამართი სადგურის სანაცვლოდ ლ. ღაჭავა მეპატრონეს კომერციული ფართის მიცემას დაპირდა, მაგრამ გადაფორმების შემდეგ “მშრალზე” დატოვა. მეოთხეჯერ ღაჭავამ ერთ არქიტექტორს კომერციული ფართი გადააფორმებინა, მაგრამ მოლაპარაკებული თანხის ნაცვლად გაცილებით ნაკლები გადაუხადა. სამწუხაროდ, დაზარალებულები დაშინების გამო არ ჩიოდნენ და ვერც ხმას იღებდნენ. მოყვანილ ფაქტებზე კოდუების კლანს პასუხი უნდა ეგო, მაგრამ სიტყვის შებრუნებას ვინ გაუბედავდა. არადა, რამდენი ქალი იხდიდა თაღლითობის მუხლით სასჯელს, ღაჭავას მარტო ზემოთ ჩამოთვლილი თაღლითური ეპიზოდები შეკრების შემდგომ უვადო პატიმრობას „აირტყამდა“, მაგრამ სააკაშვილი და ადეიშვილი გარკვეული მიზნების გამო აპარპაშებდნენ ლაურას...

ზემოთ აღნიშნული, კრიმინალი ოჯახის მეთაურის უკანონო ქმედების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, თუმცა საკმარისი, ნორმალურ ქვეყანაში, სამართლიან სახელმწიფოში პასუხი, ეგო კანონის წინაშე. ლაურა ღაჭავას „ლივლივი“ ხელისუფლების შეცვლის შემდგომ სხვა ფაზაში გადავიდა, 9 წელიწადი ხალხის ძარცვით, ტერორით მიღებულ თანხას წარმატებით „აბანდებს“ მის მიერ მართულ მასმედიაში, რათა როგორმე გადარეცხოს ის სისხლიანი გზა, რომელიც მისმა ოჯახის წევრებმა და ნაცბანდის სხვა წევრებმაც თავაწეულებმა გაიარეს და სულის დეგრადირების გამო სინანულსაც არ გრძნობენ. როგორ ახერხებს ამას სხვა თემაა, მაგრამ ფაქტიც ჯიუტი, რომ ლაურა ისევ „ბიზნესითაა“ დაკავებული და ტენდერებსაც იგებს“.

ღაჭავას კიდევ ერთ ოჯახის წევრს ერეკლე კოდუას, გვამების შემგროვებლის, ფიზიკური ანგარიშმსწორებლის, ქონების „ამხევის“, ნარკობარონის სახელით იცნობს საზოგადოება. ერეკლე კოდუა სააკაშვილ-ადეიშვილის კლანში მოიაზრებოდა და ყველაფერი გააკეთეს მისმა „პატრონებმა“, რომ ქართული მართლმსაჯულების წინაშე არ წამდგარიყო. თუმცა, ჯერჯერობით, არავინ იცის, რა მოხდება ხვალ. „სოდი“, რომელსაც ერეკლე კოდუა ხელმძღვანელობდა, 2005 წლიდან ასე იშიფრებოდა „სუბუტექსის ოფიციალური დისტრიბუტორები“ მის უწყებაში უამრავი ნარკომანი და რეალიზატორი მუშაობდა, აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო, როგორც საზოგადოებისთვის ასევე ზემდგომი ორგანოებისთვის. როგორ უსწორდებოდა ურჩ თანამშრომლებს, რა მეთოდებით სჯიდა მოწინააღმდეგეებს ხელმძღვანელის დავალებით თუ პირადი მოსაზრებით (პარლამენტის წევრი ვალერი გელაშვილის უმოწყალო ფიზიკური ანგარიშსწორება) და ყოფილი თანამშრომლის გია თელიას ლიკვიდაცია.

საქართველოს შსს მაღალჩინოსნები რომ უშუალოდ გარეულნი იყვნენ ნარკოტრეფიკში და სწორედაც ამ ტრეფიკის კონტროლიორებად და მთავარ მეწილეებად გვევლინებოდნენ, არაერთი მტკიცებულება

არსებობს, თუმცა არ არსებობს მთავარი პროკურატურის სურვილი დაისაჯოს კოდუა. საინტერესოა ანტინარკოტიკული სამსახურის ყოფილი თანამშრომლის თემურ რევაზიშვილის ინტერვიუ. 2005 წ. სოდ-ის ყოფილი თანამშრომლები რევაზიშვილი და ხუხია სოდი-ი დეპარტამენტის უფროსს ირაკლი კოდუას და მის მოადგილეს კახა მისირელს ნარკორეალიზიტარებთან კავშირსა და მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. რევაზიშვილის განცხადებით, კოდუამ მას მანამდე ერთ-ერთი ნარკორეალიზატორის წინააღმდეგ საქმის შეწყვეტა და ნარკობიზნესში თანამშრომლობა შესთავაზა. უარის მიღების შემდეგ კი რევაზიშვილი მოტყუებით წყნეთში წაიყვანეს, 7 პოლიციელი დაესხა თავს და სცემეს, აღიარებას აიძულებდნენ და მოკვლა დაუპირეს. რევაზიშვილმა მოძალადე თანამშრომლებს აღიარებითი ჩვენება არ მისცა და გაქცევა მოახერხა. პროკურატურა კი დღემდე საქმეს არ იძიებს და ჟურნალისტების შეკითხვებზე დუმს... კოდუა ნარკოტიკის უკრაინიდან გადმოსაზიდად (ათეული კილოგრამობით სამგზავრო ჩანთით) კრიმინალებსაც აქტიურად იყენებდა...

– სხვათა შორის, 90 კილოგრამი კოლუმბიური „კოკაინის“ ამოღებიდან მალევე, კოდუა, ასე ვთქვათ, ჩამოალაბორანტეს. ინტერნეტში გახმაურებულ „კოკაინის“ უკოკაინო საქმეზე უამრავი ინფორმაცია მოიპოვება, ავტორები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ნარკოკარტელში შსს-ს მაღალჩინოსნების ინტერესი იკვეთება. აი, რას წერს ბლოგერი „სოლომონ ბრძენი“. მაშინდელი შსს-ს კონტროლირებადი ნარკოტრასების შესახებ, ნაციონალების „ოქროს ხანაზე“:

„...წითელი ხიდიდან საქართველოში შემოსული 11 ტონა ნარკოტიკი მთელი ქვეყნის ტერიტორიას უპრობლემოდ გაივლის და ფოთის პორტშიც უპრობლემოდ იტვირთება საქართველოდან მიმავალ ბორნებზე. საქართველოში ბოლო პერიოდში წლიურად ამოღებული ნარკოტიკის რაოდენობა მხოლოდ 8-9 კგ (ანუ საერთო ტრანზიტის მოცულობის 0,4%!) იყო!. ეს მაშინ, როცა მოსაზღვრე ქვეყნების საბაჟო სამსახურები, სადაც ეს ნარკოტიკი ხვდება, თითქმის ყოველწლიურად საქართველოდან შემოსულ და ევროპისათვის გამზადებულ საკმაოდ დიდ პარტიებს აკავებენ. მაგალითად, 2007 წელს მარტო უკრაინის საბაჟომ ილიჩევსკის პორტში საქართველოდან შემოსული ჰეროინის ორი დიდი პარტია – 174 კგ (23 ივლისი) და 105 კგ (29 ნოემბერს) – დააკავა, რაზეც უკრაინის საბაჟო დაცვის სამსახურის ოფიციალური პრეს-ორგანო და ინტერნეტ-სააგენტო www.24.ua. იუწყებოდნენ. 2007 წლიდან გაიხსნა ფოთი-ბურგასის საბორნე მარშრუტი, რომელიც ქართულმა ნარკოტრაფიკის მესვეურები უფრო პერსპექტიულად ჩათვალეს და მომსახურების დიდი ნაწილი იქეთ გადაამისამართეს. შედეგად კიდევ უფრო რეზონანსული იყო 2008 წლის 16 დეკემბერს „bostonherald.com“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ასახული, საქართველოდან ბურგასის პორტში უკვე 400 კგ ჰეროინის დაკავების ფაქტი. მარტო ამ ტვირთის ფასი დასავლურ ბაზარზე ნახევარ მილიარდ დოლარს უახლოვდება! საქართველოს სახელოვან პოლიციას კი, რომელიც ყოველდღიურად ათეულობით ნარკოტიკების მომხმარებელს რამდენიმე მილიგრამის აღმოჩენის ბრალდებით აკავებს და აშანტაჟებს ან მრავალწლიან პატიმრობას უსჯის, ასეთი მსხვილი პარტიები, როგორც წესი, „გამოეპარებათ“ ხოლმე. იშვიათი გამონაკლისი იყო 2010 წლის ივნისში – ამერიკული და ევროპული სპეცსამსახურების მიერ საქართველოს ანტინარკოტიკული სამსახურის შესაძლო კრიმინალურობაზე ალაპარაკების შემდეგ, სამხრეთ ამერიკიდან შემოსულ და უკვე ადრეცბა იმ ფონზე, რომ გახმაურებული ინფორმაციით, ამავე ჯგუფმა ერთი წლის წინ 500-ჯერ დიდი პარტიის – 90 კგ კოკაინის – თურქეთში გატანა განახორციელა და ფანტასტიური მოგება ნახა. უცნაურია, რომ საქართველოს პოლიციამ მხოლოდ უკანასკნელი ნამცეცები აღმოაჩინა და დააკავა, მაშინ, როცა მთელი ტვირთი 99,9% უპრობლემოდ გავიდა დასავლეთში. დაბოლოს, ამ აღმოჩენის თარიღი საეჭვოდ დაემთხვა ესპანეთიდან შაქრო კალაშოვის საქართველოში ექსტრადიციის უკვე გახმაურებულ და მადააშლილ სურვილს“. – რა მოხდა სინამდვილეში, სად გაქრა კოკაინი, რატომ ჩაატარეს ღონისძიება „სოდის“ ნაცვლად „კუდის“ ბიჭებმა და რატომ გახდა აქტუალური ეს თემა 5 წლის შემდეგ? საქმე იმაშია, რომ კოდუას გაზრდილი მადა და ამბიციები ვანოსაც აღიზიანებდა და მის კლანსაც. „კუდის“ მიერ 2009-10 წლებში არაერთი ადამიანი მიეცა პასუხისგებაში „სოდის“ ნარკოტიკით. მათ შორის, ლაურა ღაჭავას კლასელი ქალბატონიც მ. გ. რომელიც ახალაიას კლანმა დააკავა ლაურას მიცემული ნარკოტიკით, თუმცა დაკითხვის დროს მის საწინააღმდეგოდ, გარკვეული და, ვფიქრობ, სწორი მოსაზრებით, ჩვენება არ მისცა. არსებობს არაერთი მოწმე, რომლებიც დაწვრილებით ყვებიან, როგორ და რის გამო გადასცა სარეალიზაციოდ ლაურამ ნარკოტიკი... რაც შეეხება კოკაინის საქმეს, სარწმუნო წყაროს ცნობით, აღნიშნული კოკაინის ადრესატი თვით ერეკლე კოდუა იყო.

კეზერა თუ დღემდე აგრძელებს იარაღით ვაჭრობას და „სპეცია“, კოდუას რატომ დაჩაგრავდნენ მფარველები? ეხლაც მშვენივრად ლივლივებენ „ბიჭები“ და ფულს და სულს არ იშურებენ მასმედიისთვის დეზინფორმაციების გასავრცელებლად. ისე განაგლდნენ და დაკარგეს რეალობის შეგრძნება თავისი სიბინძურეები უდანაშაულო ხალხს უნდათ ბოლომდე შეაწმინდონ. რაც შეეხება კოდუას ნაცოლარ ნანუკა ჟორჟოლიანს, როგორ დააჭერინა უდანაშაულო სვანი ბიჭები, როგორ დასეირნობდა „ახეული“ ავტომანქანით და ჯიუტად ამტკიცებდა ჩემიაო, დაწვრილებით არ მოვყვები, მაგრამ მისი აწ ყოფილი მეუღლე სისხლის მოყვარულ „შაკალად“ რომ თვლიდა, ფაქტია. რადგან ყველა უდანაშაულოდ ჩაცხრილული მსხვერპლის „წყვდიადის ანგელოზი“ ეგ იყო. კორტების, ოქროყანის გია თელიასაც ჯერ თბილს მიუსწრო. ვინ იცის, რა სურვილი დაუტოვა მოკლულმა, მკვლელის მომავალ ცოლს იმ ქვეყნად წასვლისას, იქნებ მოახლოვდა მკვლელების და გარეწრების განკითხვის დღე.

”memento mori“.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

უცნობი ფაქტები „ტიტანიკის“ შესახებ

● ბევრად მარტივი იქნებოდა წარმომოგვედგინა, როგორ ებრძვის გინანტური ხომალდი, უზარმაზარ ტალღებს წვიმისას, როგორ ფარავს ნისლი აისბერგს, რომელმაც გემის დაღუპვა გამოიწვია, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ყოფილა. მაშინ როცა “ტიტანიკი” მაქსიმალური სიჩქარით მიექანებოდა, არაჩვეულებრივი ამინდი და ავისმომასწავებელი სიჩუმე იდგა. გაგიკვირდებათ და ამ შესანიშნავმა ამინდა შეუწყო კიდეც ხელი გემის დაღუპვას.

როგორც მეტეოროლოგი ედუარს პოურენსი ამტკიცებს, მცირე ტალღების არსებობის შემთხვევაში, გუნდად მოცურავე თევზების ფოსფორისებური შუქი გაანათებდა აისბერგის ნაწილს მაინც, და მაშინ მორიგეს იქნებ დროულად შეემჩნია კიდეც, მოახლოებული საშიშროება. კაპიტნის მეორე დამხმარე ჩარლზ ლაიტოლერი ამბობდა, რომ ქარის ან თუნდაც ნიავის შემთხვევაში, შესაძლებელია შესამჩნეველი გამხდარიყო ტემპერატურის სწრაფი ცვლა, მომატება და დაკლება - რაც იმის მომასწავებელია, რომ აისბერგისკენ მიმავალ გზაზე მიცურავს გემი.

● როცა გემმა ოკეანეში პირველად და უკანასკნელად შეცურა, ნახშირით სავსე რამდენიმე ბუნჯკერში ხანძარი გაჩნდა, რომელსაც ვერ აქრობდნენ. დიდი ბრიტანეთის კომისიამ, რომელიც კატასტროფის მიზეზების იკვლევდა დაადგინა, რომ ხანძარი უკვე მძვინარებდა გემზე, მაშინ როცა ის ამერიკისკენ გაემგზავრა, რაც თავისთავად საფრთხის ქვეშ აყენებდა იმ ადამიანების სისცოცხლეს, რომლებიც გემზე იმყოფებოდნენ.

● „ტიტანიკის“ კაპიტანი ედუარდ ჯონ სმიტი უამრავი ლეგენდის და ისტორიის საგანი გახდა მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიიღო, არ დაეტოვებინა ხომალდი. ზოგიერთები ამბობენ, რომ მან ბავშვი გადაარჩია, რამდენიმე წამით ადრე, სანამ ოკეანეში გაუჩინარდა, მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. კიდევ უფრო მისტიურები ჩურჩულებენ, რომ ის დღემდე დაცურავს ოკეანეში და მართავს ტიტანიკს — გემმოჩვენებას.

სინამდვილეში კაპიტანმა არ გაითვალისწინა არც ერთი გაფრთხილება ყინულის მატებასთან დაკავშირებით და გემის სვლის სიჩქარე არ შეამცირა. მან ვერ გააკონტროლა და უფლება მისცა სამაშველო ნავებს ნახევრად ცარიელები დაშვებულიყვნენ ოკეანის ტალღებზე. პირველ ნავში, მაგალითად, იჯდა 27 მგზავრი, მაშინ, როცა ნავი 65 ადამიანისათვის იყო გათვლილი. გარდა ამისა, მან დროულად არ გასცა გემის დატოვების ბრძანება, რის გამოც მგზავრების უმეტესობა საკმაოდ გვიან მიხვდა, რა ხდებოდა სინამდვილეში.

2012 წელს ცნობილი გახდა ისიც, რომ სმიტმა პირველ ჯერზე ვერ ჩააბარა ნავიგაციის გამოცდა, მართალია, 1888 წელს მაინც მოახერხა ამ გამოცდის ჩაბარება, მაგრამ საწყისი მარცხი ცუდის მანიშნებელი გამოდგა.

● მასაბუმი ხოსონო იყო გემზე ერთადერთი იაპონელი მგზავრი, რომელიც სახელმწიფო მოხელედ მუშაობდა და მივლინებით იმპყოფებოდა ევროპაში, სადაც სარკინიგზო გზების პარამეტრებს და სისტემას იკვლევდა. როცა გეგმა ჩაძირვა დაიწყო, მასაბუმიმ გადაწყვეტილა გმირულად შეხვედროდა სიკვდილს, რადგან გაიგონა მითითება, რომ ნავში მხოლოდ ბავშვები და ქალები უნდა ჩამსხდარიყვნენ. ერთერთი ნავის დაშვებამდე რამდენიმე წამით ადრე ეკიპაჟის წევრმა დაიყვირა, რომ ნავში ორი ადგილი იყო დარჩენილი. მასაბუმიმ დაინახა, როგორ ჩახტა ნავში მამაკაცი და გადაწყვიტა, რომ მასაც ჰქონდა სიცოცხლის უფლება. რომ სცოდნოდა, რა მოყვებოდა მის ამ საქციელს, ის, ალბათ, გემზე დარჩენას ამჯობინებდა: იაპონიაში დაბრუნების შემდეგ მისი ცხოვრება კოშმარად იქცა, მას ყველა მშიშარა ადამიანად თვლიდა, დაკარგა სამსახური, ზურგი აქციეს ოჯახმა და მეგობრებმა. მის მდგომარეობას ამძაფრებდა ისტორია აზიელ მამაკაცზე, რომელიც სამარცხვინო გზით აღმოჩნდა სამაშველო ნავში, ნომერით 13. მისი ყველა ნაცნობი თვლიდა, რომ ეს აზიელი მამაკაცი ხოსონო იყო.

1997 წელს მისმა სახელმა, ასე ვთქვათ, რეაბილიტაცია განიცადა, მის ნივთებში იპოვეს ცოლისადმი მიწერილი წერილი, სადაც ის აღნიშნავდა, რომ ის იჯდა სამაშველო ნავში ნომერით 10 და ამიტომ ვერ იქნებოდა ის „სამარცხვინო“ აზიელი მამაკაცი მეცამეტე სამაშველო ნავიდან.

● ამერიკელმა და ინგლისელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ გემი დაუშვებელი სიჩქარით მიდიოდა, რის გამოც, შეუძლებელი აღმოჩნდა კატასტროფისთვის თავის არიდება.

2010 წელს კაპიტნის მეორე დამხმარის ჩალზ ლაიტოლერის შვილთაშვილმა ლუიზა პატტონმა დაწერა იმის შესახებ, რომ გემს შეეძლო შეჯახების თავიდან აცილება, მესაჭე რობერტ ხიტჩინსი პანიკას რომ არ აჰყოლოდა და გემი არასწორი მიმართულებით რომ არ შემოებრუნებინა. პატტონის სიტყვების თანახმად, მისი დიდი ბაბუა შეთქმულების მონაწილე იყო და სპეციალურად დაფარა ეს შეცდომა, რადგან არ სურდა კომპანიის და ეკიპაჟის წევრების რეპუტაციის შელახვა.

ტეხასის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი ასტრონომი კი ამტკიცებს, რომ სავსე მთვარის დროს შესაძლოა მთვარე დედამიწას დასაშვებ ზღვარზე მეტად მოუახლოვდეს, ეს ძალიან იშვიათად ხდება, მაგრამ, ამ მოვლენის გამო ყინულის ასიბერგი მოძრაობას იწყებს. 1912 წლის 4 იანვარს მთვარე დედამიწასთან 1400 წლის მანძილზე პირველად იყო ასე ახლოს.

● ელიზაბეტი 19 წლის მარგარეტას გუვერნანტი იყო და ისიც „ტიტანიკზე“ იმყოფებოდა. მას იმდენად აწუხებდა ყინულის სუნი, რომ დაძინებას ვერ ახერხებდა. ის ყველას უმტკიცებდა, რომ ეს სუნი მას აგონებს ყინულის გამოქვაბულს, რომელიც მან ცოტა ხნის წინ მოინახულა, თუმცა, მას ყურს არავინ უგდებდა. ელიზაბეტი გადარჩა და თავის მემუარებში წერდა, რომ ნავი, რომელზედაც იმყოფებოდა, ნახევრად ცარიელი იყო, მასზე მხოლოდ 36 ადამიანი იმყოფებოდა.

● „ტიტანიკიდან“ მოასწრეს განგაშის მაუწყებელი სიგნალების დაგზავნა. ტრაგედიის ადგილთან ყველაზე ახლოს მყოფმა გემმა „კალიფორნიამ“ ყურადღება არ მიაქცია არც სიგნალს და არც რაკეტებს, რომლებიც ცას ანათებდნენ. ამ სკანდალის გამო გემის კაპიტანმა სამსახური დაკარგა.

კატასტროფის ღამეს „ტიტანიკი“ იმყოფებოდა თერმული ინვერსიის რეგიონში. სითბური ინვერსიის გამო შუქი არასწორი მიმართულებით სჩანს და მირაჟის ეფექტს იწვევს. იმ ღამით რამდენიმე გემმა მირაჟების სერია დააფიქსირა, რაც, სავარაუდოდ, „ტიტანიკიდან“ გაშვებულმა რაკეტებმა გამოიწვიეს.

ზუსტად ამის გამო შესაძლებელი იყო „კალიფორნიის“ ეკიპაჟს გასჭირვებოდა იმის დადგენა, იყო თუ არა სიგნალი რეალური.

გარდა ამისა, უკვე არსებობს ინფორმაცია, რომ იმ ღამეს „ტიტანიკსა“ და „კალიფორნიას“ გარდა ახლომახლო კიდევ ერთი გემი იყო — „სამსონი“, რომელიც არალეგარულად გადაადგილდებოდა, რადგან მისი მეზღვაურები ბრაკონიერობდნენ. მათ „ტიტანიკიდან“ გასროლილი რაკეტები, სანაპირო დაცვის გამაფრთხილებელი სროლა ეგონათ და სიჩქარეს მოუმატეს. „კალიფორნიიდან“ კი ისე ჩანდა, თითქოს „სამსონიდან“ ისროდნენ რაკეტებს, რადგან ის ზუსტად ამ ორ გემს შორის იდგა. სწრაფად სვლით მიმავალი გემი რატომ უნდა ისროდეს სამაშველო რაკეტებს? ზუსტად ამან დააბნია „კალიფორნიის“ კაპიტანი და გადაწყვიტა, რომ ეს მირაჟი იყო.

● „ტიტანიკიდან“ SOS სიგნალი მიიღეს ასევე გემებმა „ოლიმპიკმა“ და „კარპატიამ“ 23.17 საათზე, მაგრამ შეჯახება მოხდა 23.40 საათზე. როგორ მოხვდა მათთან სიგნალი 23 წუთით ადრე შეჯახებამდე?

1972 წლის 15 აპრილს „თეოდორ რუზველტის“ რადისტმა ლოიდმა დაიჭირა SOS სიგნალი, გემი სახელად „ტიტანიკი“ შველას ითხოვდა, რადგან იძირებოდა აისბერგთან შეჯახების გამო. რადისტმა შეტყობინება სანაპიროზე გაუშვა, საიდანაც მოვიდა პასუხი: „არ უპასუხოთ სიგნალს, განაგრძეთ კურსი“. ლოიდმა მოგვიანებით არქივების ჩანაწერები გადაათვალიერა და აღმოაჩინა, რომ მსგავსი სიგნალი აღრიცხული იყო 1924, 1930, 1936, 1942 წლებში. ანუ ყველა 6 წელიწადში. ამ ინფორმაციის მოძიების შემდეგ ლოიდი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა.

1996 წელს კანადური გაზეთი წერდა, რომ კანადურმა გემმაც ზუსტად ასეთ სიგნალი მიიღო.

1990 წლის 24 სექტემბერს ნორვეგიულმა სათევზაო ხომალდმა ისლანდიიდან 340 კმ-ის მოშორებით 29 წლის გოგონა იპოვნა, რომელიც ამტკიცებდა რომ მისი სახელი იყო ვინი კოუტსი. ის ტიტანიკის გადარჩენილი მგზავრია. როცა თარიღი ჰკითხეს, მან უპასუხა: „დღეს 1912 წლის 15 აპრილია“. გოგონას ფსიქიატრიულმა კვლევამ დაადგინა, რომ ის სრულიად ჯანმრთელი გახლდათ, ხოლო მგზავრთა სიის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ამ მონაცემების მგზავრი მართლაც იმყოფებოდა გემზე.

1994 წელს იმავე ტერიტორიაზე იპოვეს ათი თვის გოგონა, თითქმის გაყინული, მაგრამ ცოცხალი. გოგონა არ იძირებოდა და წყალში ტივტივებდა, რადგან მას სამაშველო რგოლი ეკეთა, საოცარი ისაა, რომ სამაშველო რგოლი ეკუთნოდა გემ „ტიტანიკს“.

მოამზადა
თამუნა კეშელავამ
555 46 08 04

წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან...

საქართველოს პარლამენტის წლევანდელ არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. საზელისუფლებო ცვლილებები, თავისთავად, ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. არც საქართველოა ამით გამორჩეული. მთავარია, როგორ ჩატარდება არჩევნები – დასრულდება ისევ მშვიდობიანად, როგორც 2012 წელს თუ „ვარდების რევოლუციის“ სცენარი განმეორდება. ყველაფრის წიწინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ უკვე ახლავე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემოდგომა მართლაც ცხელი გვექნება. ამის თქმის საფუძველს მიმდინარე პროცესები გვაძლევს.

საქართველოში საარჩევნო კანონის შეცვლაზე დიდი ხანია საუბრობენ. მოქმედმა პარლამენტმა მიიღო კიდეც შესაბამისი კანონი, რომელიც ძალაში 2020 წლიდან შევა. თუმცა ეს გარემოება არ აკმაყოფილებს ე. წ. არასაპარლამენტო ოპოზიციას და ითხოვს, კანონი წელსვე ამოქმედდეს. რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“, შედარებით ნაკლებად აქტიურობენ. გასაგებია მათი ტაქტიკა – თავიანთ „შემოქმედებას“ იოლად ვერ შეელევიან. თუმცა, მათი განაყარი სატელიტი პარტიები საკმაოდ აქტიურობენ. საჩივლელად საარჩევნო კანონი არ გვივარგაო, ევროპარლამენტშიც მიავლინეს ელჩიონი.



უცნაური სიტუაცია გვაქვს. საბჭოეთის დროს აქაური ჩინოვნიკები მოსკოვში გარბოდნენ საჩივრებით, ახლა გეოგრაფია გაიზარდა და საწუწუნოდ აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მიდიან. ახლა აქვე ვიკითხოთ, მართლა გვაქვს თუ არა დამოუკიდებელი ქვეყანა, თუ ისევ გარედან იმართება საქართველოში პროცესები? კითხვა შეიძლება მავანს რიტორიკულად მოეჩვენოს, მაგრამ საქმე მარტივად ნამდვილად არ არის.

ევროპარლამენტში ქართული ე.წ. არასაპარლამენტო ოპოზიციის ვიზიტს ის შედეგი მოჰყვა, რომ იქ გაითვალისწინეს „ნაცმოძრაობის“ წინადადება. მათ მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერეს, რომ საქართველოში ირღვევა ადამიანთა უფლებები, გვყავს პოლიტიკური პატიმრები. როგორც სამყაროში, აგრეთვე, საერთაშორისო პოლიტიკაში, შემთხვევით არაფერი ხდება. „ბოროტ ენებს“ თუ დავუჯერებთ, ევროპარლამენტის ასამბლეის ახლადარჩეული პრეზიდენტი პედრო აგრამუნდი, რომელიც „სახალხო პარტიის“ წარმომადგენელია, „ნაცმოძრაობისგან“ დიდად დავალებული ყოფილა და თავის სიმათიებს არც მალავს. ამიტომაც მიიღეს აღნიშნული რეზოლუცია, რომელიც სამომავლოდ არის გათვალისწინებული და სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის.

საინტერესოა, რატომ ითხოვს არასაპარლამენტო ოპოზიცია მაინცდამაინც პროპორციულ არჩევნებს? კითხვაზე პასუხი მარტივიც არის და რთულიც. პროპორციულ არჩევნებში ამომრჩეველი ხმას სასურველ პარტიას აძლევს. ვინ ხვდებიან მათ სიაში, ეს უკვე სხვა საკითხია. ერთ-ორ ცნობილ სახესთან ერთად შეიძლება ისეთი პიროვნება აღმოჩნდეს, რომელსაც საკანონმდებლო საქმიანობა სულაც არ აინტერესებს, მისთვის მთავარია, პარლამენტარი ერქვას. საამისოდ მზად არიან, პარტიის ხელმძღვანელებს სათანადო თანხა გადაუხადონ. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები უკვე იყო ქართულ პოლიტიკაში. სავარაუდოდ, პროპორციული არჩევნები, შესაძლოა, „ფულის კეთების“ საშუალებადაც იქცეს. რიტორიკულად მოეჩვენოს, მაგრამ საქმე მარტივად ნამდვილად არ არის.

ევროპარლამენტში ქართული ე.წ. არასაპარლამენტო ოპოზიციის ვიზიტს ის შედეგი მოჰყვა, რომ იქ გაითვალისწინეს „ნაცმოძრაობის“ წინადადება. მათ მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერეს, რომ საქართველოში ირღვევა ადამიანთა უფლებები, გვყავს პოლიტიკური პატიმრები. როგორც სამყაროში, აგრეთვე, საერთაშორისო პოლიტიკაში, შემთხვევით არაფერი ხდება. „ბოროტ ენებს“ თუ დავუჯერებთ, ევროპარლამენტის ასამბლეის ახლადარჩეული პრეზიდენტი პედრო აგრამუნდი, რომელიც „სახალხო პარტიის“ წარმომადგენელია, „ნაცმოძრაობისგან“ დიდად დავალებული ყოფილა და თავის სიმათიებს არც მალავს. ამიტომაც მიიღეს აღნიშნული რეზოლუცია, რომელიც სამომავლოდ არის გათვალისწინებული და სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის.

საინტერესოა, რატომ ითხოვს არასაპარლამენტო ოპოზიცია მაინცდამაინც პროპორციულ

ბად აქტიურობენ. გასაგებია მათი ტაქტიკა – თავიანთ „შემოქმედებას“ იოლად ვერ შეელევიან. თუმცა, მათი განაყარი სატელიტი პარტიები საკმაოდ აქტიურობენ. საჩივლელად საარჩევნო კანონი არ გვივარგაო, ევროპარლამენტშიც მიავლინეს ელჩიონი.

უცნაური სიტუაცია გვაქვს. საბჭოეთის დროს აქაური ჩინოვნიკები მოსკოვში გარბოდნენ საჩივრებით, ახლა გეოგრაფია გაიზარდა და საწუწუნოდ აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მიდიან. ახლა აქვე ვიკითხოთ, მართლა გვაქვს თუ არა დამოუკიდებელი ქვეყანა, თუ ისევ გარედან იმართება საქართველოში პროცესები? კითხვა შეიძლება მავანს

არჩევნებს? კითხვაზე პასუხი მარტივიც არის და რთულიც. პროპორციულ არჩევნებში ამომრჩეველი ხმას სასურველ პარტიას აძლევს. ვინ ხვდებიან მათ სიაში, ეს უკვე სხვა საკითხია. ერთ-ორ ცნობილ სახესთან ერთად შეიძლება ისეთი პიროვნება აღმოჩნდეს, რომელსაც საკანონმდებლო საქმიანობა სულაც არ აინტერესებს, მისთვის მთავარია, პარლამენტარი ერქვას. საამისოდ მზად არიან, პარტიის ხელმძღვანელებს სათანადო თანხა გადაუხადონ. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები უკვე იყო ქართულ პოლიტიკაში. სავარაუდოდ, პროპორციული არჩევნები, შესაძლოა, „ფულის კეთების“ საშუალებადაც იქცეს.

იქნებ, ჯობდა, მაჟორიტარულ სისტემაზე გვეფიქრა, უშუალოდ პიროვნება აგვერჩია და არა – პარტია. ამასთან, ამომრჩეველს რატომ არ უნდა ჰქონდეს დეპუტატის პარლამენტიდან გამოწვევის უფლება, რომელმაც მათ უამრავი დაპირება მისცა, მაგრამ, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკოსები ამ საკითხზე არაფერს ამბობენ, თუმცა, ვის უნდა თბილი ადგილის და მუქთა შემოსავლის დაკარგვა.

მოვლენების წინასწარ განსაზღვრა ძნელი და, ზოგჯერ შეუძლებელიც არის. ვის აირჩევს წელს შემოდგომაზე ამომრჩეველი, ვერ გეტყვით, მაგრამ ის პოლიტიკოსები, რომლებიც დამნაშავე რეჟიმის „ნაცმოძრაობასთან“ ალიანსში არიან, მათი ხელისუფლებაში მოსვლა, ერთი შეხედვით, შეუძლებელია. როგორ შეიძლება, მხარი დავუჭიროთ პოლიტიკოსს, რომელსაც საარჩევნო სიების დაზუსტება მიანდეს, მაგრამ თითქმის იგივე დატოვა. ამის მაგალითი პირადად ჩემს ოჯახში მაქვს. დანარჩენთა „მოღვაწეობა“ თავად მოსახლეობამ გაიხსენოს.

წინასაარჩევნოდ ატეხილი აჟიოტაჟი, გნებავთ, საარჩევნო კანონი თუ ევროპარლამენტის რეზოლუციაში ჩანაწერი შემთხვევითობა ნამდვილად არ არის. შემოდგომით არჩევნებზე პარტიების დიდი ნაწლი ხმების საჭირო რაოდენობას ვერ დააგროვებს. ყოველივე ეს თავადაც კარგად იციან, მაგრამ ბრძოლის ყველანაირ ხერხს გამოიყენებენ, მათ შორის, ქვეყანაში არეულობის მოწყობასაც. სწორედ ამისთვის იმზადებენ პლაცდარმს, ამიტომაც ხატავენ ყველაფერს შავ ფერებში.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორც ჩანს, ბევრი მათგანი მხარს დაუჭერს „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტების ყოველგვარ პროვოკაციულ ქმედებებს. მათი სურვილი გასაგებია – ურჩევნიათ, საქართველოს ხელისუფლებაში იყოს ისეთი ძალა, რომელიც ნებისმიერ სურვილს შეუსრულებს. პროვოკაციების მოწყობას რომ გეგმავს, „ნაცხროვა“ ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებული ჩანაწერებიც მოწმობს. ბევრი ბაქიბუქობს არჩევნების წინ, მაგრამ, როგორც იტყვიან, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან...

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– როგორია გამოსაცდელი ვადის საკითხი არასაჯარო, ანუ კერძო საწარმოებში?

– საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს შრომის კოდექსის"მე- 9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით; სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

მე-2 ნაწილი: დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

მე-3 ნაწილი: გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაზე არ

ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა / რაც გულისხმობს შემდეგს: შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება/, თუ გამოსაცდელი

ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი

ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა

ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

* * *

– ითვალისწინებს თუ არა საჯარო სამსახურის კანონმდებლობა საჯარო სამსახურში პირთა მიღებას კონკურსის გარეშე?

– დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

მუხლი 30. თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა

თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები;

ა1) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი

ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები;

ბ) მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები და მრჩევლები;

გ) თანამდებობაზე დროებით შემცვლელები;

დ) დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც

კონკურსის წესით უნდა შეივსოს;

ე) სამსახურებრივი დანიშნაურების შემთხვევაში.

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

„ყველა თეატრში გარბის, ყველას სწყურია ოპერა...“

(ნაწილი I)

საქართველოში პროფესიული თეატრის დაარსებამდე ქართველ დიდგვაროვანთა ოჯახებში შინაური წარმოდგენები იმართებოდა. 1804 წელს გახსნილ „კეთილშობილთა სასწავლებელში“ სასწავლო წელი მთავრდებოდა „საჯარო აქტებით“ – გასართობი და სადღესასწაულო ზეიმებით, რომელსაც ადგილობრივი „ბრწყინვალე საზოგადოება“ ესწრებოდა. სხვა გასართობი, შემთხვევითი მოხეტიალე ჯამბაზებისა და ჟონგლიორების წარმოდგენების გარდა არ არსებობდა.

თბილისში სალონური შეხვედრების კულტურა XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან ინერგება. უნდა ვახსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი სახლი – ქართული კულტურის ერთ-ერთი კერა საქართველოში, აგრეთვე სოლომონ დოდაშვილის „მუსიკალურ-ლიტერატურული წრე“, რომან ბაგრატიონის სალონი, სადაც იმართებოდა სიმებიანი კვარტეტის კონცერტები, დაიდგა გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, რომელშიც ქართველები მონაწილეობდნენ, მარიამ და მანანა ორბელიანების სალონები, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანის სახლებში გამართული სამუსიკო-ლიტერატურული საღამოები, სტუმართმოყვარეობით განთქმული ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლი...

უნდა ითქვას, რომ თბილისის კულტურული ცხოვრების გააქტიურება, მისი ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა უკავშირდება კავკასიის მთავარმმართებლების – ალექსეი ერმოლაევისა და ივან პასკევიჩის, შემდეგ კი მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის სახელებს.

ზოგადად თეატრის, კერძოდ კი ქართული თეატრისა და საოპერო თეატრის დაარსებას რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენელს, გენერალ-ადიუტანტს, გრაფ მიხეილ ვორონცოვს ვუნდა ვუმადლოდეთ, რომელიც 1945 წლის მარტიდან 1854 წლამდე კავკასიის მეფისნაცვალი იყო. მან ბევრი რამ გააკეთა საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იმავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვორონცოვი რუსეთის წარმომადგენელი იყო და, რა თქმა უნდა – სამეფო კარის ერთგულიც. შორსმჭვრეტელმა და მოქნილმა დიპლომატმა ჟანდარმულ მეთოდებზე უარი თქვა – კარგად იცოდა, რომ ლოიალური დამოკიდებულებით, ქართველი თავადაზნაურობისა და ქართველი ინტელიგენციის კეთილგანწყობის მოპოვებით რუსეთისთვის უფრო მეტს გააკეთებდა.



სახაზინო თეატრი XIX-XX ს.ს მიჯნა

ვორონცოვის ლიბერალობის გულწრფელობაზე და მისი, როგორც მეფისნაცვლის მთავარ მიზანზე წარმოდგენას გვიქმნის მისივე წერილი, რომელსაც 1849 წლის 14 ივლისს რუსეთის დედაქალაქში გზავნის:

„...თბილისში რუსული თეატრის არსებობას ვუცქერი არა როგორც სიამოვნებისა და გართობის საშუალებას, არამედ როგორც დაწესებულებას, რომელიც მეტად მნიშვნელოვან მიზანს ისახავს: ადგილობრივი მოსახლეობის გაცნობას რუსულ ენასთან, რუსულ ჩვეულებათან და მის თანდათანობით შერწყმას რუსეთთან. ამიტომაც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვეცადო, რომ თბილისში იყოს კარგი რუსული თეატრი...“

რუსეთისა და ევროპის დედაქალაქებსა თუ საკურორტო ქალაქებში გართობას დაჩვეული ვორონცოვი ჩამოსვლისთანავე დაინტერესდა, რა ხდებოდა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში, იყო თუ არა აქ თეატრი. იმ დროს თბილისში ჩამოსული რუსული დასისთვის მოეწყო სცენა და 340-ადგილიანი მანეჟის თეატრი კომედიებისა და ვოდევილებისთვის. ჩვენს ქალაქში მალევე გაჩნდნენ მუსიკოსები, ჩამოყალიბდა ორკესტრი და გაისმა კიდეც საოპერო უვერტიურები თუ პატარა სიმფონიები, რომლებსაც ჩამოსული მუსიკოსები დირიჟორობდნენ, არც გასტროლიორების – პიანისტების, მომღერლების, მევიოლინეების სტუმრობა იყო იშვიათობა... გაზეთი „კავკაზი“ 1846 წლის შემოდგომაზე გამართული საღამოს შესახებ წერდა: **რვა სამუსიკო პიესის მოსმენა და სამი თავი კერძისგან შემდგარი ვახშამი მანეთ-ნახევარი ღირს. კუჭისა და სულის ამაზე უფრო იაფად დატკბობას სხვაგან ვერსად ვერ მოახერხებს ადამიანი მთელს მსოფლიოშიო.**

ვორონცოვი ერთდროულად შეუდგა რუსული თეატრის გაძლიერებას და საოპერო თეატრის დაარსებას. საიმპერატორო თეატრების დირექტორს მსახიობების თბილისში გამოგზავნა სთხოვა. პეტერბურგიდან თბილისში მსახიობების ჩამოყვანა საკმაოდ ძვირი იყო, მაგრამ ვორონცოვმა საამისოდ თანხა არ დაიშურა, თავისი მოხელეც კი გაგზავნა პეტერბურგში. თბილისს ეწვივნენ საიმპერატორო თეატრის მსახიობები და რუსულმა თეატრმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი თბილისში.

ამის პარალელურად ვორონცოვმა თეატრის აგება განიზრახა ახლანდელ თავისუფლების მოედანზე, რომლის ირგვლივ სამიკიტნოები, ყავახანები, ღამის გასათევი ბინები და თავლები იყო განლაგებული. მშენებლობას ხაზინიდან დიდძალი თანხის გამოყოფა დასჭირდებოდა, რაც იმ დროს შეუძლებელი იყო. საბოლოოდ, ხელშეკრულება გაფორმდა თბილისელ დიდვაჭარ გაბრიელ თამამშევთან – მას ერევნის მოედანზე უსასყიდლოდ გადაეცა 855 საჟენი მიწა „საუკუნო და შთამომავლობითს მფლობელობაში, უბაჟოდ“. ეს მიწის ნაკვეთი, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერს, ქართველმა თავადმა ესტატე ციციშვილმა გაყიდა „ორ დოშათ და ორი კაცის საკაბეთ“.

თამამშევს, ვორონცოვის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, უნდა აეგო ქვის ორსართულიანი შენობა თეატრისა და ქარვასლისთვის. სამუშაოების დასრულების შემდეგ თამამშევის საკუთრება იქნებოდა ქარვასლა და მის ქვეშ განლაგებული სარდაფები, თეატრის შენობა კი ქალაქის მფლობელობაში გადავიდოდა.

ვორონცოვმა თეატრის შენობის პროექტის შესადგენად ოდესიდან მოიწვია არქიტექტორი ჯოვანი სკუდიერი, რომელსაც მშენებლობის ხელმძღვანელობაც დაევალა. 1845 წლის ბოლოს ჩამოსული სკუდიერი მალევე დანიშნეს თბილისის არქიტექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

მშენებლობის ვადად სამი წელი დათქვეს, მაგრამ, ფხვიერი ნიადაგის გამო, ნავარაუდევზე რამდენიმე საჟენით უფრო ღრმა საძირკვლის გათხრა და შესაბამისად, სამუშაოებს უფრო მეტი დრო დასჭირდა. 1847 წლის 15 აპრილს, საზეიმო ცერემონიის შემდეგ, თეატრისა და ქარვასლის მშენებლობა დაიწყო. 1851 წლის გაზაფხულზე მზად იყო შენობა, რომელსაც შემდეგ „ქარვასლის თეატრადაც“ მოიხსენიებდნენ.

ვიდრე არქიტექტურულ გაფორმებასა და ინტერიერის მორთულობაზე ვისაუბრებდეთ, უნდა ითქვას ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, რომელიც წინ უსწრებდა თეატრის გახსნას:

რუსული სპექტაკლები სისტემატურად იმართებოდა, მაგრამ თბილისსა და გორში მაინც ეწყობოდა „სალონური საშინაო წარმოდგენები“, რომლებიც მალევე თბილისის გიმნაზიაში გადაიტანეს. გაჩნდა ქართული წარმოდგენების დადგმის აუცილებლობაც – 1850 წლის 2 იანვარს თბილისის გიმნაზიის სცენაზე დაიდგა გიორგი ერისთავის „გაყრა“. ქართულ სპექტაკლებსაც ესწრებოდა ვორონცოვიც, რომელმაც იმავე წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამოსულ ტახტის მემკვიდრე ალექსანდრეს გიორგი ერისთავი წარუდგინა – „ქართველი მოლიერიაო“...

ამიერკავკასიაში პირველი ოპერის თეატრის შენობა, რომელიც ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა, თბილისის ეკლექტიკურ ნაგებობს შორის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშად იყო მიჩნეული – „იტალიური არქიტექტურა აღმოსავ-



ხელი თეატრის სცენიდან

სახაზინო თეატრი XIX-XX ს.ს მიჯნა

ლური ხასიათის“ ინტერიერით. პარიზიდან მოიწვიეს დეკორატორი დერბეზი, რომელმაც ფერადი ხავერდით, აბრეშუმითა და ვერცხლის სამკაულებით გააწყო დარბაზი, არაფრით რომ არ ჩამოუვარდებოდა ევროპის თეატრებს. 1856 წელს თბილისში ჩამოსული ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა წერდა: **„დარბაზი ფერიათა სასახლე გეგონებოდათ, არა მისი მდიდრული მორთულობით, არამედ იმით, რომ უფაქიზესი გემოვნებითაა შესრულებული. ...უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა...“**

ცხრა ათას ფრანკად ღირებული უძვირფასესი და უზარმაზარი ჭაღი პარიზიდან გამოიწერეს. მარსელიდან გემით გამოიგზავნა ყულევამდე, ხოლო იქიდან თბილისში ურმებით ჩამოიტანეს. ფურცლოვანი ოქრო მოსკოვში შეიძინეს, დარბაზის გასანათებელი ლამპები, აგრეთვე სკამები და სავარძლები საუკეთესო მასალისგან დაამზადეს, ხოლო ინტერიერის გაფორმება და ყველა სამხატვრო სამუშაო მიანდეს გრ. გაგარინს.

თეატრის მაშინდელი დირექტორი, რუსი მწერალი გრაფი ვლადიმერ სოლოგუბი 1851 წლის გაზეთ „კავკაზში“ წერდა: თავადმა გაგარინმა **„...კიდევ უფრო სრულჰყო თავისი ნიჭი და დასახლდა რა თბილისში, უკვდავჰყო სახელი ილუსტრაციებითა და სურათებით კი არა, არამედ მთელი ძეგლებით. სწორედ მან მორთო თბილისის ახალი თეატრი გაუმჯობესებული არაბული სტილით... მკვდარი კალამი უძლურია გამოჰხატოს ახალი დარბაზის მთელი წარმტაცობა, სიკეკლუცე და სიმშვენიერე. იგი მიაგავს სტორისა და მორტიმერის მიერ აღმოსავლური სურათების მიხედვით სხვადასხვა მინანქრისაგან გაკეთებულ ვეებერთელა სამაჯურს... როდესაც თეატრში შედიხართ, თქვენ გაოცებთ ქვედა იარუსის ლოჟები, რომლებსაც შემოვლებული აქვს თეთრი და ცისფერი ფართო არშია, ფაქიზად შესრულებული მკრთალ-იასამნისფერ ფონზე... ვერაფერს წარმოიდგენს ადამიანი ამ ქანდარაზე უფრო ჰაეროვანსა და მშვენიერს... მოგიყვეთ ეს, რათა დაახლოებითი წარმოდგენა მაინც შემექმნა, მაგრამ – აპატიეთ რუსული ენის სიღარიბეს – მე ვერ შევძლებ მთელი ქმნილებითა და მისი წარმტაცი გრაციით გამოწვეული შთაბეჭდილების გადმოცემას..“**

1851 წლის 12 აპრილს ახალი თეატრის კარი გაიღო, მაგრამ სპექტაკლი არ გამართულა – სცენა, მანქანა-დანადგარები თუ დეკორაციები ჯერ კიდევ არ იყო მზად. გაიმართა ბალ-მასკარადი და მისი მონაწილეები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ საგანგებოდ ამ დღისთვის გაჩირაღდნებული დარბაზის ხილვით.

იმავე წლის 8 ნოემბერს თეატრი ოფიციალურად გაიხსნა, ხოლო 9 ნოემბერს პირველი ოპერა უჩვენეს – დონიცეტის „ლუჩია დე ლამერმური“.

რა ძალებით მოხერხდა საოპერო სპექტაკლის წარმოდგენა?

თბილისში ორი ათეული წლის განმავლობაში არსებობდა ორკესტრი, რომლის ძირითად ბირთვს სამხედრო პირები და აქ მცხოვრები მუსიკოსები შეადგენდნენ და კარგი ხელმძღვანელის დროს კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. საგანგებოდ მოიწვიეს ოდესელი დირიჟორი მალაგალი, შემდეგ შენინგინი, მაგრამ თეატრის დირექტორ სოლოგუბს უფრო მეტი უნდოდა – მას იტალიური საოპერო დასის მოწვევა სურდა. საამისოდ კი აუცილებელი იყო ორკესტრის გაძლიერება, ინსტრუმენტებისა და ნოტების შეძენა. ვორონცოვმა დააკმაყოფილა დირექტორის შუამდგომლობა და საზღვარგარეთ მივლინებულმა დირიჟორმა შენინგინმა 1851 წლის ზაფხულში მუსიკოსებიც ჩამოიყვანა და საჭირო ინსტრუმენტებიც ჩამოიტანა.

 თეატრის ფოიე XIX ს. 50-იანი წლები


 თეატრის ფოიე XIX ს. 50-იანი წლები

სახაზინო თეატრი XIX-XX ს.ს მიჯნა


თეატრის ფარდა, გრ. გაგარინის მოხატული

რუსეთში საგასტროლოდ მყოფი იტალიური საოპერო დასი და მისი დირიჟორი ბარბერი დაითანხმეს, ჩამოსულიყო „თბილ ციმბირში“, თბილისში – ხელშეკრულების თანახმად, სამი თვის განმავლობაში მათ უნდა დაედგათ 30 სპექტაკლი, მათ შორის 12 ოპერა უნდა ყოფილიყო... ბარბერიმ ერთ თვეში წარმოადგინა დონიცეტის ოპერა, რომლის პრემიერის შემდეგ გაზეთი „კავკაზი“ წერდა: **„ჩვენ, რუსებს, ოპერამ მოგვაგონა პეტერბურგი და ოდესა; აქაურები კი ხარბად ყურს უგდებდნენ მათთვის სრულიად უცნობ ჰანგებს“.**

შეიმუშავეს მაყურებელთა დასწრებისა და ბილეთების საფასურის საინტერესო სისტემა: გამოუშვეს საოპერო სპექტაკლების ორი აბონემენტი – პირველის წარმოდგენები სამშაბათს იმართებოდა, მეორისა – პარასკევს, თითოეული აბონემენტი 12 სპექტაკლს ითვალისწინებდა. არსებობდა აგრეთვე აბონემენტები ქართული და რუსული დრამატული წარმოდგენებისთვის. გარდა ამისა, ძვირად ღირებულ ბილეთებთან ერთად ქანდარაზე დასასწრები იაფი ბილეთებიც იყიდებოდა – თეატრის ეს ადგილი მუდამ გადაჭედილი ყოფილა.

ოპერის თეატრის გახსნა და ამოქმედება კულტურული აღორძინების დასაწყისი იყო არა მარტო თბილისისთვის, არამედ ამიერკავკასიისთვის. სპექტაკლები სრული აწშლაგით მიმდინარეობდა. პირველსავე სეზონზე დაიდგა ისეთი ოპერები, რომლებიც თანამედროვე საოპერო ცენტრებისთვის დღესაც საამაყოა – მაგალითად, ბელინის „ნორმა“, რომლის მოსმენისას მაიკო ორბელიანს სიამოვნებისგან ჯერ ცრემლებით ავსებია თვალები, მერე კი თურმე გული წასვლია...

საინტერესო ფაქტი – დიდმარხვის დაწყებისთანავე ოპერა წყვეტდა მუშობას. 1851 წლის 9 ნოემრიდან 1852 წლის 9 თებერვლამდე 9 ოპერა დაიდგა, გაიმართა 29 სპექტაკლი, რომლებზეც ევროპის წამყვან ჟურნალ-გაზეთებში აღფრთოვანებული რეცენზიები იწერებოდა. მავანთა ვარაუდი, ოპერას 10-15 მაყურებელზე მეტი არ დაესწრებაო, არ გამართლდა. ამბობენ, თეატრალური კულტურის ისტორიაში ძნელად მოიძებნება მსგავსი მოვლენა, რომელმაც ასეთი ელვისებური გავლენა მოახდინა მაყურებელზე: ოპერამ ფეხი მოიკიდა, მოიპოვა პოპულარობა, ბილეთები ძნელად იშოვებოდა, თბილისის საზოგადოებას ახალი დროის შესაფერისი გემოვნება განუვითარდა და ევროპული კულტურის ფერხულში ჩაება, თბილისი მუსიკალური ქალაქი გახდა.

„კავკაზში“ გამოქვეყნებული ფელეტონის ავტორი წერდა: **„ქუჩებში მისალმებანი და სასაუბრო ენაც კი შეიცვალა. ახლა ერთმანეთს აღარ ეკითხებიან – როგორ ბრძანდებით? ეკითხებიან – გაქვთ თუ არა ოპერაში ბილეთი?.. ყველა თეატრში გარბის, ყველას სწყურია ოპერა...“**

ოპერის თეატრის გახსნიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ 1852 წლის 5 ოქტომბერს პირველი საბალეტო წარმოდგენაც გაიმართა – უჩვენეს ბალეტ „სილფიდას“ ნაწყვეტი და სხვა საბალეტო ნომრები.

1851 წლიდან 1874 წლის 11 ოქტომბრამდე, ვიდრე ოპერის თეატრში ხანძარი გაჩნდებოდა და შენობა მთლიანად ფერფლად იქცეოდა, თბილისელმა მაყურებელმა მოისმინა მსოფლიო საოპერო რეპერტუარის ბრწყინვალე სპექტაკლები: „რიგოლეტო“, „დონ პასკუალე“, „სევილიელი დალაქი“, „ივან სუსანინი“, „ტრუბადური“, „სომნამბული“ (ევროპაში დადგმული ყოველი ოპერის მოსმენა თბილისელ მაყურებელს ორ-სამ წელიწადში შეეძლო)... ნახა საბალეტო წარმოდგენები: „სილფიდა“, „ჟიზელი“, „ჯადოსნური ფლეიტა“, „სატანილა“, „გიტანა“, „დუნაის ასული“...

ქარვასლის ერთ-ერთ დუქანში აბრიალებულმა ცეცხლმა შენობა ფანტასტიკურ ჩირაღდანს დაამსგავსა. ქალაქი მზად არ აღმოჩნდა, ხანძრის კერის ოდნავ მაინც გასანელებლად. თბილისის მეთულუხჩეების სასწრაფოდ მობილიზებამაც ვერ უშველა დედაქალაქის კულტურულ ცენტრს. ხანძრის საგანგებოდ გამჩაღებელ ვინმე ლაზარევს ციხე და გაციმბირება ერგო...

ხანძრის შემდეგ თეატრმა „დროებით“ თავი შეაფარა საინჟინრო უწყების ბაღში მდებარე თეატრს. ეს „დროებით“ 22 წელიწადს გაგრძელდა.

ელზა ნაბახტეველი

(გაგრძელება იქნება)

„შენი სიყვარული ყველაფერზე მნიშვნელოვანია, შვილზე მნიშვნელოვანი, ღმერთზე მნიშვნელოვანი"...

„შენი სიყვარული ყველაფერზე მნიშვნელოვანია, შვილზე მნიშვნელოვანი, ღმერთზე მნიშვნელოვანი - ეს ამონარიდია წერილიდან, რომელიც 1844 წლის 18 იანვარს დიდმა ფრანგმა მწერალმა დაწერა. იმ დროისათვის ის 42 წლის იყო და მას უკვე გამოცემული ჰქონდა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", ლექსების კრებულები, პიესები. იგი უკვე აღიარებული იყო, როგორც ლიტერატურის ისე პოლიტიკის ასპარეზზე. თუმცა იგივე არ ითქმის მწერლის პირად ცხოვრებაზე, მეუღლესთან – ადელთან მას დიდი მეგობრობა და 5 შვილი აკავშირებდა, მაგრამ არა სიყვარული. მაშ ვის ეკუთვის ეს გასაოცარი ფრაზა თუ არა ცოლს და საყვარელ ქალიშვილს? წერილის ადრესატია ჯულიეტა დრუი - მისი შეყვარებული, მუზა, მეგობარი, ქალი, რომელის მის გვერდით იყო 50 წლის მანძილზე, ქალი, რომლის სიყვარული მისთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი იყო, ქალიშვილზე მნიშვნელოვანი, ღმერთზე მნიშვნელოვანი...

ჯულიეტა მუდმივად გარშემორტყმული იყო მამაკაცებით - რომლებიც მოხიბლულნი იყვნენ მისი სილამაზით, ცეცხლოვანი ტემპერამენტით, მახვილგონიერებით, იმპულსურობით და დამოუკიდებლობით. ის ძალიან ლამაზი იყო. კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა და არასოდეს მალავდა თავის უბრალო წარმომავლობას. ჯულიეტა თვლიდა რომ: „ქალი, რომელსაც ერთი საყვარელი ჰყავს ანგელოზია, რომელსაც ორი საყვარელი ჰყავს – ურჩხული, ხოლო რომელსაც სამი და მეტი საყვარელი ჰყავს – ნამდვილი ქალი". ჯულიეტა გახლდათ ტიპიური ფრანგი კურტიზანი, რომელიც ცხოვრობდა თავისი მდიდარი თაყვანისმცემლების ხარჯზე. ის ყოველთვის მოდურ რესტორნებში სადილობდა, არ აკლდებოდა თეატრებსა და სამეჯლისო საღამოებს, ლამაზად ეცვა და არასოდეს ჰქონდა ფულის პრობლემა, რადგან მის გვერდით ყოველთვის იყო მამაკაცი, რომელიც მის ნაცვლად გადაიხდიდა ნებისმიერ თანხას. მისი მშობლები, რომლებიც ადრე გარდაიცვალნენ, ღარიბები იყვნენ. გოგონაზე მეურვეობა ბიძიამ აიღო საკუთარ თავზე. განათლება კათოლიკურ პანსიონში მიიღო, აქ გაეცნო ლიტერატურას და შეიყვარა იგი მთელი სულითა და გულით. ძალიან ბევრს კითხულობდა და ყოველთვის ამბობდა, რომ ქალს, რომელიც დაბალ სოციალურ ფენას ეკუთვნის, შეუძლია მოხიბლოს მამაკაცი არა მხოლოდ სხეულით, არამედ მახვილგონიერებით და განათლებით. პანსიონის დამთავრების შემდეგ ჯულიეტამ გადაწყვიტა მსახიობი გამხდარიყო. ქალისათვის მსახიობობა მაშინ მხოლოდ პროფესია კი არა იყო, არამედ ცხოვრების სტილიც. ლამაზი მსახიობი ქალები მუდმივად მდიდარი მამაკაცების გარემოცვაში იმყოფებოდნენ. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ის ადრიანად დააბრძენა, მაგრამ როგორც კი გაიღიმებდა – უმწიკვლო გოგოს ჰგავდა, უფრო მეტიც – ბავშვს. მისი ერთ-ერთი საყვარელი, ცნობილი სკულპტური დ. პრადე ჯულიეტასადმი მიწერილ წერლს ასე ამთავრებდა: „შენი მეგობარი, შენი საყვარელი, შენი მამა". ამ მინაწერით ის ხაზს უსვამდა, რომ როგორც მეგობარს, მას მოსწონდა ჯულიეტას გონიერება, როგორც საყვარელს – მისი სხეული, ხოლო ყველაზე მეტად მასში ღიმილი ხიბლავდა, რადგან საკმარისი იყო, ჯულიეტას გაეღიმა, რომ მისი სახე მომენტალურად ხდებოდა სისუფთავისა და სიწმიდის განსახიერება... ზუსტად ამ ღიმილის ტყვე გახდა ჰიუგო 1833 წელს. იმ პერიოდისათვის ჰიუგომ უკვე იცოდა, რომ ცოლი ღალატობდა. ღალატობდა თავისსავე მეგობართან, თანამოაზრესთან, მწერალთან. მან მძიმედ გადაიტანა ეს ღალატი, რადგან ორი ძვირფასი ადამიანი დაკარგა – ცოლი და მეგობარი. მხოლოდ ლიტერატურამ შესძლო მისი გადარჩენა, ლიტერატურამ და ჯულიეტამ, რომელიც ჰიუგომ მისი ერთ-ერთი პიესის დადგმისას გაიცნო. იგი მოაჯადოვა ქალის ღიმილმა და დანახვისთანავე შეუყვარდა. შემდგომში მწერალი წერს: „მე ორი დაბადების დღე მაქვს და ორთავე თებერვალში, 1802 წლის 28 თებერვალს მოვევლინე დედამიწას და აღმოვჩნდი დედის მკლავებში, ხოლო 1833 წლის 16 თებერვალს თავიდან დავიბადე, დავიბადე შენი ალერსის წყალობით, შენი სიყვარულის წყალობით. პირველმა დაბადებამ მე მაჩუქა სიცოცხლე, ხოლო მეორემ – ვნება, ვნება დაუღალავი სიყვარულის, ვნება ხელოვნებისადმი, სიცოცხლის ვნება."

ჯულიეტა მისი მუზა იყო, მისი მეგობარი და თანამოაზრე. ეს არ იყო ისტორია მწერალისა და მსახიობის ბანალური სიყვარულისა. ჰიუგომ მის გევრდით სიმშვიდე ჰპოვა, ქალმა კი მიატოვა ყველაფერი, სცენა, თავყვანისმცემლები, ცხოვრების თავბრუდამხვევი სტილი. ჯულიეტამ ჰიუგოს მთელი დარჩენილი ცხოვრება მიუძღვნა, ცხოვრება რომელიც იშვიათი, ფარული შეხვედრებისგან და განშორებისგან გამოწვეული სევდისგან შედგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ადელი არ იყო იდეალური ცოლი და მათ ქორწინებას უკვე ფიქტიური სახე ჰქონდა, ჰიუგო განქორწინებას არ აპირებდა, მაგრამ მაშინაც კი, როცა დასასვენებლად მიდიოდა ოჯახთან ერთად, ჯულიეტაც იქვე ახლოს, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ისვენებდა და ისინი ფარულად ხვდებოდნენ ერთანეთს.

წლები გადიოდა და მათი სიყვარული არ ნელდებოდა. ჯულიეტა მხოლოდ ჰიუგოსთვის ცოცხლობდა და სუნთქვდა, იგი დაკავებული იყო მისი ხელნაწერების გადაწერით, იგი ბედნიერი იყო, რომ პირველი კითხულობდა მწერლის ახალ შედევრებს.

1841 წლიდან ჰიუგო აქტიურად ერთვება პოლიტიკაში და 1848-49 წლებში მას პარიზის დეპუტატად ირჩევენ. ის წრამატებით ლავირებს რესპუბლიკელებსა და მონარქისტებს შორის, მაგრამ როცა საჭირო გახდა გადამწყვეტი გადაწყვეტილების მიღება, ის უარს აცხადებს მეფობის მომავალი კანდიდატისათვის ხმის მიცემაზე. ლუი-ბონაპარტ-ნაპოლეონ III, დიდი ნაპოლეონის მემკვიდრე მწერლის ახალი პამფლეტის „ნაპოლეონ-პატარა"-ს მთავარი გმირი გახდა და ეს პამფლეტი მწერალს საფრანგეთიდან თითქმის ოცწლიან გაძევებად დაუჯდა. 1851 წელს მან დატოვა საფრანგეთი და მასთან ერთად ქვეყანას ტოვებს ჯულიეტაც, რომელმაც ჰიუგოს ღალატი აპატია. ლეონი – ასე ერქვა 20 წლის ლამაზ და ახალგაზრდა ქალს, რომელიც ჰიუგოს შემოქმედების თაყვანისმცემელი და ჰიუგოს საყვარელი იყო, მცირე ხნით. როცა ჰიუგო გააძევეს, მას არც ცოლი გაჰყოლია, არც ლეონი, რომელსაც უყვარდა ჰიუგო, მაგრამ არ იყო მზად ამ სიყვარულისთვის რაიმე დაეთმო, მის გვერდით ჯულიეტა იყო, ქალი, რომელიც არ ერიდებოდა სკანდალებს, მეტოქეებს და პოლიტიკურ ვნებათაღელვებს. ზუსტად მან შეუგროვა მწერალს გასამგზავრებლად საჭირო ყველა დოკუმენტი, ორგანიზება გაუწია ქვეყნიდან მის გასვლას და ჩუმად გაჰყვა უკან ჯერ ბელგიაში, შემდეგ ინგლისში. ჯულიეტა აღარაა უკვე მხოლოდ საყვარელი, ის მისი თანამოაზრეა, მისი მდივანია, აწესრიგებს მის საბუთებს, ნაწერებს, არქივს. მათი ურთიერთობა მითიური გახდა და ადელმაც კ, სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე გადაწყვიტა ჯულიეტა ოჯახურ წრეში მიეღო, ხოლო სიკვდილის წინ ჰიუგოსა და მის მუზას პატიებას სთხოვა. ადელი 1868 წელს გარდაიცვალა. ხოლო 1867 წელს ჰიუგო და ჯულიეტა ბრუნდებიან საფრანგეთში. მწერალი სამშობლოში ისე მიიღეს, როგორც ნაციონალური გმირი, ხოლო ჯულიეტა, როგორ მისი ცოლი და ის მართლაც მხოლოდ საბუთებში არ იყო მისი ცოლი, თუმცა, ამას უკვე მისთვის აღარც ჰქონდა მნიშვნელობა...

მათი 50-წლიანი ურთიერთობის მოწმე წერილებია. ისინი მუდმივად წერდნენ ერთმანეთს წერილებს, მაშინაც კი, როცა ერთად იყვნენ. მათი დაახლოებით 15 ათასამდე წერილია შემონახული. „დიახ, მე ისევ გწერ! როგორ შემიძლია არ მოგწერო... რა მომივა ღამით, თუკი დაძინებამდე არ მოგწერ?... ჩემო ჯულიეტა, მიყვარხარ. მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია გადაწყვიტო ჩემი ცხოვრების ბედი. გიყვარდე და ამოიგდე გულიდან ყველაფერი, რაც არ უკავშირდება სიყვარულს, რათა შენი გულიც ისეთივე გახდეს, როგორიც ჩემია."

„მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო ვიქტორ; არ შემიძლია ეს არ გავიმეორო ისევ და ისევ და ძალიან რთულია იმის ახსნა, რას ვგრძნობ შენდამი. ყველაფერ მშვენიერში, რაც გარს მაკრავს - შენ გხედავ... მაგრამ შენ, მათთან შედარებით, სრულყოფილი ხარ...

შენ უბრალოდ მზის სპექტრი კი არა ხარ, თავისი შვიდი ნათელი სხივით, შენ თავად მზე ხარ, რომელიც ანათებს, ათმომს და აცოცხლებს არემარეს. მე კი ერთი მოკრძალებული ქალი ვარ, რომელიც გაღმერთებს. ჯულიეტა"

1883 წლის პირველ იანვარს ჰიუგომ ჯულიეტას გადასცა საახალწლო ბარათი: „ჩემო ძვირფასო, არ ვიცი, სად ვიქნები მომავალი წლის ამ დღეს, მაგრამ ამაყი ვარ, რადგან შენდამი მადლიერების გამოხატვა შემიძლია მხოლოდ ამ სიტყვებით: მე შენ მიყვარხარ". იმავე წლის 11 მაისს ჯულიეტა გარდაიცვალა. ჰიუგო თავს დატეხილმა უბედურებამ ისე გატეხა, რომ დაკრძალვაზეც ვერ მივიდა. მისთვის ყველაფერი სულ ერთი გახდა, ჯულიეტასთან ერთად მისი ცხოვრებაც დასრულდა. მას შემდეგ მას აღარაფერი დაუწერია. მხოლოდ რამდენიმე სევდიანი სიტყვა დატოვა უბის წიგნაკში: „მალე შევწყვეტ ჰორიზონტის დაჩრდილვას..." ჰიუგო გარდაიცვალა 1885 წლის 15 მაისს, ჯულიეტას დაბადების დღეს.

მოამზადა
თამუნა კეშელავამ
555 46 08 04

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com